

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი

გ. ჩუბინაშვილი

**არმაზის პიტიახვთა
ნაქროპოლში აღმოჩენილი
ნივთების მხატვრული
დახასიათების ცდა**

თბილისი
2007

არმაზის საბანქური

АРМАЗСКАЯ СОКРОВИЩНИЦА

ARMAZI TREASURES

ტექსტი ქართულად თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა კ. მაჩაბელმა

Текст перевела на грузинский язык и подготовила к печати К. Мачабели

რედაქტორი: კიტი მაჩაბელი

Редактор: Кити Мачабели

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

Дизайн обложки и вёрстка: Гиоргий Багратиони

ფოტოები – ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის
ლაბორატორია: ო. ქობალიანი, ო. ცქვიტინიძე, გ. გერსამია

Фотографии - Лаборатория фиксации памятников искусства
им. С. Кобуладзе: О. Кобалиани, О. Цквитинидзе, Г Герсамия



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო

Ministry of Culture, Monuments Protection and
Sport of Georgia

© კიტი მაჩაბელი, 2007

© Кити Мачабели, 2007

გამომცემლობა „ნეკერი“, 2007

Издательство „Некери“, 2007

ISBN: 978-99940-910-3-4

*Памяти академика Симона Николаевича Джанашия (1900-1947),
настоятельному и неотступному желанию которого обязано как
оформление предварительного сообщения в докладе на общем
собрании Академии Наук Груз. ССР 20 декабря 1944 года, так и
написание по частям - от времени до времени-этой работы*

"Краткое изложение записей (и незаконченных частей незаконченного
исследования) академика АН ГССР Г. Н. Чубинашвили к Докладу на XVII
Научной сессии Отдела общественных наук АН Грузии 20 декабря 1944
года на тему: "Опыт художественной характеристики предметов из
некрополя питахшей в Армази"

სარჩევი

გამომცემლისაგან	7
არმაზის ვიტინაშვთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მხატვრული დახასიათების ცდა	13
შესავალი.....	13
თავი I.....	19
თავი II	41
დასკვნა	76
ОПЫТ ХУДОЖЕСТВЕННОЙ ХАРАКТЕРИСТИКИ ПРЕДМЕТОВ ИЗ РАСКОПОК НЕКРОПОЛЯ ПИТИАХШЕЙ В АРМАЗИ	95
ВВЕДЕНИЕ	97
ГЛАВА I.....	103
ГЛАВА II	124
ЗАКЛЮЧЕНИЕ	159
THE ATTEMPT OF AN ARTISTIC DESCRIPTION OF THE PITIAKHSHS DISCOVERIES FROM ARMAZI	177
ილუსტრაციების სია	186
СПИСОК ИЛЛЮСТРАЦИЙ	187
ILLUSTRATIONS LIST	188

გამოცემისაგან

1937-1941 წლებში საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში და მის მიდამოებში ჩატარებული დიდი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უმდიდრესი მხატვრული საგანძური დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში. არმაზისხევში გახსნილმა პიტიახშთა სამაროვანმა თვალწინ გადაგვიშალა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა უდიდესი მრავალფეროვნება. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართველი ერის ისტორიის საერთო სურათი.

მცხეთის ექსპედიციის რამდენიმე არქეოლოგიური კამპანიის შედეგად აღმოჩენილი მასალა იმთავითვე მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ კვლევა-ძიებათა განსაკუთრებულ სამეცნიერო ღირებულებას ისიც ადასტურებს, რომ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელობისა და კონსულტაციებისათვის საგანგებოდ შეიქმნა სწავლულ ექსპერტთა კომისია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაში ისტორიკოსებთან და არქეოლოგებთან ერთად შევიდა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი აკად. გ. ჩუბინაშვილი. მან არა მხოლოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო არმაზისხევში მოპოვებული ძვირფასი ლითონების მხატვრულ ნაკეთობათა შესწავლაში, არამედ დიდი ამაგი დასდო ამ არქეოლოგიური მასალის გამოსაცემად მომზადებას. მისი რედაქციით გამოვიდა არმაზისხევის მონაპოვრებისადმი მიძღვნილი დიდი ტომი „მცხეთა. I“, რომლის ავტორები (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე) წიგნის წინასიტყვაობაში დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ გ. ჩუბინაშვილის განსაკუთრებულ ღვაწლს ამ არქეოლოგიური ფენომენის კვლევაში და ტომის გამოცემისათვის მის მიერ გაწეულ დიდ შრომას. „დიდი შრომის განევა მოუხდა, ავტორების მხარდამხარ, რედაქტორს, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ გ. ჩუბინაშვილს. რედაქტორის მრავალრიცხოვანმა შენიშვნებმა და სისტემატურმა რჩევა-დარიგებამ საშუალება მისცა ავტორებს საგრძნობლად დაეხვეწათ ნაშრომი და შეძლებისამებრ შეემცირებინათ გამოცემის ტექნიკური ნაკლოვანებები“ – ვკითხულობთ წიგნის შესავალში.

არმაზისხევის ძვირფას ლითონთა მხატვრულმა ნაკეთობებმა გ. ჩუბინაშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მეცნიერმა მაშინვე გაითვალისწინა ამ ძეგლთა მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამიტომ იყო, რომ მათი აღმოჩენიდან სულ ცოტა ხანში (1944 წელს) მან ამ ძეგლების კვლევის შედეგები მოახსენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესიას. მოხსენების თემა იყო „არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მხატვრული დახასიათების ცდა“.

სამწუხაროდ, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსენებიდან გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ძალზე მოკლე, ძუნწი თეზისები, რომლებშიც ზუსტად იყო გახსნილი არმაზისხევის ნივთების მხატვრულ-ისტორიული არსი და მოცემული იყო დებულება ოქროს ნივთების ადგილობრივი ძირებისა და ვერცხლულის უპირატესად ელნისტურ-რომაული ხასიათის შესახებ.

არმაზისხევის ოქროსა და ვერცხლის ნანარმის ღრმა შესწავლაზე დამყარებული ეს ფუძემდებლური დებულებები ნლების განმავლობაში ჩვენი ნალთარიცხვის პირველ საუკუნეთა ქართული ოქრომჭედლობისა და ტოტეტიკის შემსწავლელთათვის ერთადერთ დასაყრდენი იყო.

ამ თემასთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია ერთი ფაქტის გახსენება, როდესაც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში დადგა ჩემი სამეცნიერო მუშაობის სფეროს განსაზღვრის საკითხი, ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა - აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა შემომთავაზა საკვლევად ნინაქრისტიანული ხანის მხატვრული ვერცხლი. ამ მასალაზე მუშაობის დანებებისას მე შევებდე ბ-ნ გიორგის და ვთხოვე, მოეცა ჩემთვის უფლება გაცნობოდი მის ზემოხსენებულ მოხსენებას, რომლის შესახებ ბევრი მსმენია ჩემი უფროსი კოლეგებისაგან და არქეოლოგებისაგან. ამჟამად იყო, რომ თეზისების რამდენიმე ძუნწი ფრაზის უკან იმალებოდა უდიდესი სამეცნიერო ღირებულების გამოკვლევა, რომლის გათვალისწინების გარეშე გაუმართლებლად მიმაჩნდა არმაზისხევის ვერცხლზე მუშაობა. პასუხად ბ-ნმა გიორგიმ კეთილად გამიღიმა და „ამიხსნა“, რომ მოხსენება მან ზეპირად გააკეთა, რომ ეს მხოლოდ საილუსტრაციო მასალის ზეპირი ინტერპრეტაცია იყო და რომ დანერგილი ტექსტი არ არსებობს. მან გამოთქვა იმედი, რომ მე თავად „გავიკვლევ გზას“ ისეთ რთულ პრობლემაში, როგორცაა საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ვერცხლის ნაკეთობების მხატვრულ-ისტორიული ღირებულების განსაზღვრა, მათი წარმომავლობისა და შექმნის ცენტრების გარკვევა.

გავიდა წლები, ბ-ნი გიორგი მისთვის ჩვეული თავშეკავებულობით დეთანხმა ჩემი კვლევის შედეგებს, გაიზიარა დასკვნები და მეც ვიწმუნე, რომ არმაზის ძეგლების შესახებ მისი გამოკვლევა არ არსებობდა. მაგრამ ბ-ნი გიორგის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა მანქანაზე ნაბეჭდი მისი მოხსენების ტექსტი, რომელიც ექვსი ათეული წელი უცნობი რჩებოდა ჩვენთვის.

ახლა, წლების გადასახედიდან ჩემთვის გასაგებია გ. ჩუბინაშვილის მაშინდელი პასუხი მოხსენების ტექსტის არარსებობის შესახებ. მეცნიერს, რომლის ნინაშე ქართული ხელოვნების ისტორიის უამრავი გადასაწყვეტი პრობლემა იდგა და რომელიც საფუძველს უყრიდა ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგის შესწავლის პერსპექტივებს, მიაჩნდა, რომ არსებული გამოკვლევა არის მხოლოდ წინასწარული მონახაზი არმაზისხევის უმდიდრესი განძის მომავალი შესწავლისათვის და რომ საბოლოო დასკვნების მისაღებად

აუცილებელია დამატებითი ჩაღრმავებული კვლევის ჩატარება.

რაც შეეხება საკუთრივ ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტს – ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული გ. ჩუბინაშვილის არქივში არსებული ხელნაწერი წარმოადგენს 1944 წელს სსსრ მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხული მოხსენების ტექსტს, რომელსაც, როგორც ნაბეჭდი ნაშრომის სატიტულო ფურცელზეა აღნიშნული, ბ-ნი გიორგის გარდაცვალების შემდეგ გამოსაცემად ამზადებდა გ. ჩუბინაშვილის ვაჟ, ცნობილ ხელოვნათმცოდნე ნიკო ჩუბინაშვილი. ნაშრომის რედაქტორად აკად. აღ. ჯავახიშვილი მოიაზრებოდა. ხელნაბეჭდი ტექსტის პირველი პირის მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გარკვეული მუშაობა მასზე უკვე იყო ჩატარებული. სამწუხაროდ, ნ. ჩუბინაშვილს არ დასცალდა ამ ნაშრომის გამოქვეყნება და ძველი ქართული ხელოვნების ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი გამოკვლევა კვლავ უცნობი რჩებოდა სპეციალისტებისათვის.

ნიკო ჩუბინაშვილი ტექსტის დასაწყისში განმარტავს, რომ ეს არის „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესიის მოხსენებისათვის – „არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მხატვრული დახასიათების ცდა“ – აკად. გ. ჩუბინაშვილის ჩანაწერების (და დაუმთავრებელი გამოკვლევის დაუმთავრებელი ნაწილების) მოკლე გადმოცემა.“

გ. ჩუბინაშვილის აღნიშნული ნაშრომის უდიდესი სამეცნიერო ღირებულება ცხადი გახდა თვალის ერთი გადავლენისას. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეცნიერს ეს სამუშაო დასრულებულად არ მიაჩნდა, აუცილებლად ჩავთვალეთ მისი გამოქვეყნება, რადგან სამოც წელზე მეტი ხნის წინათ დანერღმა გამოკვლევამ დღეისათვის არა თუ დაკარგა თავისი აქტუალობა, არამედ მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მისი დანერის შემდეგ აღმოჩენილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის სწორი ინტერპრეტაციისათვის და ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის სრული და ობიექტური სურათის აღსადგენად მან დღემდე შეინარჩუნა უდიდესი სამეცნიერო ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში არმაზისხევის მხატვრული ლითონის ნაწარმი არაერთხელ მოხვდა მკვლევართა ყურადღების ცენტრში და მას მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები მიეძღვნა, გ. ჩუბინაშვილის ეს გამოკვლევა ამ უძვირფასესი არქეოლოგიური მასალის შესწავლაში კვლავ რჩება ძველი ხელოვნების ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო კვლევის კლასიკურ ნიმუშად – მხატვრული ანალიზის სიზუსტით, მასალის მხატვრულ-ისტორიული გააზრების სიღრმით და, რაც განსაკუთრებით ღირებულია, გვიანანტიკურ ეპოქაში ქართული ეროვნული მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გააზრებით თანადროული მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში.

ნაშრომის ტექსტი შედგება საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი 112 გვერდისაგან. გამოცემაში ხელუხლებლადაა დატოვებული ნაშრომის ავტორი-

სეული კომპოზიცია. იგი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. შესავალში განსაზღვრულია საკვლევი მასალა, დასახულია ნაშრომის მთავარი მიზანი. I თავში განხილულია სამი გამორჩეული ძეგლი არმაზისხევის პიტიახშთა ნეკროპოლიდან: ასპარუგის სატევრის სახელური (I სამარხი), სერაფიტას ოქროს ყელსაბამი (VI სამარხი) და ბერსუმას სატევრის ქარქაში (II სამარხი). II თავის თორმეტ პარაგრაფში არმაზის სამარხეული ინვენტარის უმნიშვნელოვანესი ნივთებია განხილული. მოცემულია ყოველი ნივთის მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკური დახასიათება. ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა ეს ორი მხარე განხილულია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, რადგან მხოლოდ ამგვარი კომპლექსური კვლევა იძლევა საიმედო საფუძველს საოქრომჭედლო ნაწარმის წარმომავლობისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების ზუსტი დადგენისათვის.

არმაზისხევის ოქროს ნივთების დიდი მრავალფეროვნებიდან შერჩეულია ის მაღალმხატვრული ნივთები, რომლებიც ამ მდიდარი სამარხეული ინვენტარის ჭეშმარიტ მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას ადასტურებს და საშუალებას აძლევს შეკვლევარს განსაზღვროს ამ ძეგლების ადგილი გვიანანტიკური ხელოვნების საერთო განვითარებაში.

გ. ჩუბინაშვილის ამ ნაშრომში იბერიის პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილი ოქროს ნივთები გამოკვლეულია უდიდესი პარალელური მასალის მოხმობით. სამხრეთ რუსეთის, ევროპის, ჩრდილო კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის საოქრომჭედლო ნაკეთობათა წრეში ქართული ძეგლების ჩართვით სარწმუნოდაა გამოვლენილი ერთი მხრივ, ქართულ მიწაზე აღმოჩენილი ძეგლების კავშირი მათ თანადროულ დასავლურ და ახლოაღმოსავლურ მხატვრულ ცენტრებთან, მეორე მხრივ კი - მხატვრული და ტექნიკური ხერხების თავისებურებათა უზუსტესი ანალიზით დადგენილია ამ ნაწარმოებთა სრული თავისთავადობა, უძველეს ადგილობრივ ტრადიციებთან მტკიცე კავშირი.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო არმაზისხევეში აღმოჩენილ ვერცხლის მხატვრულ ნაკეთობებს, რომელთა ადგილის განსაზღვრა გვიანანტიკურ მხატვრულ კულტურაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს ამ ეპოქის იბერიის კულტურის ისტორიული ადგილის გარკვევისათვის ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მიმართებაში ჩვენი წალთარციხვის პირველ საუკუნეებში. ნაშრომს ნითელ ხაზად გასდევს არმაზისხევის მასალის უდიდესი მნიშვნელობის ღრმა რწმენა, მისი ადგილის ზუსტი განსაზღვრა გვიანანტიკურ ხელოვნებაში.

ტექსტის აგების ძირითადი პრინციპი გულისხმობს ყოველი ნივთის მხატვრული მხარის გულდასმით აღწერას, მისი შესრულების ტექნიკური თავისებურებების დანვრილებით განხილვას. ნაშრომი გვიჩვენებს ნაწარმოების არსში წვდომის, მისი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გარკვევის იშვიათ ნიმუშებს, რის საფუძველზეც ხდება უაღრესად მნიშვნელოვანი გლო-

ბალური დასკვნების გაკეთება. ყოველი ნივთი ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მჭევრმეტყველ საბუთადაა ნარმოდგენილი.

ტექსტის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ გამოსაცემად აუცილებელია ორიგინალური რუსული ტექსტის ხელუხლებლად დატოვება (უმნიშვნელო კორექტურული შესწორებებით). ტექსტში დარჩა საილუსტრაციო მასალის ავტორისეული მითითებები (ილუსტრაციები მითითებულია არმაზისხევის მასალების პირველი დიდი პუბლიკაციის „მცხეთა I“ მიხედვით. სამარხეული ინვენტარის ნივთების ნუმერაციაც ამ ტომში არსებულ კლასიფიკაციას მიუყვება).

ტექსტზე მუშაობისას ცხადი გახდა, რომ არმაზისხევის ძეგლებთან დაკავშირებით მკვლევარს კიდევ ბევრი საკითხის გარკვევა და დაზუსტება ჰქონდა განზრახული. ამაზე მეტყველებს ხელნაწერის გარკვეულ ადგილებში საგანგებოდ გამოკვეთილი ცალკეული ძეგლები, კონკრეტული საკითხები, პარალელურ მასალად აუცილებელი მხატვრული ნაწარმოებების ჩამონათვალი. აქა-იქ დასმული კითხვის ნიშნები ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობას აღნიშნავს. ეს ავტორისეული შენიშვნები და საკითხები, ტექსტის სტრუქტურული მთლიანობის დაცვის მიზნით, ტექსტიდან გამოტანილია და შენიშვნებშია მოცემული. ამ ავტორისეულ რემარკებს სერიოზული მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ნაწარმოებების არსის სრულად გასაგებად, ხელოვნების განვითარების ისტორიულ პროცესში მათი ადგილის გასარკვევად. მკვლევრის მიერ კონკრეტული საკითხების საგანგებოდ გამოკვეთა უფრო ნათლად წარმოაჩინოს კვლევის ავტორისეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც სანიმუშოდ მიგვაჩინა ძველი ხელოვნების ნაწარმოებთა კვლევისათვის.

ნაშრომის პირველი ნაწილი აგებულია ანტიკური ხელოვნების ცნობილი მკვლევრების ალოიზ რიგლის, მარკ როზენბერგის და მიხეილ როსტოვცევის დებულებებთან და დასკვნებთან ქართული საოქრომჭედლო ძეგლების შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების შეჯერებაზე. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს მკვლევარს უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს ქართული ნაწარმოებების თავისთავადობა და მხატვრულ-ტექნიკური ხერხების სიახლოვისა და მსგავსების შემთხვევაში სარწმუნო დაადგინოს საქართველოში მათი უფრო ადრეული არსებობა (ეს ეხება როგორც საოქრომჭედლო ნაწარმის მხატვრულ ხასიათს, ასევე მისი დამზადების ტექნიკურ მხარეს).

გამოკვლევის დასკვნით ნაწილში მოცემულია ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების მოკლე, მაგრამ ძალზე ტევადი მიმოხილვა. არმაზისხევის ძეგლები ჩართულია ოქრომქანდაკებლობის უძველესი ადგილობრივი ტრადიციების ქარგაში. ისინი წარმოჩენილი არიან, ერთი მხრივ, როგორც ეროვნული მხატვრული ტრადიციების უტყუარი ნიშნების მატარებლები და გამგრძელებლები, მეორე მხრივ კი, როგორც მტკიცე საფუძელის შემქმნელნი შუა საუკუნეების ქართული ოქრომქანდაკებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

საილუსტრაციო მასალა გამოცემაში შერჩეულია ტექსტში მოცემული თანმიმდევრობის გათვალისწინებით.

ორიგინალური ტექსტი დატოვებულია ავტორისეული ინტერპრეტაციით. მითითებული ლიტერატურიდან აღებული ციტატების შეჯერება ყველა შემთხვევაში ვერ მოხერხდა, ამიტომ ხელუხლებლადაა შენარჩუნებული გერმანული ციტატების ავტორისეული თარგმანები.

გამოცემისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ ორიგინალური რუსული ტექსტის ქართული ვარიანტის შექმნა, რათა ეს უნიკალური ნაშრომი მისაწვდომი ყოფილიყო ქართული საზოგადოების ფართო წრეებისათვის. თარგმნისას ვცდილობდი ქართულ ტექსტში გადმომეტანა ავტორისეული წერის მანერის თავისებურებანი, მისი დამახასიათებელი სტილი, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან გ. ჩუბინაშვილის წერის მანერა, უნატიფესი ენობრივი ნიუანსებით, რთული ნიაღვრეებით, თარგმნის დროს უკიდურესად ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვდა.

ჩემს თავს უფლება მივეცი მეტვირთა ეს ძალზე საპასუხისმგებლო საქმე მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დაუმთავრებელი ნაშრომის გამოქვეყნება შესაძლებლად და საჭიროდ ჩათვალა ბ-ნი გიორგის ვაჟმა და კოლეგამ ნიკო ჩუბინაშვილმა, რომელიც მის გვერდით მუშაობდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ამ ურთულესი საქმის შესრულება გამაბედვინა უნიკალური ნაშრომის გამოქვეყნების აუცილებლობამ და იმ გარემოებამ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1955-1973) ვმუშაობდი გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით სწორედ გვიანანტიკური ქართული ხელოვნების პრობლემებზე. სწორედ მან მაზიარა ჩვენი ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეთა ქართული ხელოვნების თავისებურ სამყაროს.

თუ კი ამ საქმეს თავი გავართვი, ეს იქნება ჩემი უდიდესი მადლიერების და პატივისცემის მოკრძალებული გამოხატვა ჩემი დიდი მასწავლებლის, სახელოვანი ქართველი მეცნიერის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის გიორგი ჩუბინაშვილისადმი.

კიტი მაჩაბელი

არმაზის პიტიახშთა ნაქროპოლში აღმოჩენილი ნივთების მხატვრული დახასიათების ცდა

შესავალი

1940 წელს არმაზში აღმოჩენილმა პიტიახშთა – საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილის მმართველთა საგვარეულოს წევრთა ნეკროპოლმა, ნივთების მხატვრული ხასიათისა და მათი მეშვეობით ქართული კულტურის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცლის გადაშლის წყალობით, მეცნიერებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. პირველი არქეოლოგიური კამპანიის დროს ამ ნეკროპოლში აღმოჩენილი ცხრა სამარხიდან ექვსი ხელუხლებელი იყო, ამასთანავე, ოთხი მათგანი ნივთების არაჩვეულებრივი სიმრავლით გამოირჩეოდა. მრავალრიცხოვანი სამარხებიდან (60-ზე მეტი), რომლებიც შემდგომ წლებში (1941, 1943 და 1944) პიტიახშთა ამ ნეკროპოლის საზღვრებში იყო აღმოჩენილი, ნივთების მხატვრული ხასიათით ამავე ქრონოლოგიურ ეპოქას მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიეკუთვნება; ოღონდაც ისინი მხოლოდ ცალკეულ ნივთებს შეიცავდნენ. ამავე ტერიტორიაზე დანარჩენი სამარხები კი უფრო გვიანდელი ხანის, სხვადასხვა დროის საფლავებია და, ცხადია, მათთვის არ მზადდებოდა არც საგანგებო ქვის სარკოფაგები და არც მათი მსგავსი ინვენტარი.¹

პიტიახშთა საგვარეულოს წევრთა ამ სამარხების ნივთების შემადგენლობა, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, შესრულების მხატვრული ხასიათისა და მხატვრული მიდგომის ერთიანობითაა აღბეჭდილი. ზუსტად დათარიღებული ეს სამარხები დროის გარკვეულ მონაკვეთს ფარავს, რისი წყალობითაც ხერხდება ამავე მიდგომათა შემდგომი განვითარების პერსპექტივის მონიშვნა და გამოვლენა. ამასთანავე, გარკვეული მხატვრული წრე, რომელსაც მიეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის II და III საუკუნეების საქართველოს პიტიახშთა ეს ნივთები, სულაც არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი სამარხებით, არამედ ისინი ფართოდ ვრცელდება მთელს საქართველოში, როგორც ამას მიგვანიშნებს ის შემთხვევითი აღმოჩენები, რომლებიც გაკეთდა როგორც უკანასკნელ წლებში, ასევე უფრო ადრე, XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული.²

არმაზში 1940 წლის 26 ოქტომბერს გახსნილმა უკვე პირველივე სამარხმა, რომელიც დიდი, საგანგებოდ გათლილი და კარგად მორგებული მასიური ქვის ფილებისაგან შედგენილი სარკოფაგის მსგავს ქვაყუთს წარმოადგენდა (შიდა ფართობის ზომა იყო 2,15x1,02 მ., სიმაღლე 90 სმ.) და რომელიც გადახურული იყო ოთხი ასეთივე მასიური ფილის ბრტყელი სახურავით, პიტიახშთა დაკრძალვის ტიპური სურათი გადავიკიშალა, რად-

განაც იგი ეკუთვნოდა, როგორც ამას გვაუწყებს მიცვალებულის საბეჭდავზე მოთავსებული წარწერა, ასპავრუკ პიტიახშს. ამ სარკოფაგის ქვის ფსკერზე მიცვალებული, შესაძლოა, მმართველის საზეიმო სამოსლით შემოსილი, ჩასვენებული იყო ქვისავე ფილაზე დადგმულ ხის ფეხებიან სარეცელზე. შესამოსლის ლითონის ნაწილთა მდებარეობა და შემადგენლობა ამგვარია: ფიგურის ცენტრალურ ღერძზე და მის გარდიგარდმო იდო სატევრისაგან შემორჩენილი ქარქაშის ოქროს შემკული გარსაკრავი (3)¹, სარტყლის ოქროს ბალთები და სხვადასხვა ნაწილები (2 ა-ი). გაურკვეველია, როგორ ეკეთა ასპავრუკს სატევარი: სავარაუდოა, რომ მიცვალებული ზურგზე იყო დასვენებული, ანუ როდესაც სარეცელი დაღმა, შესამოსლის ნაწილები და სატევარი მოხვდა იმ ადგილებში, სადაც ისინი აღმოჩნდნენ სამარხის გახსნისას; მაშინ, როდესაც იგი, ჩვეულებრივ, მარჯვენა თეძოზე მაგრდებოდა.³ ხელებზე (ხომ არ ამაგრებდნენ ისინი ფართო სახელოებს მაჯებთან?) სადა სამაჯურების წყვილია (6), მარჯვენა ხელის თითზე – ბეჭედი (1) პორტრეტული გემით და წარწერით ΑΓΗΛΑΥΡΟΥΚΙΣ ΠΥΤΙΑΞΗΣ, რომელიც შებრუნებითაა ამოჭრილი, საბუთების დამონმებისას ანაბეჭდის მისაღებად. არავითარი შეიარაღება და არავითარი გვირგვინი ასპავრუკს არ ჰქონია, ე.ი. როგორც ჩანს, გვირგვინი და – როგორც შუა საუკუნეების საქართველოში – ხელმწიფის ხმალი განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ინსიგნია. იყო რამდენიმე ნაწილისაგან შედგენილი დიადემა (4 ა-ზ). დანარჩენი შემოსილობისაგან შემორჩა ოქროს წერილი მრგვალი ლილაკები კილოებით, ორი ზომისა, ნაწილობრივ ბრტყელი და გლუვი, ნაწილობრივ – ამობურცული, დამტამპულები, მათზე ჩამოკიდებული ასეთივე კილიტებით, რომლებიც იდო ფილაზე სამარხის ქვედა ნახევარში: დიდები – ასზე მეტი (7,8), წერილები კი „დიდი რაოდენობით“ (9); ანუ, ეჭვსგარეშეა, რომ ისინი ყველა ტანსაცმელზე იყო დამაგრებული. აქვეა დიდი (დიამეტრი — 3,6 სმ.) ამოღრმავებული მინანქრით დაფარული ბრინჯაოს ბალთა, ზურგის მხრიდან შემორჩენილი ყურით, დაკარგული წვერით (დაუანგვისაგან ?). ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბალთა დაკერებული იყო (მოსასხამზე ?) დიდ და პატარა ფირფიტებთან (ლილაკებთან) და 7 პატარა ბრტყელ ოქროს ზარაკთან ერთად (5 ბ). ასპავრუკის სამარხში ასევე აღმოჩნდა 400-მდე ცილინდრული და ბურთისებრი პასტის მძივი და ხუთი შემკული ოქროს მძივი (5 ა).

პიტიახშის შესამოსლის ამ ნაშთების გარდა სარკოფაგში დაკძალვისას ჩადეს ხუთი ვერცხლის თასი (12,13,14,15,16) და 21 სმ. სიმაღლის ორი ვერცხლის ჭურჭელი მირჩილული სახელურით (17,18). მათგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ორი თასი (13,16) იდო საკუთრივ მიცვალებულზე⁴, დანარ-

ფრჩხილებში მითითებული ციფრები შეესაბამება სამარხების ინვენტარის აღწერის დროს გამოყენებულ ნუმერაციას პუბლიკაციაში "მცხეთა. I", თბილისი, 1955

ჩენები კი - თვით სარკოფაგის ფსკერზე. დაბოლოს, უკანასკნელი, რაც კიდე (წერილმანების გარდა) აღმოჩნდა სარკოფაგში, იყო ერთი ფორმისა და ერთი ზომის (დაახლ. 25 სმ. სიმაღლის) ვერცხლის ფურცლით მჭიდროდ შემოჭედილი 4 ხის (მუხის) მოჩუქურთმებული „ფეხი“, სავარაუდოდ, დაკრძალვის ცერემონიამდე მიცვალებულის დასასვენებელი სარეცლისა (25). ყველა „ფეხი“ ყოველი მხრიდან მთლიანად იყო მოჭედილი, ზემოდანაც და ქვემოდანაც. ასპავრუკ პიტიახშის ეს სამარხი მიცვალებულის ფერხითი ქვის ფილაზე დადებული ექვსი რომაული აურეუსით (11 ა-ვ) ჩვენი ნელთ-აღრიცხვის II საუკუნის II ათწლეულით თარიღდება⁵ (ტაბ. I, I bis, XXXV და XLV)*.

იგივე საერთო სურათი მეორდება სხვა სამარხებში. ქალისა და გოგონას მეორე სამარხში აღმოჩნდა ოქროს შემკული ყელსაბამი, ბეჭდები და საყურეები, აგრეთვე ქამრის სამკაულები და შესაკრავები (?); კიდეც ვერცხლის ლანგარი და 22,5 სმ. სიმაღლის (შუშის) ჭურჭელი (ტაბ. II და XLVII-L). მესამე სამარხი ბერსუმა პიტიახშისა (ტაბ. III და LI-LVIII), როგორც იუნყება ბაზილევსის ფლავიოს დადესის შემონიშნული ვერცხლის ლანგარის წარწერა, შეიცავდა სხვათა შორის სატევარს ოქროს შემკული სახელურით, მცირე ზომის ორ ოქროს საყურეს, რამდენიმე ვერცხლის თასსა და ვერცხლის გარსაკრავიან „ფეხებს“. აურეუსების მეშვეობით სამარხი III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა მეექვსე და მეშვიდე სამარხები; სარკოფაგები ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა. ამასთანავე, მეექვსე სამარხში კვლავ იყო ვერცხლის გარსაკრავიანი სარეცლის „ფეხები“ (ტაბ. IV-VIII და LXXVII). ქალის მეშვიდე სამარხი წარმოადგენდა ორფერდა სახურავიან სარკოფაგს (ტაბ. IX, X, და LXXXVIII-LXXXIV): ორი ყელსაბამი, სამაჯურების წყვილი, იმავე ფაცეტირებული სტილისა, როგორც მეექვსე სამარხის სამაჯური და როგორც ცნობილია ბორის ადრეული აღმოჩენებიდან,⁶ ცვარათი შემკული ქამრის წყვილი შესაკრავი და ორი წყვილი (როგორც VI სამარხში) შემკული ოქროს საყურე, რამდენიმე ბეჭედი და ბოლოს, ოქროს ტანსაცმელზე დასამაგრებელი 5200-მდე წერილი მრგვალი ფირფიტა. ვერცხლის ნაქეთობებიდან აღსანიშნავია ზუსტად ისეთივე ხასიათის თასი, როგორც VI სამარხის „ზარფემა“ და ორი სურა, ისეთივე, როგორც VI და I (ასპავრუკის) სამარხებში. ეს სამარხიც, VI სამარხის მსგავსად, თარიღდება აურეუსებით ახ. წ. II საუკუნის II ნახევრით. 1940 წლის 7 დეკემბერს გახსნილი შედარებით ღარიბი მეცხრე სამარხი, შესაძლოა ბავშვისა (ტაბ. LXXXVII), შეიცავდა პიტიახშთა სხვა სამარხების მსგავს სამკაულებს და ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებით დამათარიღებელ ფაუსტინა უფროსის აურეუსს.


* ტაბულები მითითებულია „მცხეთა.I“-ის მიხედვით (თბილისი, 1955)

ამ სამარხების ნივთებს შორის პიტიახშთა ოჯახის დამარხულ ნევრთა ტანსაცმლისა თუ შესამოსლის ესა თუ ის ნაწილი მკაფიოდ გამოიყოფა დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ნივთებისაგან – ვერცხლის ჭურჭელი და ვერცხლისავე „ფეხები“. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულადაა შემკული შემოსვასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ნივთები: ყალსა-ბამები, სარტყლები, სატევრები და სხვა. აქ გვხვდება წითელი ალმანდინითა და მწვანე მალაქიტით, მწანე მინითა და ფიროზით შემკობა, ასევე მარგალიტით, რომელიც ჩასმულია როგორც ოქროს ტიხრებს შორის, ასევე როგორც ზედნადები აქცენტები (მთელი რიგი ნაირგვარობით), ამასთანავე, ამავე მიზნით ტიხრული მინანქრის გამოყენება, შემდეგ მათთან ცვარათი და ფილიგრანით შემკობის შეთავსება. დაბოლოს, ნიშანდობლივია აგრეთვე – მართალია, ერთადერთის – ამოღრმავებული მინანქრით შემკული ბრინჯაოს ფირფიტის არსებობა.

ამგვარად, პიტიახშთა სამარხების ოქროს სამკაულთა მთავარი თავისებურებაა ის, რასაც ბოლო ასი წლის სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ ფრანგულ ტერმინს *orfèvrerie cloisonnée* ან *verroterie cloisonnée*; ეს რამდენადმე ბუნდოვანი და უზუსტო გამონათქვამია, რომელსაც ამის გამო ენიჭება ხან უფრო ფართო, ხან უფრო ვიწრო მნიშვნელობა, ხან ერთი, ხან კი სრულიად განსხვავებული. არსებულ ლიტერატურაში არაერთხელ გაკეთებულია ცდა დაზუსტებულიყო და დადგენილიყო წარმოების ან უფრო ზუსტად, ამ სახელწოდებით გაერთიანებულ სხვადასხვა წარმოებათა ტექნიკური მხარე. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული ტექნიკის ევოლუციის საკითხთა დასაზუსტებლად ხანდახან მოხმობილი იყო ხოლმე დამატებითი მასალა, ან სრულიად უცნობი, ან წინა მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი. მაგრამ არსებულ დებულებათა გადახედვის მთავარ სტიმულად იქცა ახალ გეოგრაფიულ რაიონებში ახალი ძეგლების აღმოჩენა, ან ძეგლთა უკვე ცნობილი ჯგუფების ახლებური გაშუქება. ყველა ამ გამოკვლევაში (და ძეგლების პუბლიკაციებში) ტექნიკურ თავისებურებათა გამოვლენა, რალა თქმა უნდა, გარკვეულწილად საკუთრივ მხატვრული მხარის ანალიზსა და დახასიათებას უკავშირდებოდა. მაგრამ ფართო და ღრმა ანალიზით, რომლის მიზანი იყო ამ *orfèvrerie cloisonnée* ნივთების ჩართვა გარკვეული ეპოქის ხელოვნების მთლიანი განვითარების სურათში, ანუ მისი ყველა დარგისა, გამოირჩევა მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც, სამწუხაროდ, დარჩა მხოლოდ *torso*, ვინაიდან მისი მეორე ტომი არ იყო დანერგილი ავტორის უდროოდ გარდაცვალების გამო. ვენის ხელოვნებათმცოდნის ალოიზ რიგლის 1901 წელს დაბეჭდილი ეს შესანიშნავი ნაშრომი დღეს, დაახლოებით 50 წლის შემდეგ, ძირითადად, აღნიშნავს ისტორიულ ეტაპს ხელოვნების ისტორიის მეცნიერების განვითარებაში.⁷ მისი პრინციპული ზოგადი დებულებები ორმოცდაათი წლის შემდეგ სავსებით ბუნებრივი დაზუსტებებითა და ნაწილობრივი გადააზრებით, შევიდა მეცნიერების აუცილებელ თეორიულ

ფონდში. მაგრამ ისტორიული ფაქტების განსაზღვრისას მისი კონკრეტული მტკიცებულებანი და დებულებები დღეს ზოგადად კარდინალურ და რადიკალურ გადახედვას მოითხოვს, განსაკუთრებით კი ჩვენთვის საინტერესო ხელოვნების ნაწარმოებებთან მიმართებაში. ამიტომაც, არმაზის პიტიახშთა სამაროვნის მხატვრული ნივთების ცალკეული ჯგუფების დახასიათებისას მოგვიხდება ნაწილობრივ გამოვიყენოთ ან ვისარგებლოთ ა. რიგლის მიერ განვითარებული მისი ანალიზის განსაზღვრებით, უმეტესწილად კი განვავითაროთ და დავასაბუთოთ მისგან პრინციპულად განსხვავებული დაკვირვებები და დებულებები.

ამ სახის სამკაულთა მხატვრული არსის გარკვევის შემდეგ, ბუნებრივი იქნება მათი დაკავშირება ჩვენი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეების ევროპულ-აზიური ხელოვნების ისტორიიდან ცნობილ სხვა ხალხთა მხატვრული კულტურის ანალოგიურ მოვლენებთან, რაც დაგვეხმარება განვსაზღვროთ საქართველოში ამჟამად აღმოჩენილი ძეგლების ადგილი ხელოვნების განვითარების საერთო მსვლელობაში. და ბოლოს, უკანასკნელი ამოცანა იქნება - ამ მოვლენათა კავშირის განსაზღვრა თრიალეთში აღმოჩენილ პატიოსანი თვლებით შემკულ ოქროს ნივთებთან და, ამასთანავე, მათი დაკავშირება ძვირფას ლითონთა მხატვრული პროდუქციის განვითარებასთან შუა საუკუნეების საქართველოში.



შენიშვნები

1. არმაზის ამ გათხრებს მიეძღვნა დიდი პუბლიკაცია სერიაში „მცხეთა“, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წლების განათხარის მიხედვით, თბილისი, 1955; 1958 (რუსულ ენაზე).
2. პიტიახშთა სამარხების ხასიათის საკითხს მიეძღვნა მ. ივაშჩენკოს სადისერტაციო ნაშრომი „Устройство погребальных сооружений и обряд погребения в некрополе питахшей в Армази“ 1945 წ. (ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი), რომელშიც მოცემულია აგრეთვე საერთო სტატისტიკური და მიმოხილვითი მონაცემები. ახლა იხ. აგრეთვე III თავი აღნიშნულ პუბლიკაციაში.
3. მცხეთა I, თბილისი, 1955, გვ. 22
4. მცხეთა I, თბილისი, 1955, გვ. 22, 28. სხვათა შორის, მეორე სამარხის მოზრდილი მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოღუნული მუხლებით (გვ. 22, 40)
5. იხ. გახსნილი სამარხის ფოტო: ქვის ფილაზე, თავის მარცხნივ განლაგებულია გადაბრუნებული თასი (13) – ე.ი. იქიდან გადმოვარდნილი? – და მიცვალებულის წელს ქვემოთ თეფში (16), რომელიც ჩამოსრილდა (მიცვალებულიდან და) ფილიდან.
6. მცხეთა I, თბილისი, 1955, გვ. 46; E. Придик, Новые кавказские клады (Материалы по Археологии России, вып. 34), 1914, табл. II.
7. A. Riegl, Die spätrömische Kunstindustrie nach den Funden in Österreich-Ungarn, I Teil, Wien, 1901 (Folio), გადაბეჭდილია in-8 1927 წ. სათაურით Spätrömische Kunstindustrie (Verlag der österreichischen Staatsdruckerei in Wien). ქვემოთ ვუთითებთ ბოლო გამოცემას.

იზისათვის, რომ ჩაუღრმავდეთ უშუალოდ არმაზის პიტიახშთა ნეკრო-პოლის მხატვრულ ნაწარმოებთა არსს, უპირველესად ყოვლისა უნდა შეჩერდეთ სამ ნივთზე, რომლებიც აღნიშნული ტექნიკის ძირითად ვარიანტებს და მხატვრულ მიდგომათა მონაცემებს აელენს, შემდეგ კი მოვიხმოთ ნივთების დანარჩენი მასა. მათ შორის პირველი იქნება სატევეარი პიტიახშ ბერსუმას სამარხიდან (III სამარხი), სწორედ მისი შემორჩენილი სახელურის განხილვა მიგვიყვანს, ალოიზ რიგლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ტექნიკისა და მის საფუძვლად არსებული მხატვრული მიზანსწრაფვის არსის ნედომასთან (in das Wesen dieser Technik und der ihr zugrundeliegender Kunstabsicht).¹

ბერსუმა პიტიახშის სატევერის ტარი ოქროსგანაა დამზადებული (ფერადი ტაბ. III და LII-LIII), მასში ჩასმულია ოქროს ზედაპირთან გასწორებული გამჭვირვალე ნიჟელი ქვეები და მწვანე (თავდაპირველი) პასტა;² თითოეული ალმანდინის 77 და ფირუზის 8 თუ 6 (?) პატარა სამკუთხა თელიდან მომიჯნავესაგან ოქროს მეტ-ნაკლებად სქელი ზოლითაა გამოყოფილი. 75 ალმანდინის ქვა განლაგებულია 11 სანტიმეტრის სიგრძის ტარის ექვს ნახნაგზე, დანარჩენი ორი მრგვალი ქვა ჩასმულია მის ზედა ნაწილში და შემოსაზღვრულია ამჟამად გაუფერულებული და ამიტომ გათეთრებული ფირუზის (პროფ. გ. ლემლინის განსაზღვრით) ოთხი სამკუთხედით. ტარის სავარაუდო პირითი მხარის შედარებით ფართო, ზემოთკენ გაფართოებული შუა ნახნაგი შემკულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ალმანდინის თელებით: ოდნავ რომბული ფორმის შუა თვალი ნახნაგზე კუთხით სიგრძივად ჩასმული და შემოსაზღვრულია ღია ფერის ფირუზის ოთხი სამკუთხედით, რომლებიც აგრეთვე ოქროს ზოლებს შორისაა მოთავსებული. ზემოთ და ქვემოთ სიმეტრიულადაა განლაგებული ერთნაირი ფორმის ალმანდინის თელები: კვადრატული, მრგვალი, სწორკუთხა და მრგვალი. ამას გარდა, სულ ზემოთ არის კიდევ ერთი ყველაზე დიდი სწორკუთხა ალმანდინი (სულ 10). ზურგის მხარის შესაბამის ფართო ნახნაგზე მხოლოდ ალმანდინის ქვებია ოქროს ზოლებს შორის, შუა ოვალური (მრგვალთან მიახლოებული) ფორმის თელიდან მოყოლებული, ზემოთ და ქვემოთ სიმეტრიულად მეორდება ნითელი აქცენტები - სწორკუთხა, მრგვალი და სწორკუთხა ალმანდინის ქვები (სულ 11).³

სატევერის ტარი სქელკედლიანია, შიგნით ღრუ, ოქროს ფირფიტა (ფოლგა) თხელია.

პიტიახშ ბერსუმას სატევერის ტარი მკაფიოდ გამოაქვს ეპოქის მხატვრულ მიდგომას, მის გამძაფრებულ ინტერესს ფერადოვნებისა და ბზინვარებისადმი, რაც ორნამენტის გეომეტრიულ ნყობაშია განხორციელებული. ე. ი. ინტერესი სახისადმი, რომელიც რაიმე საგნობრივი შთაბეჭ-

დილებების შექმნისკენ კი არ მიისწრაფის, არამედ მოქმედებს მაცურებლის თვალზე მხოლოდ წყობის თანაბარზომიერებით და ერთიან მოელვარე ზედაპირზე ოქროსა და მუქი ნითელი ქვების მსუყე ტონების მონაცვლეობით; ბაცი ფირუზის მცირე ზომის ცივი წერტილები ემსახურება მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის, კონსტრუქციის ცენტრის ხაზგასმას. ორნამენტი მთლიანად არ შეიძლება დაეახასიათოთ, როგორც ამას აკეთებდა ალ. რიგლი დავსლეთევროპულ ნივთებთან მიმართებაში, კერძოდ, V საუკუნის შუა წლების აღმანდინით ინკრუსტირებულ აპახიდის (ავსტრია) ბალთასთან დაკავშირებით, როგორც ბრძოლა, დაძაბულობა, კონფლიქტი ფონსა და ორნამენტს შორის, როგორც მისწრაფება ამ ორი ელემენტის მიჩქმალვისა და გაუქმებისაკენ და როგორც მისწრაფება სივრცის კოლორისტული შევსებისაკენ, ორნამენტში მოძრაობის ხაზგასმისაკენ ოქროს ზოლებით შექმნილი ტეხილი, მოძრავი კონტურების მეშვეობით.⁴ მზერსუმა პიტიახმის სატევრის და არმაზის სხვა ნივთების ანალიზი გვიჩვენებს მათ მიმართ ალ. რიგლის დასკვნების მიუღებლობას,⁵ რომელთა თანახმად, თითქოს ამგვარ სამკაულთა კონსტრუირებას საფუძვლად უდევს ფონის დაპირისპირება ორნამენტთან, რომელსაც ესა თუ ის საგნობრივი შინაარსი აქვს (ყლორტი, ფოთოლი და სხე.); რალა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია მისი მტკიცება ამ სამკაულში „დამატებითი მოტივების“ შექმნის შესახებ, რომლებიც თუმცა შექმნილია მოცემული სიბრტყის შიგნით მხატვრული კომპოზიციის ნებით, მაგრამ რომლებიც სიუჟეტისამგვარ ფიგურებს (მუხუდოს, ნუშის, ორმაგი ნუშის, ნახევარმთვარის, ფარფლის, გულის და სხვათა ფორმებისა)⁶ ქმნის: არაფერი ამის მსგავსი არ არის ბერსუმას სატევრის სახელურზე, ეს წმინდა ორნამენტული კონსტრუქციაა, რომელშიც ამაოდ დაინიყებთ ორნამენტსა და ფონს შორის განსხვავების ძებნას. მგვარად, არმაზის ნივთებში არ არის და არც შეიძლება იყოს წინააღმდეგობა იმის გაგებაში, რა შეიძლება მივიჩნიოთ ფონად და რა – ორნამენტად, რასაც ალ. რიგლი ნახულობს ამ ტიპის ნივთებში და სხვებშიც, რომლებსაც იგი გვიანრომაული ხალოვნების პროდუქციად მიიჩნევს, ე. ი. კონსტანტინე დიდის ეპოქიდან მოყოლებული, ვიდრე კარლოს დიდის ხანამდე. ა. რიგლის ზემომოყვანილ მოსაზრებას ორნამენტში მოძრაობის შესახებ, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ბერსუმას სატევრის სახელურის შემკობის ხასიათს, უნდა დაემატოს მისი განცხადება იმის შესახებ, რომ აღმანდინის ორნამენტი წარმოადგენს „სივრცის შემავსებელ ოპტიკურ-ბრტყელ ზედაპირებს, რომლებიც სამ განზომილებაშია აგებული, ანუ რომელთაც აქვთ სიღრმისეული ზღვარიც და ამიტომაც ისინი მოდელირებულია კიდებზე ანარეკლებით და იმავდროულად ძირითადი სიბრტყიდანაა გამოთავისუფლებული“.⁷ ჩვენი ტარის აღმანდინის თელები არაერთარ სიღრმეს და აღქმის სივრცობრივობას არ ქმნის – მათში არ გამოსჭვივის გამჭვირვალება, არამედ მხოლოდ მათი მოელვარე, გაპრიალებული ზედაპირი, რომელიც ერწყმის ოქროს სიბრტყე-

ების მოციმციმე ელვარებას, გამოიყოფა მათგან მხოლოდ ფერით ისევე, როგორც ორ ადგილას ჩანვეთებული ფირუზის პატარა სამკუთხედები. ეს დებულბაც რელიეფურობისა და ამ ტიპის შემკულობის თითქოს და ანტიკურობიდან წარმომავლობის შესახებ აგრეთვე უკუგდებულია ბერსუმას სატევრის სახელურის უბრალო ანალიზით.

სამაგიეროდ, საეცებით მართებულად მიმაჩნია ა. რიგლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ძირითადი გეზი აღებულია ფერადოვნებაზე, სხვადასხვა ფერადოვანი ლაქების - მუქი და ნათელი - თანაბარზომიერ მონაცვლეობაზე, მათ ხატოვან განანილებაზე, მათ მოელვარე, ბზინვარე და ციე მქრქალ ზედაპირზე.⁸ ბერსუმა პიტიახშის სატევრის განხილვისას გამოგვადგება ალ. რიგლის გამონათქვამი ძველი ეგვიპტური ხელოვნების ფერადოვანი გეომეტრული ორნამენტების შესახებ: „არავინ არ კითხულობს ფონს, რადგან მთლიანობაში ისედაც უცვლელია არსებული მშვიდი სიბრტყის შთაბეჭდილება“.⁹ როგორი „Kunstwollen“ ვლინდება ალმანდინით ინკრუსტირებულ გვიანრომაულ ოქროს ნივთებში, თუ ასეთები კიდევ შეიძლება გამოიყოს ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის გერმანული ტომების ე.წ. „ბარბაროსული“ პროდუქციიდან, როგორც ეს სცადა ალ. რიგლმა და რაზეც - თუ მე სწორად მესმის ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურა და თუ არ არის კიდევ რაიმე სხვა, ჩემთვის მიუნვდომელი, სადაც ეს სხვაგვარადაა გააზრებული - უარი თქვას ამ მასალის მკვლევრებმა - ეს სხვა საკითხია; შესაძლოა, მიზანდასახულობათა ხაზგასმული განსხვავება, ფორმათა გარეგნულ მსგავსების დროს, მოგვცემს ა. რიგლის მიერ არაერთგზის ხაზგასმული მოვლენის ძალზე საინტერესო მაგალითს, როდესაც გარეგნული მსგავსება ფარავს ფორმათა შინაგანად საპირისპირო მისწრაფებებს.¹⁰ ერთი რამ კი უეჭველია, ევროპის ხალხთა ხელოვნების დიდი და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გაშუქებას, როდესაც ისინი მძლავრად მიაბიჯებდნენ კულტურის მაღალი საფეხურისკენ, რაც სხვადასხვა - და ამასთანავე სიღრმიევი - მხარეებით განუზომლად მაღლა იდგა საბერძნეთისა და რომის ანტიკურ კულტურაზე, დღეს ძნელად ღა გამოუჩნდება ძველი გაგების მომხრეები, რომლის თანახმად, იგი თითქოს მხოლოდ ბუნებრივი გამგრძელებელია ანტიკური კულტურის განვითარებისა IV-VIII საუკუნეებში. დღეს უკვე გაცხადებული და გაზიარებულია, რომ ამ ხალხთა მხატვრულ კულტურაში, რომლებიც მსოფლიო ასპარეზზე IV და შემდგომ საუკუნეებში გამოვიდნენ, გრძელდება დამოუკიდებელი განვითარების ხაზი, თუმცა ღა მძლავრი ძერებით, რადგანაც იგი იძულებული იყო დაჩქარებული ტემპით აეთვისებინა, გადაემუშაებინა და გამოეყენებინა თავისი განვითარების სრულიად განსხვავებულ გზაზე ანტიკურობის მხატვრული კულტურა, რომელსაც ეს ხალხები შეხვდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. როგორც ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევებში, გადაუმუშავებელი მზა მხატვრული ფორმულებისა და კომპოზიციების განმეორების გვერდით,

უმეტესად გვხვდებოდა ანტიკურობიდან ამოკრეფილი, ახალ მოთხოვნილებებთან მორგებული და გადააზრებული წერილმანები.

ამ ტიპის მხატვრული ნაწარმოებების მეორე ნაირსახეობას, მათი ტექნიკის არსისა და მხატვრული მიდგომის თვალსაზრისით, წარმოადგენს არმაზის ყველაზე ადრეულ, პიტიახშ ასპაერუკის სამარხში (ახ.წ. II საუკუნის II ოცნლეული) აღმოჩენილი სამკაულები, რომელთაგან თავდაპირველად შეეჩერდებით მის სატივარზე, უფრო ზუსტად, სატივერის ქარქაშის ოქროს გარსაკარავზე (3, ტაბ. I bis, ნახ. 9, ტაბ. XXXVII, XXXVIII). თხელი ოქროს ფირფიტის (სისქე — 0,5 მმ.) ერთიან გლუვ ზედაპირზე, რომელიც მომრგვალებულია სიგრძივ ნიბოებზე, შუა ვერტიკალის გასწვრივ ჩამწკრივებულია ოქროსივე კვადრატული ბუდეები მწვანე მინის თვლებით, რომლებიც ძლიერ დაზიანებულია ირიზაციით. ამ წერილ ვერტიკალს ზემოთ და ქვემოთ აქვს დამაგვირგვინებელი — ასევე ფერადოვანი — აქცენტები და კიდევ ერთი საშუალოდო აქცენტია ქვემოთ, სიმაღლის დაახლოებით 1/3-ის დონეზე. ქარქაშის საერთო სიგრძეა 23,1 სმ. მისი შემამკობელი ფერადოვანი ჩანართების ბუდეებს აქვთ სრულიად უბრალო, გლუვი, 4 მმ (?) სიმაღლის კედლები, რომელთა ონდავ გადმოკეცილი ზედა კიდეებითაა დამაგრებული თვლები. ოქროს ფირფიტის ზურგის მხრიდან მკაფიოდ განირჩევა პირით მხარეზე დადებული დეკორის მთელი ნახატი — იგი დარჩილულ თვალბუდეების ჩაზნექილ კონტურებში აისახება. ოქროს თვალბუდეებით შედგენილი სატივერის შემკულობა სამი ფერითაა შექმნილი: ძირითადი ღერძის ზემოთ და ქვემოთ სიმაღლის ერთი მესამედის დონეზე გაფართოებული შვერილები დაახლოებით ერთი ზომის (0,5 x 0,5 სმ.) მწვანე ამობურცული კვადრატებითაა შედგენილი; ვერტიკალზე სულ 19 ასეთი კვადრატია, კიდევ ორია ქვემოთ სიმაღლის მესამედის დონეზე და ორი მწკრივი, თითოეულში ოთხ-ოთხი ბუდით, ზედა ნაწილში. ამ უკანასკნელ მწკრივთა შორის დაახლოებით ამავე ზომის, ოღონდ ოვალური ფორმის ოდნავ ამობურცული ნითელი მინის თვლების მწკრივია. უფრო ამობურცულია ზედა შვერილებზე მოთავსებული ოთხი მსხვილი მინის თვალი, პორიზონტალური მწკრივების შესატყვისად, ორი, უფრო მომცრო მრგვალი ფორმისა მოთავსებულია ქარქაშის ქვედა შვერილზე, სამთელიანი მწვანე მინის კვადრატების განივი მწკრივის გვერდებზე. ბოლოს, ქვედა დამაგვირგვინებელ რგოლს წარმოადგენს სრულიად ბრტყელი ლურჯი მინანქრის ოვალური მედალიონი ოქროს ტიხართა ნახატი.¹¹

ასპაერუკ პიტიახშის სატივერის ქარქაში ასევე ავლენს იმ ეპოქის ხელოვნების გამძაფრებულ ინტერესს ოქროს თბილ ელვარებასთან ფერადოვანი ლაქების შეხამებისადმი. ამასთანავე, ეს მიღწეულია მხოლოდ უმარტივესი გეომეტრიული ფორმების (კვადრატი, სწორკუთხედი, ოვალი, წრე) ორნამენტული განლაგებით მარტივი რიტმით და მათ განლაგებაში რაიმე სიუჟეტური ფიგურის გარეშე. ამგვარად, ა. რიგლის ზემოთ განხილული სხვადასხვა

სპეციფიკური მტკიცებულებანი, რომელნიც ხსნიან და ადასტურებენ ამგვარ საგნებში მათ გვიანრომულ ბუნებას და მათ სწორედ ამგვარ წარმოშობას, ასპავრუკის სატერის მიმართ სრულიად მიუღებელია. მთავარი დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ყველა ფერადი ქვა არა მხოლოდ არ არის ოქროსთან ერთ სიბრტყეში განლაგებული, არამედ მასზეა დამაგრებული ოქროსავე საგანგებო ბუდეებში და ამას გარდა მათ აქვთ ამობურცული ზედაპირი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ქვების ელვარებას. მხოლოდ ტიხრული მინანქრის მედალიონი, როგორც ამას მისი თავისებურება გვიჩვენებს, ერთ კარგად გაპრიალებულ პორიზონტალურ ზედაპირადაა მოსწორებული. სადა ბუდეებში ჩასმული ქვების დამაგრებას ოქროს ზედაპირზე ა. რიგლი ადასტურებს, როგორც ჩვეულებრივ ხერხს და კიდევაც აღნიშნავს, როგორც საიმპერატორო რომისთვის დამახასიათებელს განვითარების „საკუთრივ გვიანრომულ სტადიაზე“.¹² განიხილავს რა ნიმუშებად ფიბულას დიდი სარდიონით Szilágy-Somlyó-ს მეორე აღმოჩენიდან და ფიბულას Nagy Mihály-დან,¹³ ა. რიგლი აღნიშნავს, რომ მათზე დამაგრებული დიდი თელები სადა ბუდეებში ასაბუთებს „ნაწილობრივ დაბრუნებას“ ტაქტიკურ (სხვაგვარად: ხაპტიკურ) აღქმასთან, განვითარების სანყის საფეხურთან, თუმცა გარკვეულად განსხვავდება ადრეული საიმპერატორო ხანის მისი ფორმებისაგან იმით, რომ ქვებს აქ არა აქვს პოლიგონალური დანახნაგება და მკვეთრად გამოკვეთილი ცალკეული სიბრტყეები, არამედ ამობურცული, მასიური, დაუნანვერებელი ფორმა.¹⁴ ე. ი. ასპავრუკის სატერის სამკაული კვლავ ამსხვრევს „გვიანრომული“ მხატვრული მიზანდასახულების შესახებ მთელ ამ კონსტრუქციას, როგორც ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რადგან Szilágy-Somlyó-ს აღმოჩენები ახლა თარიღდება არა IV საუკუნის II ნახევრით, არამედ V საუკუნის II ნახევრით,¹⁵ ასევე ფორმის სპეციფიკური თავისებურებების მხრივაც.

ძვირფასი თელების ოქროსთან დაკავშირების აქ მოყვანილი თანმიმდევრული „განვითარების სამი სტადია“, რომლებსაც ა. რიგლი ადგენს რომაული ხელოვნებისათვის,¹⁶ როგორც ეს უკვე გაცხადდა არმაზის ნეკროპოლის პიტიახშთა ნივთების შესწავლის შედეგად, არ გამოდგება მათთან მიმართებაში: ა. რიგლი ხაზს უსვამს, რომ ქვების ფერადოვანი მხარე ანტიკურ ხელოვნებაში პირველად ელინისტურ ხანაში იქნა გათვალისწინებული, რადგან საკუთრივ კლასიკური ხელოვნება „საერთოდ პრინციპულად უგულვებლყოფდა ქვისგან გარდაუვალი ოპტიკურ-ფერადოვანი შთაბეჭდილების მიღებას“,¹⁷ ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისაგან განსხვავებით, იგი იყენებდა ქვებს მათი სხულებრივი ფორმის ღირებულების მიხედვით, გამოავლენდა რა მას ქვის დანახნაგებით და საგანგებოდ დამუშავებულ, დამოუკიდებელ ბუდეში ჩასმით. ადრესაიმპერატორო ხანაში პატიოსან თვალთა ფერადოვანი ღირსებებისადმი ეს „შემწყნარებლობა“ გადაიქცევა სიყვარულად, II საუკუნის შუა წლებიდან კი მათი ფერადოვნება უკვე

სავსებით აკმაყოფილებს მხატვრულ მოთხოვნილებებს. ასე ყალიბდება „განვითარების სამი სტადია: 1) ქვის დამაგრება ზემოდან ლითონზე; ქვა დანახნაგებულია მკაფიოდ გამოკვეთილ სიბრტყეებად და ამგვარად ალიქმება ტაქტიკურად და ამასთანავე, თავისი ბუნებრივი შეფერილობით იწვევს ოპტიკურ ზემოქმედებას. 2) ქვის (ალმანდინის) ინკრუსტაცია ლითონში; ქვა და ლითონი ქმნის ნახატის ტოლფას, ყოველ შემთხვევაში მოძრავ, ერთ საერთო ბრტყელ ფონს. 3) საკუთრივ გვიანრომული სტადია: ოქროთი და ალმანდინის თვლებით შექმნილ მოძრავ ფონზე დამატებით ამაგრებენ ქვებს – ბუდეების გარეშე, თანდათან კი მათ ბუდეებში სვამენ; ამასთან, ეს ქვები აღარ არის დანახნაგებული, არამედ აქვთ არამკვეთრი, მომრგვალებული ფორმა (*“in unklarer Krümmung”*).¹⁸ ჩვენს ამოცანას არ შეადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება ფორმულირებებით ასე მკაფიოდ (როგორც ყოველთვის ა. რიგლთან) გამოიჯნული განვითარების ეს სტადიები რომაული და ბიზანტიური ხელოვნების ფაქტებს | ან თუნდაც II საუკუნიდან VIII, ან თუნდაც VI საუკუნემდე, ე. ი. არის თუ არა მის მიერ განხილული III, IV, V საუკუნეების ნიმუშები ნამდვილად რომაული ხელოვნების ძეგლები. მაგრამ არ შეგვიძლია ხაზგაუსმელად გვერდი აუუაროთ ზემომოყვანილი თარგმნილი ციტატის შემდეგ გაკეთებულ შენიშვნას, რომელიც მეორე და მესამე სტადიებს ეხება: „საერთოდ საეჭვოა, საჭიროა თუ არა მეორე სტადიისათვის ცალკე გამოიჯნული ქრონოლოგიური პოზიციის გამოყოფა; უფრო საყარაუდოა, რომ ნახატის ფონთან გაიგივებასა და ნიველირებას უშუალოდ მოჰყვა მასობრივი კომპოზიციის ახალი ნახატის ზემოდან დადება. მეორე მხრივ, ადრესამიპერატორო ხანის ბუდეში ძველებურად ჩასმულმა ქვებმა III საუკუნის შემდეგაც არ შეწყვიტა თავისი არსებობა, მაგრამ თავის მხრივ შეძლებისდაგვარად მიუახლოვდა ალმანდინით ინკრუსტაციას.¹⁹ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ა. რიგლი, განვითარების სტადიების მკაფიო თეორიული განსაზღვრის შემდეგ, მკვლევრისთვის დამახასიათებელი პატი-ოსნებით, იქვე თავადვე უარყოფს მათ, როდესაც მიმოიხილავს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ბუნებრივია, რომ ალქმის ტაქტიკური მეთოდის რეციდივების გაგრძელებისა და კვლავ გამოვლინებების, პოლიქრომიის გამოყენების შესახებ (რიგლისეული გამოთქმით) და ა. შ. ა. რიგლის მიერ გაკეთებულ შენიშვნებთან ერთად, რომაული მხატვრული ინდუსტრიის განვითარების მთელი პროცესი იმ პერიოდში, რომელსაც იგი შეისწავლიდა, უნდა გაგებულ იქნას სრულიად განსხვავებულად, ვიდრე ამას აკეთებდა თავად მკვლევარი. კერძოდ, არა როგორც ბუნებრივი, რომაელთა და რომეების მიერ დაგროვილი შემოქმედებითი ძალებით შექმნილი, არამედ მნიშვნელოვანწილად, როგორც მოსახლეობის ახალ ელემენტებთან, განსხვავებულ მხატვრულ ჩვეებთან და განსხვავებულ მხატვრულ ცოდნასთან მათი შეთანხმებითა და შერწყმით გაპირობებული.²⁰

მგვარად, ასპავრუკის სატევარი შემკული იყო ოქროს დიდ გლუვ

ბზინვარე სობრტყეებზე დადებული მრავალრიცხოვანი მწვანე, მინაველებული ელვარების მინის თვლებით, რომლებიც ოქროს ზედაპირიდან იყო ამონეული; ნითელი მინის თვლების აქცენტები კი ემსახურებოდა მხოლოდ მწვანე თვლების დამატებით გამოკვეთას და მათ მოჩარჩოებას. ასეთივე დანიშნულება აქონდა ქვემოთ, ქარქაშის ნეერზე უპირველესად ფერთა და შემდეგ გლუვი, გაპირალებული ზედაპირით გამოჩრეულ მინანქრის მედალიონს. ამგვარად, სატევრის მთელი სამკაული ერთიანად წარმოადგენს სახმარი ნივთის მხატვრული გაფორმების ამოცანის წმინდა კოლორისტული, ორნამენტული გადანყვეტის მკაფიო ნიმუშს. მისი განხილვა გეაიძულებს ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებში შევიტანოთ კიდევ ერთი შემდგომი ფაქტობრივი კორექტივი.

პროფ. ლ. მაცულევიჩი თავის საგულისხმო ნაშრომში ქერჩის თასის შესახებ, რომელიც მან განსაზღვრა, როგორც კონსტანცი II-ის თასი (337-361), ეხება ამ ნივთთან დაკავშირებულ სხვა საგნებსაც სამარხებიდან და ამგვარად აჩერებს ყურადღებას ჩვენი ტიპის ინკრუსტაციაზეც. იგი აღნიშნავს, რომ „ხალხთა გადასახლების ეპოქის ადრეულ ძეგლებზე“, ე. ი. IV და V საუკუნეებში, და ამასთანავე, „ადრეული შუა საუკუნეების შემდგომ ძეგლებშიც“ მწვანე ჩანართები, თუ ისინი საერთოდ არის, ძალიან მცირე ადგილს იკავებს.²¹ მხოლოდ სახელგანთქმულ „ხოსროს თასზე“ (590-628 წწ.) სენ დენიდან, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და ორ-სამ ნივთზე ქერჩიდან²² და ნოვოჩრეკასკიდან მწვანე და ნითელ ჩანართებს თანაბარი მნიშვნელობა აქვს კოლორისტულ შემკულობაში.²³ ასპავრუკის სატევარი გვიჩვენებს, რომ არმაზის ნივთებში მწვანე და ლურჯი ფერების დამოუკიდებელი, აღმანდინის თანაბარი, ღირებულება დამტკიცებული ფაქტია. მეორე მხრივ, იგი ადგენს, რომ „ცალკეული ამოზრცული ქვებით შედგენილი ორნამენტის ადრეული სისტემა“ რომელიც, ლ. მაცულევიჩის თანახმად, სამხრეთ რუსეთისა და ბოსფორის ამ სტილის სიძველეებში „გვხვდება IV საუკუნის პირველ ნახევარში“,²⁴ არმაზში უკვე II საუკუნეში დასტურდება – სატევრის შემამკობელი თვლების სადა ბუდეებში, ხოლო „ფილიგრანის რკალი“ ვნახავთ მომდევნო საგანზე.

ასპავრუკის სატევარზე, რომელიც ზუსტად თარიღდება II საუკუნის დასაწყისით, უაღრესად ნიშანდობლივია აგრეთვე ტიხრული მინანქრის მედალიონის არსებობა. ტექნიკურ საშუალებათა თანდათანობითი სრულყოფის პროცესი, რომელმაც კულტურული კაცობრიობა ნელ-ნელა, ტექნიკური უძრაობის, ჩიხისა და ა.შ. თანხლებით, ათასწლიანი ძიებების ბოლოს – ხან მოსინჯვით, ხან კი მიზანმიმართულად – მიიყვანა ოქროზე ტიხრული მინანქრის შექმნამდე, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებში იქცა მცირე ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ დარგად, მისი ყველა ეტაპის გათვალისწინებით, არსებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, დეტალურადაა განხილული განსვენებული პროფ. მარკ როზენბერგის

(კარლსრუე) მიერ.²⁵ ნაშრომის ბოლო გვერდზე ავტორი თავად იძლევა მოკლე შემაჯამებელ ცნობებს ამ ეტაპების შესახებ: „ეგვიპტის პრაქტიკაში იყო ოქროზე ინკრუსტაცია, რომელიც თითქმის ტიხრული მინანქრის მსგავსად გამოიყურებოდა, რადგან სისტემა სრულად იყო შემუშავებული, მხოლოდ ბუდეები იყო შეესებული უბრალოდ (უცეცხლოდ) ჩადგმული ან ჩაზელილი მასალებით და არა იმ გამლღვარი მინის მასით, რომელსაც მინანქარი ეწოდება.“

„მინანქრამდე მივიდნენ მხოლოდ კვიპროსზე. მაგრამ რადგან იქ არ იყო ცნობილი ეგვიპტური კოლოფები ინკრუსტაციის უჯრედებით, იქ არ გამოდიოდა არც ინკრუსტაცია, არც ტიხრული მინანქარი, არამედ რალაც მესამე, ფერნერული მინანქარი გავარსით (Drachtemail), მისი თხელი მინანქრით, რომელიც მოთავსებულია არა უჯრედის კედლებს შორის, არამედ შემოსაზღვრულია მხოლოდ უჯრედის ოქროს ოდნავ ამონეული და გაუპრიალებული კედლებით. შემდეგ საქმეში ჩაერთო მიკენი, რომელიც იყენებს ეგვიპტურ კოლოფებს, მაგრამ ავსებს მათ მასით, რომელიც უკვე აღარ არის ეგვიპტური, მაგრამ ჯერ არც მინანქარია, რომელიც კვიპროსზე გვხვდება.“

„ამით დასრულდა განვითარების პირველი ნაწილი. ჯერ კიდევ გვაქვს ძვიდებიანი უჯრები, რომლებიც გადაურჩა ინკრუსტაციული სამუშაოს გარდაქმნას და მეორე მხრივ, ახლახან გამოგონებული მინანქარი. ახლა საჭიროა იყო ორი ხერხის გაერთიანება. ამის მიღწევა მოხდა სრულიად სხვა ტექნიკის მეშვეობით.“

„აღექსანდრიული მინის ნარმოებიდან მომდინარეობს ლურჯი მინის ფირფიტები ოქროთი შემოსაზღვრული ფიგურებით. ისინი თითქმის ისევე გამოიყურება, როგორც ძველეგვიპტური ინკრუსტირებული ნამუშევრები, მაგრამ მათ ოქროს კოლოფები აკლიათ. ეს არის არა ოქრომჭედლის, არამედ მინის ოსტატის ნახელავი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მინა გალღვება ოქროს კოლოფში, ნამუშევარი იქცევა მკაფიოდ გამოსატულ ტიხრულ მინანქრად“.²⁶

ამრიგად, ამ ძიებათა ქრონოლოგიურ ეტაპებს მ. როზენბერგი განსაზღვრავს საშუალო სამეფოს დასაწყისის ინკრუსტაციული ნაკეთობების მწვერვლიდან, ეგვიპტის ფარაონთა XII დინასტიიდან, ე. ი. ძვ. წ. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, შემდეგ ძვ. წ. XIV ს. ან XIII ს. კვიპროსის ლურჯი ფერნერული მინანქრის თხელი სამინანქრო ფენის შექმნა, გვიანდელ მიკენში მინანქრის სხვადასხვა ტონების მომრავლება, თავად მინანქრის ტონების დაზუსტება და მისი გარკვეული შემდგომი სრულყოფა ძვ. წ. პირველ ათასწლეულში, საკუთრივ ტიხრული მინანქრის გამოსახულების უშუალო წინამორბედ ტექნიკურ ხერხამდე, რომელიც ალექსანდრიის მინის ინდუსტრიის მიერ იყო შემუშავებული. ოღონდაც, ვერც დრო და ვერც ადგილი მის მიერ განსაზღვრული ტიხრული მინანქრის შექმნისა, რაც გულისხმობდა კოლოფის ოქროს უჯრედების ძვიდებში გამლღვარი მინის

სმალტის შერწყმას, რომელიც გაცივების შემდეგ უნდა გაპრიალებულიყო, მ. როზენბერგმა ზუსტად ვერ გამოავლინა და ვერ დაადგინა ძეგლების არარსებობის გამო; იგი სწორედ ამას უსვამს გარკვევით ხაზს ზემომოყვანილი რეზიუმეს გაგრძელებაში: „ჩვენ ამას (შერწყმას) ვნაბავთ მოგვიანებით, თითქმის დასრულებული ფორმით, კვადრატულ ფიბულაზე შალანდრიდან (Chalandry) და სილიად-შომლიოს (Szilágy-Somlyó) ორივე მოგრძო ფიბულაზე. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს არ არის პირველად შექმნილი ამგვარი ძეგლები, არამედ პირიქით, უფრო ძველი კულტურული სფეროებიდან წარმოებული ნივთები, და სწორედ იქ უნდა ვეძიოთ ტიხრული მინანქრის პირველსახეები. იმ დრომდე, ვიდრე ჩვენთვის ეს სად და ეს რა ჯერ კიდევ უცნობი სიდიდეებია, ის ლა დაგვრჩენია, რომ ჩვენი განხილვა დავინყოთ ამგვარი ძეგლების ანარეკლიდან, მათი ჩრდილებიდან და მათგან გავადევნოთ თვალი ტიხრული მინანქრის შემდგომ განვითარებას.“²⁷

მარკ როზენბერგის მიერ განხილული ტიხრული მინანქრის შექმნის გზაზე უკანასკნელი ეტაპი (რომელსაც მან უწოდა *Aviculae* - „წინაპრები“, „დიდედები“) კვლავ რამდენიმე განსხვავებული ცდისაგან შედგება. ალექსანდრიულ ნაკეთობათა ნყებაში არის „უკვე გამლღვარი ფონი და ოქროს ტიხრებით შექმნილი ნახატი“.²⁸ მაგრამ არასრული გალღვობის გამო მას ჯერ აკლია კაშკაშა ფერადოვანი გამომსახველობა, რაც გამოწვეულია მინის ფხვნილის მხოლოდ შედედებით. ამას გარდა, ისინი არ არიან გამლღვარნი ერთიან ოქროს საფუძველზე, რაც უკვე - გარე ზედაპირის ერთიანობის არარსებობის პირობებში - გვხვდება ჩვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში სამაჯურზე მეროედან, ქვემო ეგვიპტეში (ამჟამად მიუნქენში).²⁹ ოლონდაც, ერთსაც და მეორესაც აკლია, ბუნებრივია, დამაგვირგვინებელი ტექნიკური თავისებურება - გაპრიალება, რომელიც ტიხრულ მინანქარს საბოლოოდ ანიჭებს მის თვისებას - ფერთა ელვარებასა და თამაშს. ყველაფერს ამას ერთობლივად იგი მოიპოვებს მხოლოდ ახ. წ. V ს-ში რამდენიმე განსხვავებულ ნივთზე, რომლებსაც იგი მიიჩნევს ტიხრული მინანქრის ინკუნაბულებად: *Chalandry-sur-Serre*-ში აღმოჩენილ კვადრატულ ფიბულაზე (ამჟამად ქ. ლანის მუზეუმში), ორ მოგრძო ფიბულაზე ე. წ. სილიად-შომლიოს მეორე განძიდან (ამჟამად ბუდაპეშტის მუზეუმში), ჯვარსანანილეებზე პოლასა (ამჟამად ვენის მუზეუმში) და გრადოში, *Burges* კოლექციის საყურებზე (ბრიტანეთის მუზეუმი).³⁰ ამასთანავე, მარკ როზენბერგი ხაზს უსვამს იმას, რომ თუმცა ტიხრული მინანქრის ყველა ინკუნაბულა დასავლეთ ევროპაშია აღმოჩენილი, ხელოვნების ამ დარგის შექმნა ბიზანტიის იმპერიაზეც უფრო ძველია, და რომ „დარწმუნებულნი ვართ, რომ უფრო საფუძვლიანი ძიებების შედეგად ოდესმე აღმოსავლეთიდან მივიღებთ ადრეულ ძეგლებს. ამიტომ უნდა შევაფასოთ ის მცირერიცხოვანი ადრეული ნიმუშები, რომელთაც ქვემოთ მოვიყვანთ,

უპირატესად, როგორც პარალელური მოვლენები ამ მოძრაობისა, რასაც - ჩვენს თვალთაგან დაფარულად - თავისი სათავეები ჰქონდა აღმოსავლეთში, ხოლო გაგრძელება ბიზანტიის იმპერიაში".³¹

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვგონებ, ზედმეტია არმაზის აღმოჩენის მნიშვნელობისა და მისდამი ინტერესის საგანგებოდ ხაზგასმა. საჭიროა უფრო სრულად წარმოვანიროთ იგი, რათა შემდეგ დავადგინოთ მასთან დაკავშირებული საკითხები.

ასპავრუკის ქარქაშის ნეკრზე მოთავსებული ოვალური მედალიონის (1,2x1,8 სმ. ტაბ. I-bis და ნახ. 9) წინასწარულმა შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მუქი ლურჯი სმალტა გამლღვარი იყო ოქროს საფუძველზე, რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდა (სამწებაროდ, ამის ზუსტად მტკიცება არ შეიძლება, რადგან ბუდეში ჩამაგრებული კიდე კარგად არ ჩანს) კოლოფისებრი ოქროს კიდე და დაახლოვებით ისეთივე სიმაღლის (3-4 მმ.) დამაგრებული თხელი ოქროს ზოლების ნახატი. ოქროს ეს ხაზოვანი ნახატი მედალიონის ფორმით იყო განსაზღვრული: შუა ხაზზე ოქროს ტიხარით გამოყოფილი იყო ასეთივე ოვალი, რომელსაც განივ ღერძზე მედალიონის კიდემდე ამკობდა ხეიბი. ოქროს ხაზით შემოწერილ ოვალში სრულიად სქემატურად შესრულებული ცხოველის თავია. ვფიქრობ, რომ ამ ცხოველის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ოსტატი არ იყო ამით დაინტერესებული; მან გამოსახა ცხოველის თავი ზოგადად, რადგან მიჩვეული იყო ამგვარ ადგილებზე ან ამგვარ ნივთებზე სიუჟეტური კომპოზიციების ხილვას და თვით აღიქვამდა მას, როგორც საერთოდ მთელს მოჩარჩოებას, ორნამენტულ დეკორად. თავად მინანქარი ერთი ფერისაა — მუქი ლურჯი, მთლიანად გამლღვარი. იგი გამოირჩევა სიმკერვით, სიმტკიცითა და ბუმბულების არარსებობით. მინანქრის ფერი სრულიად მკაფიოდაა გამოკვეთილი, კარგად გამოვლენილი. მინანქრის მედალიონი კარგადაა გაპრიალებული ერთ მთლიან ზედაპირად - როგორც მუქი ლურჯი მინანქარი, ასევე მისი ოქროს ტიხრები. სამწებაროდ, მინანქრის ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს გადაკრავს ირიზაციის მსუბუქი მოთეთრო ელფერი,³² თუმცა მნიშვნელოვნად უფრო სუსტი და ნაკლებ დამაზიანებელი ხარისხით, ვიდრე ამავე სატყერის ვერტიკალურად განლაგებულ მწვანე მინების კვადრატებს. მინანქრის მედალიონი, როგორც აღინიშნა, მოთავსებული იყო ქარქაშზე მიჩრილულ გლუვ ბუდეში, რომლის ოდნავ გადმოკეცილი კიდეები ამაგრებს მას ადგილზე.

ამგვარად, ჩვენს წინაშეა ოქროს ბუდეში ჩასმული ტიხრული მინანქრის სრულყოფილად დამუშავებული ტექნიკური ნიმუში (cloison, Zelle). იგი არსებითად განსხვავდება VI-XV საუკუნეების ჩვენთვის აქამდე ცნობილ ტიხრული მინანქრებისაგან მხოლოდ იმით, რომ გამოყენებულია მხოლოდ ერთი ფერის მინანქარი, რომლის გლუვ, მოვლევარე ლურჯ ზედაპირთან შეხამებულია ასევე მოვლევარე, საკმაოდ სქელი (მოგვიანო ხანის ტიხრულ მინანქართან შედარებით) ოქროს ნარინჯისფერი ხაზები, რომლებიც

მინანქრის ზედაპირზე ხვიებს ქმნის.³⁴ სხაგვარად რომ ვთქვათ, მოცემული მინანქრის მედალიონი ასპაერუკის სატევრის ქარქამის ოქროს მოპირკეთების ფერადოვანი აქცენტების სერიაში ერთად-ერთად რჩება; მას არა აქვს საგანგებო ყურადღების მიპყრობის პრეტენზია, როგორც ეს იქნებოდა, აქ რომ ყოფილიყო მრავალფერადი სახეები ან, მითუმეტესად, სიუჟეტურად გამოკვეთილი თავი. სწორედ მთლიანი დეკორის სისტემაში სხვა სამკაულებთან თანაბარი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ოქროს ტიხრებით შემოხაზული ცხოველის თავის კონტური, თვალისა და ყურის წრეებით – დროისა და ქვეყნის ძირითადი მხატვრული მიზანდასახულების არსით – მხოლოდ ორნამენტული მოტივია; „სიუჟეტური“ მხარე კი სრულიად უგულებელყოფილია მხატვრის მიერ, გაბათილებულია.

ამ მედალიონის ფერი და აქვე ვთქვათ არმაზის პატარა ბეჭდის მინანქრის მედალიონის იგივე ფერი (211, ნახ. 136, 22) მას ალექსანდრიის მინის წარმოებასთან აკავშირებს, კერძოდ, მინანქრის Aviculae-თა მის ჯგუფთან, როგორც მათ უწოდა მ. როზენბერგმა და საიდანაც მას გამოჰყოფდა მინანქრების ე. წ. „საფირონის“ ჯგუფი. ეგონებ, სავსებით ბუნებრივია მედალიონის შუაში ცხოველის თავის მოთავსება შეეუფარდოთ მ. როზენბერგის მიერ I ტომში მოყვანილ (გვ. 40-41) მინებს, მათში ჩართული ოქროს ჩიტებით, ფოთლებით, ე. ი. ნატურალური სიუჟეტებით (ან ადრეული მინანქრები).³⁴ ვითვალისწინებ რა მედალიონის კარგ შეხამებას არა მხოლოდ მთლიანად ქარქამთან, არამედ განსაკუთრებით ორნამენტულ მიზანდასახულებაზე გათვლილ არმაზის კულტურის საერთო ხასიათთან, ბუნებრივად მესახება ამ მედალიონის მიჩნევა არა შემოტანილ ნივთად, არამედ საქართველოში დამზადებულად, ე. ი. აღიარება იმისა, რომ ალექსანდრიაში შემუშავებული ეს ტექნიკა უკვე ახ. წ. II საუკუნეში სრულად იყო ათვისებული საქართველოშიც.³⁵

არმაზის მხატვრული წრის მესამე ნიმუშად, რომლის განხილვა კიდევ რამდენიმე ნიშნით შეავსებს ამ მხატვრული პროდუქციის სპეციფიკაში სრულ შესვლას, გამოგვადგება ჭვირული რკალებისაგან შედგენილი ყელსაბამი, წინა ნაწილის ცენტრში დამაგრებული კოლოფით (82). ეს ყელსაბამი (ფერადი ტაბ. IV და ტაბ. LXVI) წარმოადგენს კონსტრუქციულად ხისტ, არა-ელასტიურ ყელის სამკაულს, რომელიც მკერდზე ჩამოდიოდა (ყელსაბამით შექმნილი ოდნავ მოგრძო წრის სიგანე – დაახლოებით 20-22 სმ.). მკერდზე განთავსებული კოლოფი (დიამეტრი 5 სმ. და სიმაღლე 1,8 სმ.) როგორც ყელსაბამის ცენტრალური და მთავარი რგოლი, მიმაგრებული იყო ყელსაბამის ორ შემადგენელ რკალზე ყუნთან დაბნეული ისეთივე სამსჭვალეებით, როგორითაც ყელსაბამის ზურგზე მოთავსებული შესაკრავი. კოლოფი შედგება ორი თხელი ოქროს ფირფიტისაგან – სარქველისაგან, ოდნავ შესამჩნევი ძვიდით და ფსკერისაგან; მრგვალი კოლოფის კედლები კი შედგენილია ოქროს მავთულის რკალებით (დიამეტრი 3-4 მმ., მავთულის

ისსე 0,5 მმ-ზე ნაკლებია), რომლებიც სამ-სამადაა მირჩილული ზემოდან დადებული ოქროს ბურთულებით. კოლოფის სახურავი, ასპაერუკის სატევრის მსგავსად, შემკულია ზემოდან დამაგრებული ნაირფერი სამკაულით. ორნამენტული ფიგურა ოქროს მრგვალ არეზე ცენტრიდან სიმეტრიულადაა აგებული: ძირითად სამკაულს შეადგენს ამობურცული წითელი და მწვანე თვლები (ალმანდინი და ფირუზი, მალაქიტი?), მათი დანამატია ოქროს პატარა ბურთულები (დიამეტრი 2-3,5 მმ.) და გრეხილი ოქროს მავთული. ცენტრალური ფერადოვანი აქცენტი ამჟამად აღარ არის - ქვა ამოვარდნილია, თანაბრად განანილებული ფირუზისა და ალმანდინის თითქმის ერთი ზომის ნუშისებრი ფორმის თვლები (ზომაში განსხვავება არ იგრძნობა ფორმის გამო) თანაბრად მონაცვლეობს: ხუთი მწვანე ფირუზი და ხუთი მუქი წითელი ალმანდინი. ყოველი ასეთი ქვა ნანვეტებული ბოლოთი ცენტრისკენაა მიმართული. ოქროს თვალბუდეები მარტივი ფორმისაა, ისევე, როგორც ასპაერუკის სატევარზე, მაგრამ მისგან განსხვავებით, ყოველ ბუდეს შემოუყვება ოქროს მარცვლების მჭიდრო წყება. ფილიგრანის მოჩაჩროება, რომელიც გავარსის იმიტაციას წარმოადგენს, ოდნავ ამაღლებულია კოლოფის კიდეზე და ამით კომპოზიციაში შემოაქვს სამკაულის ერთი და იგივე ელემენტი. ცენტრალურ ფერადოვან რგოლს, რომელიც ოქროს ბურთულებითაა შემოსაზღვრული, ემატება მჭიდროდ მირჩილული ნახევარბურთულების წრე, რომელთაგან თითოეულზე ოქროს პატარა მარცვალაა დამაგრებული. კოლოფის სარქველის ამ შიდა რგოლის საპასუხოდ, მისი ფერადოვანი სამკაულის მომრგვალებულ ბოლოებს შორის დარჩილულია შედარებით მოზრდილი ნახევარბურთულები, ყოველ მათგანზე ოქროს პატარა მარცვლით. ამ ბურთულების საერთო რიცხვია 10. ცენტრისკენ მიმართული თვლების წვეტიან ბოლოთა შორის კი დარჩილულია სამ-სამი მარცვალი, სამკუთხედის წვერით მიმართული ცენტრისაკენ. ამგვარად, კომპოზიციაში ერთგვარად ხაზგასმულია ცენტრალური წრე, მის გარშემო ასევე წრიულად განლაგებული ქვების ფერადოვანი მონაცვლეობით. წითელისა და მწვანის თანასწორუფლებიანობა იმაშიც გამოიყვანება, რომ იმ პოზიციაში, რომელშიც კოლოფი იქნებოდა ყელსაბამზე ჩამოკიდებული პატრონის მკერდზე, მის ზედა ნაწილში წითელი და მწვანე თვლები გვერდიგვერდ აღმოჩნდებოდა, ე. ი. არც ერთ მათგანს არ ეძლეოდა უპირატესობა.

ყელსაბამის შემადგენელი ყოველი მილისებრი რკალი, რომელზეც კოლოფი იყო დამაგრებული, შემკულობის იმავე ელემენტებისა და მოტივებისაგან შედგება, რაც თვით კოლოფის სამკაულშია გამოყენებული. კოლოფის მსგავსად მათ აქვთ ოქროს ფსკერი, რომელზეც დამაგრებულია მორკალური, კიდეებზე ფსკერთან დაკავშირებული მილის ჭვირული ნაწილი. ყელის ამ რგოლის ყოველი ნახევარი შედგება სამი ნაგრძელბული ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დამაგრებულია განივი სარტყლებით,

რომლებიც შედგენილია ოქროს თვალბუდეებში ჩასმული ალმანდინის მრგვალი კაბოშონებით, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მოთავსებული ოქროს ნახევარბურთულეებით შემკულ ორ ოქროს ზოლს შორის. მიღების ზედა შუა ზოლზე, სარტყლიდან სარტყელამდე გაჭიმულია მრგვალი ალმანდინების მწკრივი, რომლებიც ერთმანეთთან მათი ოქროს ბუდეებით არიან დაკავშირებულნი (10 და 10, 11 და 13, 11 და 13 ქვა); მათ ორსავე მხარეს კი განლაგებულია რგოლების ასეთივე ორი მწკრივი, ერთმანეთთან, ალმანდინების მწკრივთან და ოქროს ფსკერთან დაკავშირებული თითოეულ მათგანზე ზემოდან დარჩილული ოქროს მარცვლების მეშვეობით. ე. ი. გამოყენებულია იგივე ელემენტი და მოტივი, რაც კოლოფის კედლებზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყელსაბამის მილაკებზე ფერადოვანი აქცენტები მხოლოდ ალმანდინებითაა შექმნილი, უფრო სარწმუნოა ვარაუდი, რომ კოლოფის ცენტრალური ქვა არჩეული იქნებოდა ფერთა მონაცვლეობის პრინციპით, ე. ი. რომ აქ ჩადგმული იყო ფირუზი.

ალმანდინი და ფირუზი, ასპავრუკის სატევრის ქარქაშის მსგავსად, აქ კოლოფის სარქველის სიბრტყეზე ბუდეებში იყო დამაგრებული, ყელსაბამის რგოლზე კი იმ სიბრტყის ზემოდან, რომელშიც განთავსებულია მისი ცალკეული რგოლები. სატევრის ქარქაშის მსგავსად, თვლების ეს დამაგრება ქმნის ოქროს ფირფიტების უკანა მხრიდან გასარჩევ ნახატს მათზე დარჩილული თვალბუდეების კონტურების ჩანაჭდეების წყალობით. ყოველი ქვა შემოსაზღვრულია, როგორც ითქვა, ცვარას წვრილი მარცვლების (0,05 მმ.) მჭიდრო მწკრივით.

სერაფიტას ეს ყელსაბამი უნებურად გვაფიქრებინებს, რომ კოლოფის ჭვირულ კედლებსა და ყელსაბამის ჭვირულ რგოლებში უთუოდ სარჩული უნდა ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით ბუნებრივი ჩანს კოლოფისათვის, რომლის დანიშნულება არ გულისხმობდა ნახვრეტების არსებობას, რომლიდანაც მისი შიგთავსი გადმოცვივდებოდა. თუმცა ყელის რკალი მხოლოდ ორი ფერადოვანი ელემენტით – ნითელი და ოქრო – შესაძლოა წარმოვიდგინოთ მესამე დამატებითი ელემენტით – ქსოვილის სარჩულით შევსებული.³⁶

ზევახ პიტიახშის ქალიშვილისა და „ეპიტროპის“ იოდმანგანის მეუღლის, მშენიერი სერაფიტას ყელსაბამი ახ. ნ. II საუკუნის დასასრულის სამარხიდან სრულად შეესაბამება ეპოქის ძირითად მხატვრულ მიდგომას, როელიც გულისხმობს ფერადოვანი მომენტების, მათ შორის ოქროს, თანხმინაობით წმინდა ორნამენტულ დამუშავებას. აღნიშნული ყელსაბამი გვიჩვენებს შემკულობაში ახალი ელემენტების გვერდით, როგორიცაა ზოგიერთი ნაწილის ჭვირულობა, გავარსი და ფილიგრანი, რომლებიც ცნობილია ორი სატევრის ზემოთ განხილული ნაწილების მიხედვით, იმ ეპოქის ხელოვნების ძირითად მახასიათებელ ელემენტებს – ოქროს ზედაპირზე დადებულ სამკაულში ორი ფერის თვლების – ნითელი ალმანდინისა და მწვანე (resp. ცისფერი) ფირუზის მონაცვლეობას და ოქროს ელვარებასთან მათ

შეხამებას. ეს ქვეები არ წარმოადგენდა ცენტრიდან აგებულ ერთიან ორნამენტულ-ფერადოვან ფიგურას, სადაც ცენტრალურ აქცენტს ეპასუხება ერთმანეთში ჩასმული ორი – ნითელი და მწვანე – ხუთსხივიანი ფიგურა. ეს ჩანს იქიდან, თუ როგორაა კოლოფი დამაგრებული ყელსაბამზე: ყელსაბამის ხმარებისას, როდესაც კოლოფი მკერდზე იყო განთავსებული, ქვემოთ და ზემოთ თანაბრად ნაწილდებოდა ნითელი და მწვანე ქვეები და არა ერთი რომელიმე მათგანი. მათი განლაგება ემყარებოდა მარტივი მონაცვლეობის პრინციპს. ამიტომ, რომ ცენტრალური ბუდიდან ამოვარდნილი ქვა, ჩემი ვარაუდით, მწვანე უნდა ყოფილიყო, როგორც კონტრასტი საკუთრივ ყელსაბამის რგოლის შემამკობელი მუქი ნითელი ალმანდინების ერთიან მწკრივთან. თუმცა, აქ ალმანდინის არსებობაცაა შესაძლებელი.

ამგვარად, ამ ყელსაბამის ძირითადი აგებულება მიუყვება ბერსუმასა და ასპერუკის სატევრებში გამოვლენილ, წმინდა გეომეტრიულ ორნამენტაციაზე გათვლილ მხატვრულ ამოცანას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ შეხებას განსაზღვრული საგნებით კონკრეტულ დაინტერესებას. ამოცანის ფერადოვანი გადანყვეტა გაპირობებულია ერთი მხრივ, იმავე მომენტებით, რაც წინა ორ ნიმუშში, ამასთანავე, კოლოფის სარქველზე კელავ დამახასიათებელია ნითელი და მწვანე ქვეების თანაბარი მონაწილეობა, მეორე მხრივ – ახალი დამატებითი მომენტებით, – თვით ყელსაბამის რკალისა და კოლოფის ჭვირული გადანყვეტითა და გავარსისა და ფილიგრანის სამკაულით. ეს ორივე მომენტიც იწვევს დაპირისპირებას ალიოზ რიგლის მტიციებულებებთან. ა. რიგლი ლითონის ჭვირულ ნაკეთობებშიც უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს ორნამენტსა, რომელსაც იგი ხედავს ძლიერ რელიეფურ ნაწილებში, და ფონს შორის (ფონად იგი ლიობებს აღიქვამს). აქედან იგი გადადის რელიეფურობისა და სიბრტყობრივი, ჭრილებიანი ნახატის თანდათანობით გაქრობაზე, რომელშიც ლიობები წარმოადგენს კონკრეტული შინაარსის შემცველ შესაბამის შემავსებელ მოტივებს. სერაფიტას ყელსაბამი უარყოფს ამ დებულებებს: კოლოფის კედლებისა და თავად ყელის რგოლის ჭვირულობა აბსოლუტურად მოკლებულია როგორც რაიმე კონკრეტულ შინაარსს, ასევე ორნამენტის ფონთან დაპირისპირებასაც. იგი კი, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ახ. წ. II საუკუნეშია დამზადებული.

ლითონის სახმარ ნივთებში გვიანრომაული ხანის მხატვრული პრინციპების თავისებურებათა გამოვლინების ძირითადი ნიშნების დადგენას ა. რიგლი იწყებს სწორედ ჭვირული ნაკეთობებიდან და მაშინვე ხაზს უსვამს, რომ ეს კერძო ხერხი პირველი მოასწავებს რომაულ ხელოვნებაში „ტაქტიკურიდან“ „ოპტიკურ“ აღქმაზე გადასვლას – როდესაც „სიბრტყის ყველა ნაწილის უწყვეტი ხელშესახები შეერთება უკვე აღარ წარმოადგენდა აბსოლუტურ და პრინციპულ მხატვრულ მოთხოვნილებას“, არამედ შემოდის პაუზები, ფორმის გარღვევები (Durchbruchung der Formen).³⁷ მას შესაძ-

ლებლად მიაჩნია ამ მოვლენის სანყისად მიიჩნოს ნელთალრიცხვათა მიჯნა (ungefähr um Christi Geburt), მაგრამ საკუთრივ ნიმუშების მიხედვით გაანალიზებული განვითარება – ლითონის ამგვარი ჭვირული ნივთების პირველი სამი ქრონოლოგიური ჯგუფი – მის მიერ განისაზღვრა ეპოქით ტრაიანედან (98-117) ავრელიანამდე (270-275), ანუ იგი მათ მიაკუთვნებს ახ. წ. II და III საუკუნეებს.³⁸ ოღონდაც, მის მიერ მოყვანილი ჯგუფები და მათში გამოვლენილი ევოლუცია, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენს მეოთხე ჯგუფი, მისი სამაგალითო ოქროს ფიბულებით, რომლებიც უკვე ახ. წ. V საუკუნეს მიეკუთვნება – აპახიდადან, პალანტინიდან, ფრანკთა მეფის ხილდერიკისა (გარდ. 481 წ.) და სხვ.³⁹ – არსებითად განსხვავდება იმ ჭვირული ოქროს ნივთებისაგან, რომლებიც დიდ რაოდენობით ("in grossen Menge") ამოტივტივდება „მხოლოდ VI ან VII საუკუნეებიდან“ – მის მიერ დადასტურებული შესვენების, V საუკუნის უკუსვლის შემდეგ. მან თავად განსაზღვრა და დაახასიათა ამ უკანასკნელი ჯგუფის ჭვირულობა, როგორც სრულიად განსხვავებული II, III და V საუკუნეების წინარე ოთხი ჯგუფის ჭვირულობისაგან. ნიმუშად იგი განიხილავს ე.წ. „კალათისებურ“ საყურეებს (Körbchenohrringe), რომელთა ძირითადი კორპუსის ხვეარსფეროები შედგება „წერილი ზოლებისაგან, რომლებიც ჭვირულ, ტალღისებურად მოძრავ ხაზობრივ ნახატს ქმნის. ჭვირულობის ეს სახეობა ძირეულად განსხვავდება ოთხ ჯგუფში აქამდე განხილული საგნებისაგან იმის გამო, რომ მას საფუძვლად არა აქვს არავითარი იდეალური სიბრტყე, რომელზეც ნახატი ამოინეოდა ბრტყელ რელიეფად, ზოლები კი აღიქმება, როგორც სივრცეში სრულიად თავისუფლად განთავსებულები. ამგვარად, აქ სრულიად გამქრალია რელიეფურობის ყოველგვარი აღქმა.“⁴⁰

ამ უკანასკნელი ჯგუფის გაჩენა კონკრეტულად სრულიად არ უკავშირდება წინარე ჯგუფებს, მაგრამ იგი – ამისათვის არც არის საჭირო განსაკუთრებული გარჩევა – უახლოეს მსგავსებას ამჟღავნებს სერაფიტას ყელსაბამის ჭვირულობასთან. ე. ი. მსგავს მიდგომას ჭვირული ნივთების შექმნაში, რომელთა დიდი რაოდენობა წარმოდგება VI და VII საუკუნეთა ე. წ. ბარბაროსული სამარხებიდან ლომბარდიასა და ეგვიპტეში, ვხედავთ II და III საუკუნეების ჩვენს არმაზულ სამარხებში.

ოღონდაც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. რიგლი, როგორც ყოველთვის, კი არ ჩქმალავს ამგვარ წყვეტილობას, არამედ ცდილობს უპირველესად სხვადასხვა ჯგუფების დახასიათებას მათი მხატვრული მიზანდასახულების, შემდეგ კი მათი განვითარებისა და წარმომავლობის მიხედვით. ამგვარად, მას, ბუნებრივია, არ შეეძლო, მისთვის ჩვეული აზრის მკაფიოებითა და მეცნიერის კეთილსინდისიერებით, არ აღენიშნა, რომ პირველი ოთხივე ჯგუფი – როგორც პირველი სამი, რომლებიც II და III საუკუნეებს განეკუთვნება, ასევე მეოთხე, რომლის ყველა ნიმუში მასთან V საუკუნეში თავსდება,⁴¹ – თავისი სტილით „მკაცრი განხილვის შედეგად უნდა

მივაკუთვნოთ უფრო შუარომაულს, ვიდრე გვიანრომაულ" პერიოდს.⁴² ამ დროს კი მათი შექმნის ხანაა – კონსტანტინეს შემდგომი ეპოქა, ე. ი. აშკარად გვიანრომაული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ – უფრო ადრე – თვით აპახიდის ფიბულის ანალიზს იგი ამთავრებს სტილის, როგორც გვიანრომაულის, მკაფიო ქრონოლოგიური განსაზღვრით, – უფრო ზუსტად, V საუკუნის I ნახევრით ან შუა წლებით.⁴³ ესე იგი მასთან ლითონის ჭვირულ ნივთებთან, ისევე, როგორც აღმანდინებით შემკობასთან დაკავშირებით, ვაწყდებით შეუსაბამობას ფაქტებსა და თეორიას შორის, რასაც იგი თავადვე ამკარად ადასტურებს.

სტილის ამგვარ დახასიათებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, რომ თუმცა იგი „კალათისებრი“ საყურეების ტიპის ჭვირული ნივთების ჯგუფს განსაზღვრავს, როგორც გვიანრომაული მხატვრული პრინციპების მკაფიო ასახვას, მაგრამ იქვე ამტკიცებს, რომ „ისინი უმეტესწილად წარმოდგებიან სამარხეული ინვენტარიდან, რომელიც ბარბაროსი ხალხების მემკვიდრეობას წარმოადგენს“.⁴⁴ ამ განხილვას კი იგი ამთავრებს წინასწარული განსაზღვრებით, რომ „ამ საყურეთა წარმოშობა უნდა ვეძიოთ აღმოსავლურ-რომაულ სახელოსნოებში“, საიდანაც ხდებოდა მათი ექსპორტირება როგორც ეგვიპტეში, ასევე ევროპაში.⁴⁵ ამგვარად, ა. რიგლი აქ არა მხოლოდ აღიარებს დამზადებას სადღაც, რომის ტერიტორიის მიღმა, რადგან ბიზანტიაზე მინიშნება უბრალოდ *Notbehelf*, უმინაარსო მითითებაა, მაგრამ, არსებითად, აღიარებს, რომ ისინი სხვა ხასიათისაა, ვიდრე ჭვირული ნივთები დასავლეთ ევროპის რომაული ბანაკებიდან, რომლებსაც იგი განსაზღვრავს, როგორც საკუთრივ რომაულ ნაწარმს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი დამახასიათებელი მომენტი. „კალათისებრი“ საყურეების აღწერისას ა. რიგლი აღნიშნავს, რომ ისინი შემკულია *mit Filigran und kleinen Buckeln*, ანუ ისევე, როგორც სერაფიტას ყელსაბამი. ტერმინით „ფილიგრანი“ იგი განსაზღვრავს, მათალია, მხოლოდ იმას, რაც უფრო ზუსტად უნდა განისაზღვროს სახელწოდებით „გავარსი“, მის დაუკავშირებლად ოქროს უწვრილეს ძაფებთან ან ნახნაგებთან. მაგრამ, თუმცა ა. რიგლი მთელი მოცულობით არ ეხება გავარსისა და ფილიგრანის საკითხს, მაინც კვლევის შედეგების საფუძველზე, თავის თხრობაში გზადგზა იგი ძალზე მნიშვნელოვან ზოგად შენიშვნებს აკეთებს. „ფილიგრანი, როგორც მარცვლებისაგან შედგენილი ტაქტიკური, მაგრამ მხოლოდ სიბრტყეზე კომბინირებული ელემენტი, განუყოფელი თანამგზავრია ხელოვნების ყველა იმ პერიოდისა, რომლებიც მიისრაფოდნენ სიბრტყობრივი შთაბეჭდილებების მიღწევას ტაქტიკური მოტივების მეშვეობით“. აი, რატომ თვლის იგი, რომ ანტიკურ ხელოვნებაში „იგი (ფილიგრანი) ელინისტურ პერიოდში ქრება, ხოლო შემდგომ თანდათანობით, მაგრამ განუხრელად, კვლავ მოიპოვებს აღიარებას საიმპერატორო ეპოქის მესამე საუკუნიდან“.⁴⁶ თუმცა ეს შენიშვნები მან გააკეთა „ბარბაროსული“ წარმოშობის ნივთების შესახებ,

აღბათ მათ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მისივე შენიშვნას 287 გვერდის სქოლიოში, სადაც იგი ამბობს, რომ „გვიანრომაული ხელოვნების ყველაზე მკაფიო დროს ფილიგრანი დადასტურებულია მხოლოდ იმპერიის ყველაზე დამორებული სასაზღვრო რაიონებში, სამაგიეროდ, ტაქტიკურ აღქმასთან მზარდ დაბრუნებასთან ერთად, იგი კვლავ იძენს წონას, სწორედ აღმოსავლურ-რომაულ ხელოვნებაში იუსტინიანეს ეპოქიდან მოყოლებული“.⁴⁷

ამ პუნქტშიც კვლავ უნდა დავადასტუროთ გავარსითა და ფილიგრანით დეკორის დასრულებული მხტერული გადანყვეტის ფაქტი ჯერ კიდევ ახ.წ. II საუკუნეში, ე. ი. ბიზანტიაში აღმოსავლურ-რომაული იმპერიის შექმნამდე გაცილებით უფრო ადრე. აქედან გამომდინარე, არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რათა მოგვიანო „კალათისებრი“ საყურეების ჭვირულობა, და გავარსი ფილიგრანთან ერთად დაეუკავშიროთ არც რომაული ხელოვნების შინაგანი განვითარების პროცესს IV და შემდგომ საუკუნეებში, არც მისი არეკლილ განვითარებას ბიზანტიაში იუსტინიანესა და მის შემდგომ ეპოქაში; აუცილებელია დაფიქრება – ხომ არ ღირს სხვაგვარად დაისვას საკითხი ამ „გვიანრომაული“ ხელოვნებისა და მისი ჩამოყალიბების შესახებ, ანუ მოხდეს მისი ძირეული გადახედვა. მაგრამ საამისად მე არ გამაჩნია საჭირო ფაქტობრივი მასალა არა მხოლოდ ორიგინალური ნივთების სახით, არამედ უკვე არსებულ საკმაოდ ჭარბ და სანიმუშო გამოცემებში.

შენიშვნები

1. Al. Riegl, Spätromische Kunstindustrie, Verlag der österreichischen Statsdruckerei in Wien, 1927, S. 323.
2. M. Rosenberg აღნიშნავს: „საეარაუდოდ, ეს ყოველთვის აღმანდინის თვლებია“ (Geschichte der Goldschmiedekunst auf technischer Grundlagen, Abt. Zellenschmelz, I, Frankfurt am Main, 1921, S.2, Anm.2), მაქს ებერტი კი წერს (Die Wolfscheimer Platte und der Goldschale des Chosroes: M. Ebert, Reallexikon der Vorgeschichte, Bd. 1, 1924, S. 60): „აღმანდინის, ჩვეულებრივ, უწოდებენ აღმოსავლურ ძონს, რომელსაც მსუბუქი სილურჯე გადაჰკარავს“ (Als Almandinen pflegt man orientalischen Granaten mit etwas bläulichen Anflug zu bezeichnen). Eduard Salin და Franz Laner თავის გამოკვლევაში აირანის განძის შესახებ კალეადოსში (Mon. Piot, 44, 1949, გვ. 122), ჩამოთვლიან რა აღმოჩენების ადგილებს ევროპაში, აღნიშნავენ, რომ „წარსულში, ყოველ შემთხვევაში, ალბანდაში, მცირე აზიაში მოიპოვებოდა აღმანდინის ყველაზე სახელგანთქმული საბადოები, ინდოეთში კი მათ ამუშავებდნენ, კერძოდ, Syrian-ში“.
მწვანე ლაქვარდი – ლილა ქვა – მალაქიტი.
და ბოლოს, რაც შეეხება ინკრუსტაციის სხვა მასალებს, რომლებიც შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა, ეს არის მწვანე, ცისფერი და დაუფერავი მინა და (?) პასტა. მარკ როზენბერგი (Zellenschmelz, I, S.2) ეგვიპტური ცისფერი პასტის ხესბეტის შესახებ აცხადებს, რომ ეს არის ცისფერი მინა, ცისფერი ჭიქური, რომ იგი შედგებოდა პულვერიზირებული ლილა ქვისაგან; გამლვარ ცისფერ ხესბეტს კი იძლევა მწვანე მინა (იქვე, გვ. 14).
3. ტექსტის ამ ადგილას ავტორს მინიშნული აქვს რამდენიმე საკითხი, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს:
ფირუზი თუ პასტა, მინა?
როგორია სახელურის გული?
ბუდეების სიღრმე?
ოქროს ფსკერის სისქე?
როგორაა გადაკრული ოქროს ფირფიტა (თაბაშირის მსგავსი თეთრი მასის სარჩულზე)?
ოქროს ფურცელი გლუვია, თუ ?
ჩანს თუ არა ნაწილების, ტიხრების მირჩილვა? (თუ მთლიანი ზოდისგანაა გამოჭედილი?)
ნონა? (მთელი სახელურისა 81,70 გრ. — გვ. 56-ა)
4. Al. Riegl, *ibid.* S. 333-334.
5. იქვე, გვ. 326-328.
6. "Hand in Hand ging die Herstellung des Musters aus solchen Motiven, die nicht nach der Natur gebildet waren sondern als komplementäre Motive aus der Grundfläche geboren, eine rein Künstlerische Existenzursache hatten...(Al. Riegl,

- ibid. S. 327). die daran zahlreich wiederkehrenden Konkaven Umrisse verraten den negativen Ursprung aus den Rankenkurven" (S. 271).
7. "Die Granatornamente sind... optisch-ebene Oberflächen raum füllender dreidimensionaler Motive, die auch nach der Tiefe abgegrenzt und zugleich von der Grund-ebene losgetrennt sind (S. 335)."
 8. "Die koloristische Grundabsicht den gleichen rhythmischen Wechsel von Hell und Dunkel...will die Granateneinlage in Gold rein in der Ebene, das heist mit der Farbe allein, ohne alle natürlichen Licht-und Schattenswirkungen des Reliefs, herforrufen (S. 32)" და კიდევ გვ. 351, სადაც ლაპარაკია ორნამენტის, ნახატის მოძრაობაზე.
 9. "Nach einem Grunde fragt niemand, weil das ganze ohnehin den Sindruck einer ruhenden Ebene festhält" (S. 332).
 10. Al. Riegl, ibid. S. 332; Adama van Scheltema (Die Kunst des Abendlandes, Bd. I, Stuttgart, 1950, S. 163-164) ხაზს უსვამს, რომ თანაფარდობა თვლებით შემკულ ოქროს გერმანულ და ანტიკურ ნივთებს შორის წარმოადგენს, „როგორც ჩანს, სტილის ორი ავტონომიური წყობის შერწყმას“, ამ დროს ალ. რიგლმა ყოველგვარი გარჩევის გარეშე, დაუფიქრებლად, გამოიყენა „გერმანული აღმოჩენების გაცილებით უფრო მდიდარი (reichhaltige) მასალა, რომელშიც სტილის ხასიათი გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება, ვიდრე გვიანანტიკურ ნაკეთობებში“.
 11. ტექსტში მითითებულია შემდეგი დასაზუსტებელი საკითხები:
ჩანს თუ არა ცარიელ ბუდეში აღმანდინის დამაგრების ხერხი?
აქეს თუ არა ყოველ ბუდეს თავისი ფსკერი?
 12. Al. Riegl, ibid. S.345.
 - 13 იქვე, Taf. III, IV.
 14. იქვე, S. 345.
 15. ასე აღნიშნავს M. Rosenberg (Zellenschmelz, III, 1922, S. 2), იმონებს: E. Brenner, Stand der Forschung über die Kultur der Merovingerzeit, VII, Bericht der Römisch-Germanischen Kommission, 1912, Frankfurt a. M. 1955, S. 276. აგრეთვე Adama von Scheltema, ibid. S. 164, Taf. XXXIX, 2.
 16. Al. Riegl, ibid. S. 343-346.
 17. Ibid. S. 343.
 18. Ibid. S. 345.
 19. Ibid. S. 345-346
 20. დაახლოებით ამგვარად ხსნის მ. როსტოცევი ერთნაირი კულტურის გავრცელებას მკვიდრ მოსახლეობაში, დამკყობლებთან, მომთაბარე მზედარ სარმა-

ტებთან და ბოსფორის სამეფოს ბერძნებთან, შემდეგ გუთებთან, ჰუნებთან და სხვ. – შერწყმით, შერევით.

21. Л. А. Мацулевич, Серебряная чаша из Керчи (Памятники Гос. Эрмитажа, 2, Ленинград, 1926), стр. 38.
22. „ოქროს ნიღბიანი სამარხის“ სატევრის სახელურის ვარდული: „Древности Босфора Киммерийского“, I, табл. XXVII, 7.
23. ლ. მაცულევიჩის ამასთან დაკავშირებით მოპყავს ნივთები ერმიტაჟის ე. წ. ციმბირული კოლექციიდან, სადაც აგრეთვე შეიმჩნევა სხვადასხვა ფერის ჩანართების შერჩევაში ლურჯისა და მწვანის წონასწორობა ნითელ ფერთან (ლ. მაცულევიჩი, დასახ. ნაშრ. გვ. 39-40).
24. ლ. მაცულევიჩი, დასახ. ნაშრ. გვ. 41.
25. M. Rosenberg, (Geschichte der Goldschmiedekunst auf technischer Grundlagen, Abteilung: Zellenschmelz, I. Entstehung, II. Frühdenkmäler, Frankfurt am Main, 1921, 1922. პირველი ნაწილის შინაარსს შეადგენს ამ მოსამზადებელი ეტაპების განხილვა (Entstehung, 1921, SS. 1-44).
26. M. Rosenberg, ibid. I, S. 44.
27. იქვე.
28. იქვე, I, გვ. 42.
29. ნატურალური ზომის ილუსტრაცია (59) მოცემულია 42 გვერდზე.
30. M. Rosenberg, ibid. III, 7, Abb. 16.
31. იქვე, III, 1.
32. ამიტომაც აღწერაში ეს ფერი განსაზღვრულია, როგორც „მონაცრისფრო-ცისფერი“ (მცხეთა, I, 1955, გვ. 32).
33. შდრ. სილიად-შომლიოს ფიბულა და სხვ. (M. Rosenberg, ibid. III, 4).
34. M. Rosenberg, ibid. III, S. 7, 29.
35. შესაძლოა, ეს არმაზული მინანქარი, ე.ი. მკაფიოდ აღმოსავლური წარმოშობისა, თავისი შემუშავებული ტექნიკური თავისებურებებით გვიხსნის, თუ რატომ არის, რომ ევროპაში შექმნილი აქამდე ცნობილი მინანქრის ინკუნაბულები (ფიბულები შალანდრიდან და სილიად-შომლიოდან) – არ არის სათანადო ტექნიკურ დონეზე, როგორც მაგალითად, შალანდრის სპილენძის საფუძველი მხოლოდ ოქროს ტიხრებით (M. Rosenberg, ibid III, 1-2).
პროფ ლ. მაცულევიჩმა თავის მოხსენებაში საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის მაისში გამოთქვა მოსაზრება ამ ოქროს ნახატიანი მედალიონის შესახებ, რომელიც მთლიანადაა დაფარული მინის ფენით, რომ იგი ალექსანდრიული ტიპისაა.

36. აღენიშნავე, რომ რეინის ოლქში ხალხთა გადასახლების ეპოქის ლითონის აღმოჩენების შესახებ, სადაც ქვირული ფირფიტა დადებულია მთლიან გლუვ ფირფიტაზე, გამოთქმულია მოსაზრება მათ შორის ქსოვილის სარჩულის არსებობის შესახებ, ისევე, როგორც გუთური ეპოქის ანალოგიური ნივთებში (ცნობა ნიგში Al. Riegler, Spätromische Kunstindustrie, გვ. 272, A. Kisa-მასალების პუბლიკაციების მიხედვით).
37. Al. Riegl, *ibid.* S. 265. " daß nun die ununterbrochene tastbare Verbindung aller Teile in der Fläche nicht mehr als absolutes und prinzipielles Kunsterfordernis aufrechterhalten wurde, sondern eine Unterbruchung derselben durch optische Pausen, über welche die geistige Erfahrung(!) gleichsam die verbindende Brücke schlug, für zulässig galt" (S. 264).
38. იგი მხოლოდ პირობითად და დაშვების სახით მიანიშნებს ჩანასახების ელინისტური ეპოქის დასასრულისა (გვ. 265) და უშუალოდ წინაქრისტიანული პერიოდისათვის მიუთვინების შესაძლებლობას (გვ. 69 შენ.). იგი სავარაუდოდ მოხაზავს მიდგომათა პროტოტიპებს 269 გვერდზე შენიშვნაში და ცალკეულ მითითებებში (იქვე, გვ. 266).
39. Al. Riegl, *ibid.* SS. 273-280; 286-288.
40. "Diese Art des Durchbrücher unterscheidet sich von den bisher betrachteten in der gründlichsten Weise durch den Umstand, daß ihr nicht sozusagen eine ideale Fläche zugrunde liegt, von der sich das Muster in flachen Relief erhelt, sondern die Lamellen ganz frei im Raume komponiert erscheinen. Somit ist hier jede Reliefauffassung verschwunden und damit die Brücke zur Antike abgebrochen" (Al. Riegl, *ibid.* S 289-290).
41. მართალია, ვენის მუზეუმის ფიბულის შესახებ (ტაბ. XVI, 4-6) იგი წერს, რომ ფიბულა „შესაძლოა, უკვე IV საუკუნეს" მიეკუთვნება (გვ. 272), მაგრამ ეს არ არის მომავრებული არც აღმოჩენის პირობებით, არც აპახიდისა და სხვა ნიმუშებიდან მისი დაშორების შესაძლებლობით.
42. „Das äußerste Resultat dieser Entwicklung, das wir bisher (in der Verzierung des Fußstückes der Fibel von Apahida) kennen gelehrt haben, müssen wir ganz streng genommen doch noch eher, dem mittellömischen als dem spätromischen Stile zuweisen, den ein bestimmter Rest von Reliefbedeutung war diesem spätesten Ausläufer des kaiserrömischen Durchbruches noch ebenso eigen wie seinen ersten Anfängen in der beginnenden Kaiserzeit~ (S. 288).
43. Al. Riegl, *ibid.* S. 274.
44. იქვე, გვ. 288.
45. იქვე, გვ. 290.
46. „Das Filigran als taktisch-gekörntes, aber nur der Ebene kombinierbares Element ist ein unzertrennlicher Begleiter aller jener Kunstperioden gewesen, die mit

taktischen Motiven flächenhafte Wirkungen angestrebt haben: daher hat es in der archaischen Zeit bis in die klassische reiche Verwendung gefunden, ist es in der hellenistischen Periode zurückgetreten und hat es seit dem dritten Jahrhundert der Kaiserzeit allmählich, aber stetig wieder an Terrain gewonnen~ (A.Riegl, *ibid.* S. 307).

47. "In der strengsten Zeit spätrömischer Kunst ist das Filigran nur in den entlegensten Grenzgebieten des Reichs nachweisbar, wogegen es mit der zunehmenden Rückkehr zu einer taktischen Auffassung, namentlich in der oströmischen Kunst seit Justinian, wiederum an Geltung gewonnen hat (A.Riegl, *ibid.* S. 287, Anmerkung).

თავი II

განხილული სამი ნიეთი არმაზის ნეკროპოლის სამარხების პიტიახშთა სამკაულების მხატვრული გაფორმების ნამყვანი ნაირსახეობების ძირითად, საჩვენებელ ნუმუშებს წარმოადგენს. ამ პირადი მოხმარების ნიეთების უპირატესი ნიშანია – ფერადი თვლებისა და ოქროს ელვარების უღერადობაზე დაფუძნებული ფერადოვნება; ნახატები – წმინდა ორნამენტული, გეომეტრიულია, ე.ი. აბსოლუტურად გულგრილია გარე სამყაროს საგნების რაიმე სახით ასახვისადმი. ტექნიკური ხერხები, რომლითაც ოსტატი აღწევს აღნიშნულ შედეგებს, საკმაოდ მრავალფეროვანია; უკვე განხილული რამდენიმე მხატვრული ხერხის (დაახლოებით ექვსი) გარდა გვაქვს კიდევ სხვებიც და კომბინირებულებიც. ჩვენს წინაშეა დიდი ორნამენტული მხატვრული კულტურა – აი, არმაზის ნიეთების არსი, როგორადაც იგი გვევლინება სამ განხილულ ნიეთში და როგორც უნდა განესაზღვროთ იგი მთელი მათი შემადგენლობის მაგალითზე. განხილული ნიეთები სხვადასხვა დროის სამარხებიდანაა აღებული: ახ. წ. II საუკუნის I ნახევარი, მისი ბოლო და III საუკუნის შუა წლები, ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან საშუალოდ ნახევარი საუკუნითაა დაშორებული. ამ ნიეთებზეც შეგვიძლია მივიანშნოთ განვითარების გარკვეული მიმართულება, ზემოაღნიშნულ საერთო ძირითად მხატვრულ კონტრასტულ გადანყვეტათა შეპირისპირებით, რომლებიც შედეგაბა მთელის მცირერიცხოვანი ფერადოვანი ინგრედიენტების დაპირისპირებისაგან. II ს-ის I ნახევარში დეკორატიული ამოცანის გადანყვეტა ხდება ოქროს ზედაპირზე ფერადი თვლების დამაგრებით, აპლიკაციით. ამასთანავე, ორივე შემადგენელ მომენტს აქვს მომრგვალებული, თანმიმდევრულად მოსრიალე ზედაპირი. III საუკუნის შუა წლებისათვის გამოუმუშავდება მიდგომა ზედაპირის მკაფიო გამიჯვნისა მთლიან სიბრტყეებად, წახნაგებად, ფერადი ქვები კი ოქროს ზედაპირთან გასწორებულ ერთიან სიბრტყეს ქმნის. თუმცა აპლიკაციის გამოყენება და ზედაპირზე დადებული ქვების მომრგვალებული ფორმაც განაგრძობს არსებობას.

პიტიახშთა ნეკროპოლი არმაზში მხოლოდ 1940 წლის გათხრებით გაიხსნა. შემდეგი გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამარხები უკვე რიგითი ხასიათისაა, თუმცა ქრონოლოგიურად თანადროულ ან მათთან მიახლოებულ სამარხებში გვხვდება ამავე მხატვრული სტილის ნიეთები, რომლებიც ზოგად მიმოხილვაში ქვემოთ იქნება მოხმობილი. პიტიახშთა 9 სამარხიდან – სამი სრულიად გაძარცვული იყო, 5 განსაკუთრებით მდიდრული, ერთი კი (IX) იყო ბავშვის სამარხი ნიეთების შეზღუდული რაოდენობით. ასპაერუკ და ბერსუმა პიტიახშების მამაკაცთა სამარხების საინტერესო თავისებურებაა მათში იარაღის არარსებობა. არის მხოლოდ სატევარი – ასე ვთქვათ, მაშინდელი ჯაყვა. იგივე მდგომარეობაა – ყველა მონაცემებით – ბორისა და კლდეეთის მამაკაცთა სამარხებში. ოქროს სამკაულთა სიმრავლის პირობებში,

არავითარი მინიშნება არ არის თავსამკაულზე. ჩნდება მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი, ანუ გვირგვინი, ისევე, როგორც მახვილი – სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებს წარმოადგენდა და როგორც მოგვიანებით შუა საუკუნეების საქართველოში, მემკვიდრეობით გადადიოდა. და ბოლოს, ორივე მამაკაცის და ერთი ქალის (VI) სამარხების თავისებურებას მათში ვერცხლის ფურცლებით შემოკრული მუხის გამოჩარხული ფეხების არსებობა წარმოადგენს. საშუალო ზომისა და ერთნაირი გაფორმების ასეთივე ფეხები, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ცნობილია სოფ. ბორში (იმერეთი) შემთხვევით და უსისტემოდ გახსნილი სამარხებიდან – იქ ისინი, სულ ცოტა, ოთხი ტიპისა იყო, თუმცა არასრული კომპლექტებით.¹ შემდეგ ბაგინეთის სამარხიდანაც (1946 წლის გათხრები-N1) ცნობილია ოთხი ფეხისაგან შემდგარი სრული კომპლექტი გრიფონის პროტომების გამოსახულებით; ბორის ზოგიერთ ფეხზეც ასევე ცხოველის თავებია. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს დაბალი ფეხები 17/19, 29/30 და მხოლოდ ზოგიერთი 35 და 50 სმ. სიმაღლისა, ოთხი ფეხისაგან შედგენილი კომპლექტებით, მეცნიერულად გახსნილ სამარხებში სწორედ მიცვალებულის სარეცლიდან წარმოსდგება (და არა სკამიდან): აკად. ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ფეხები წარმოდგება იმ პარადული სარეცლიდან, რომელზეც მიცვალებული რიტუალის შესასრულებლად იყო დასვენებული და რომელიც შემორჩა ქართულ ენაში „სარეცლის“ სახელწოდებით. შეიძლება გვეფიქრა, რომ მიცვალებული საფლავში ჩასვენებული იყო ამ სარეცლით. მაგრამ ეჭვს იწვევს სერაფიტას სამარხში ამგვარი ფეხების ორი კომპლექტის არსებობა (35 და 20 სმ-ის სიმაღლისა). თუ წარმოვიდგენთ ასეთ ორსართულიან შემადგენლებს და მასზე დასვენებულ ცხედარს, სარკოფაგში, რომელშიც ის იყო დასვენებული, საამისო საკმარისი სიმაღლე არ არის. ამიტომ დასაშვებია, რომ ასეთ სარეცელს შლიდნენ მიცვალებულის სარკოფაგში ჩასვენებისას და სამარხის ინვენტარში მხოლოდ ვერცხლის გარსაკრავიან ფეხებს ათავსებდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს III სამარხში ვერცხლის ფეხების აღმოჩენა ერთ გროვად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის გეგმაზომიერი გათხრების შედეგად გახსნილი არმაზის პიტიანშთა ნეკროპოლი ინვენტარის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მაგრამ ნივთების მხატვრული ხასიათით არ წარმოადგენს საქართველოში ერთადერთსა და განცალკევებულს. პირიქით, ამგვარი ხასიათისა და ტიპის აღმოჩენები ყვეყნის სხვადასხვა კუთხეშია გაკეთებული.

ასე, 1941 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში გზის გაყვანისას სადგურ ზესტაფონიდან 5 კილომეტრის დაშორებით, ე.ი. ჯერ კიდევ ანტიკური მწერლებისათვის ცნობილი კოლხეთის დიდი ცენტრის – ქალაქ სარაპანისის, ანიდელი შორაპნის მახლობლად, სოფელ კლდეეთთან შემთხვევით

აღმოჩნდა სამარხები. მოსწავლეთა პირველი შემთხვევითი აღმოჩენების და მათი პედაგოგის შეტყობინების შემდეგ, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, განყოფილების ხელმძღვანელის დ. ლომაძის ხალმძღვანელობით და ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს მუზეუმის თანამშრომლების გ. გობეჯიშვილის, გ. ლომთათიძის, დ. კაპანაძის, ს. მენ-თემაშვილის, ფოტოგრაფის, მხატვრისა და ტოპოგრაფის მონაწილეობით ადგილზე დეტალური გათხრები ჩატარდა. ყველაფერმა ამან მოგვცა შესა-ნიშნავი მასალა გრუნტის სამარხებიდან, რომელთა ნაწილი გვიანდელი იყო.²

1942 წელს მდ. სუფსაზე ტანკსაწინააღმდეგო თხრილის გათხრის დროს შავი ზღვის სანაპიროზე ქ. სუფსასთან, ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე აგრეთვე აღმოჩნდა ამავე ხასიათისა და შემდეგში კი მათთან ქრონოლოგიურად ახლო დროის სამარხები, რომელთა ნივთები ორი აქტით (1942 წლის 2 ივლისი და 16 სექტემბრის) გადაეცა საქართველოს მუზეუმს.³

მაგრამ ჯერ კიდევ 40-45 წლის წინათ სოფ ბორში, რომელიც ქ. შორაპნიდან კლდეეთისაგან განსხვავებული მიმართულებით და უფრო შორს მდებარეობს, ადგილობრივმა მცხოვრებმა მაჭავარიანმა რამდენჯერმე ჩაატარა არაპროფესიული და ნაწილობრივ მძარცველური გათხრები ნიაღვრით ჩამორეცხილ ნაკვალევზე. მისი „აღმოჩენების“ ნაწილი მოხვდა ერმიტაჟის კოლექციაში და შემდგომში ნაწილობრივ გამოქვეყნდა ე. პრიდიკის მიერ, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ნივთები ნარმოდ-გებიან რამდენიმე, შესაძლოა, მრავალი სამარხიდან: ნივთების ერთმანეთთან კავშირი, სამწუხაროდ, არა თუ არ იყო დაფიქსირებული აღმოჩენის მიერ, პირიქით, შეგნებულად და განზრახ დაფარული და არეული, ისევე, როგორც ვერ გახდა შესაძლებელი აღმოჩენის ადგილის ზუსტი დადგენა; იაკობ სმირნოვი მის მიერ სოფლისა და აღმოჩენის დაგვიანებულად მონახულების შესახებ ლაპარაკობდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მრავალმნიშვნე-ლოვანი მსუბუქი ჩაჯინებით.⁴

არმაზის გარეთ აღმოჩენილი ხარისხობრივად და რიცხობრივად ამ მდიდარი მონაპოვრების გარდა, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ რიგითი სამარხებიდან ან ცალკეული ადრეული აღმოჩენებიდან შემოსული ამავე წრის ნივთების მცირე რაოდენობა. და ბოლოს, ზოგიერთი ნივთი კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან და ხეობებიდან – სამწუხაროდ, ცუდად ან აშკარად მცდარად დათარიღებული. ესაა ინკრუსტირებული ნივთები იამიდან, ზემო რუთხიდან, კამუნტიდან და, ნაწილობრივ, ბრინჯაოს ნივთები. ისინი ჯერ კიდევ ნ. კონდაკოვმა მოიხსენია, შემდეგ კი უფრო დანერვილებით გამოაქვეყნა პ. უვაროვამ.⁵

ამგვარად, ამავე წრის ნივთების ახლახან დასახელებული უფრო მსხვილი და მკაფიო ჯგუფების წყებას, არმაზის პიტიახშთა რამდენიმე სამარხის გარდა, გამოჰყავს ეს უკანასკნელნი იზოლირებული მდგომარეობიდან და – უფრო მეტიც – უჩვენებს, რომ ეს მხატვრული კულტურა გავრცელებული

იყო მთელს საქართველოში, როგორც დასავლეთში ("კოლხეთი"), ისე აღმოსავლეთში ("იბერია") და, შესაძლოა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ალბანეთში, რადგან მისი ნივთები გვაქვს გურიიდან, შავიზღვისპირეთიდან, შორაპნის მიდამოებიდან იმერეთში, ლეჩხუმშიდან, ქართლიდან და თვით საქართველოს მაშინდელი დედაქალაქიდან – არმაზიდან და სამთავროს ველიდან და ბოლოს, კახეთიდან და პერეთის საზღვრებიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არაა სათბურში გამოყვანილი ქვეყნის ზედაფენის კულტურა, არამედ მთელი ხალხის მხატვრული კულტურა, არეკლილი და ძვირფას მასალებთან მისადაგებული მმართველი ზედაფენის შეკვეთით.

უფრო მეტიც, ოქროს ნივთები – ერთი მხრივ და ვერცხლისა – მეორე მხრივ, ბუნებრივად ერთეობა და უკვე იყო ჩართული, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ჩვენი ნელთალრიცხვის პირველი რამდენიმე საუკუნის ევროპული კულტურის მოვლენათა ფართო გარემოცვაში. ამ ნივთების შემადგენლობაში უკვე აღნიშნულ სხვაობათა გამო თვით მათი განსაზღვრა განსხვავებულ გაშუქებას იღებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, არმაზის ტიპის ნივთების თარიღის საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ხელოვნების ისტორიკოსებმა ორი სრულიად განსხვავებული განსაზღვრება და მტიკიცებულება შემოიტანეს. ერთის თანახმად – ეს პროდუქცია რამდენიმე საუკუნით უფრო გვიანდელია, ვიდრე ახ. წ. II და III საუკუნეები; პროდუქცია წარმოადგენს კანონზომიერ განვითარებას ანტიკური, ბერძნულიდან მომდინარე ხელოვნებისა, რომელიც მიმართულია ელინისტური, გვიანი საიმპერატორო ხანის რომის ხელოვნების სკულპტურულ და პლასტიკურ გამომსახველობისაკენ; მეორე მოსაზრების მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს არა მარტო მოცემული მხატვრული მოვლენის განვითარების, შექმნის, გენეზისის საკითხებს, არამედ სტოვებს მათ განხილვისა და აღნუსხვის გარეშეც კი და მხოლოდ ცდილობს არქეოლოგიურად დაადგინოს მდიდრული სამარხებიდან წარმომავალი ამგვარი პროდუქციის ცალკეული ნივთების თარიღი, ეს ნივთები განეკუთვნება არმაზის პიტიახშთა სამარხების უძველესი ნივთების შექმნის წინარე, ან უფრო ადრეულ ორ საუკუნეს. ამ მეორე მოსაზრების ავტორებმა, რომლებიც მშვენივრად იცნობდნენ და დიდად აფასებდნენ ა. რიგლის გამოკვლევათა ღირსებას, ეს მოსაზრება გამოთქვეს პირველ მოსაზრებიდან ათწლეულის შემდეგ, მაგრამ დასტოვეს იგი სახელოვნებათმცოდნეო დასაბუთების გარეშე. ამგვარი დასაბუთება არ მოგვცა არც მ. როსტოცევემა 10-15 წლის შემდეგ სკვითურ-სარმატული პრობლემის ზოგადი და საკმაოდ ბუნდოვანი გადმოცემის დროს. ამგვარად, მდიდარი ახალი მასალა, რომელიც შემოდის სამეცნიერო ხმარებაში, ბუნებრივად საჭიროებს მთელი საკითხის გაშუქებას არსებული დებულებებისა და ვარაუდების ყოველმხრივი განხილვით, რათა გაღრმავდეს, დასაბუთდეს ან უკუგდებულ იქნას ზოგიერთი მათგანი, ან მათი ესა თუ ის მხარე. ეს

გარემოება ამართლებს ცდას მოხდეს არმაზის პიტიახშთა სამარხების ინვენტარის შემადგენელი ნივთების ცალკეული ჯგუფებისა და ამავე პერიოდის სხვა აღმოჩენების დახასიათება და მთლიანობაში განისაზღვროს მთელი კულტურა და მისი მატარებლები.

საკითხის გადახედვისათვის საჭირო ფაქტობრივი ფუნდამენტის შესაქმნელად მივმართეთ საქართველოში აღმოჩენილ ამ ეპოქის ნივთებში მხატვრული გამომსახველობის ცალკეული ხერხების განხილვას.

1. პირველ დიდ ჯგუფს, რომელიც მკაფიოდ იქნა გამოყოფილი არმაზის ყველაზე ადრეულ პიტიახშ ასპავრუკის სამარხში, რომლის სატევრის ქარქაში ზემოთ დანერილებით განვიხილეთ ა. რიგლის მტკიცებულებებთან შეპირისპირებით, შეადგენს ოქროს ნივთები ზემოდან დადებული ნითელი (ალმანდინი), მწვანე (მინა, ფირუზი) და სხვა ფერთა აქცენტებით. პიტიახშ ასპავრუკის ოქროს ნივთების ანალიზის დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მხატვრული შეხამებები ყოველთვის ნყდება მხოლოდ ძირითად ზედაპირზე ზედდებით: ეს არის ოქროზე ნაირფერი ფერადოვანი აქცენტები – ნითელი ალმანდინები, ცისფერი ფირუზები და ასპავრუკისე სატევრის ქარქაშიდან ცნობილი მწვანე მინები და მინანქრის მედალიონი. მეორე მხრივ, გვაქვს გარკვეული რაოდენობის რამდენიმე ფორმის (გლუვი, ამოტივიფრული, მსხვილი და მომცრო საკიდებით) მცირე ზომის ოქროს მრგვალი ფირფიტები, პატარა ბრტყელი ზარაკები და მცირე ზომის სარტყელის (?) ბალთები, რომლებიც ტანსაცმელზე იყო დაკერებული პატარა კილოების მეშვეობით. ე.ი. ოქრო ისევე შეხამებული იყო ქსოვილის ფერადოვნებასთან ზედდების პრინციპით. პიტიახშის შემკულობის ძირითად ნივთებს შეადგენდა ოქროს მრავალრიცხოვანი სამკაული ალმანდინების აპლიკაციით, როგორცაა სატყელი (2, ტაბ. I bis), რომელზეც ასპავრუკი სატევარს ატარებდა, მსგავსი მედალიონების მეორე ჯგუფი, სარტყელის ცალკეული ფრაგმენტები, ხუთი ოქროს მძივი ალმანდინებით, და ბოლოს, სახელობითი საბეჭდავი (ტაბ. I, 1).

ასპავრუკ პიტიახშის სარტყელი შედგება სულ ცოტა 11 ამგვარი ცალკეული ფერადოვანი რგოლისაგან, რომლებიც თავდაპირველად შესაძლოა ჩარჩოზე იყო დამაგრებული. ნაწილობრივ ორმაგი, ნაწილობრივ კი სარტყელის ბოლოსავით ღრუ ოქროს ფირფიტები შემკულია ზემოდან დამაგრებული დეტალებით, რომლებიც მთლიანობაში გეომეტრიულ დეკორატიულ ნყობას ქმნის. სწორკუთხა ფირფიტებს ერთიანი ნახატი აერთიანებს – ცენტრიდან განლაგებული ხუთი ზედდებული ალმანდინი და გარეთა ოთხ თვალს შორის განთავსებული სპირალისებრი ფიგურა, შედგენილი ისეთივე მავთულისგან, როგორც გარს უვლის თვალბუდეებს;⁶ ფიგურის ყოველი ხვეულის ბოლო შემკულია ცვარას ოთხმარცვლიანი პირამიდისებრი ჯგუფით. ამას გარდა, ფირფიტის კიდეს დაუყვება წინვისებურად განლაგებული ოქროს ორმაგი გრებილი მავთული.

პატარა დასაკერებელი კილიტები, შესაძლოა, თვით ქულაჯის, სახე-
ლოებისა და სხვა ნაწილთა სამკაულია – ისევე სასანიანის გამოსახულებიანი
ვერცხლის ლანგრის მიხედვით II სამარხიდან. მნიშვნელოვანია, შევეცადოთ
სარტყლისა და სხვა ამგვარი რგოლების ერთიან სურათად შეჯერება.

დამახასიათებელია, რომ ფირფიტის კუთხეებში განლაგებული ოთხი
აღმანდინი თავისი ფორმით ემთხვევა აღმანდინისა და ფირუზის თვლებს,
რომლებიც დამაგრებულია II-III საუკუნეების მიჯნის სამარხში აღმოჩენილ
სერაფიტას ყალსაბამის კოლოფის სარქველზე, ისევე, როგორც მასზე
დადასტურებული ცვარას გამოყენება, ქრონოლოგიურად გადაადგილდება
უფრო შორს – II საუკუნის II ოცნლეულში.

ფერადოვანი აქცენტებით შემკული 10 მრგვალი მედალიონისაგან
შედგენილი მეორე ანალოგიური ნაკრები აღმოჩნდა ასპავრუკის იმავე
სამარხში და – როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, იდო ქვის ფილაზე,
სავარაუდოდ, მიცვალებულის მკერდიდან ნელამდე ხაზზე, დაახლოებით
იქვე, როგორც სარტყელი და სატყერის ქარქაში. სხვადასხვა ზომის ეს
მრგვალი მედალიონები (სარტყელის სწორკუთხა ფირფიტებიც სხვადასხვა
ზომისაა, მცირდება სარტყელის ბოლოებისკენ) ერთი ტიპისაა, თუმცა მათი
სამკაული განსხვავდება, როგორც ცენტრალური ფერადოვანი ლაქით, ასევე
მისი მოჩარჩოებით. ცენტრში მოთავსებული აღმანდინები ოვალური
ფორმისაა და თითქმის ერთი ზომის. მხოლოდ ერთი მედალიონია
მნიშვნელოვნად უფრო დიდი დიამეტრისა და მისი ცენტრალური ლაქა
სიდიდით თითქმის ორჯერ აღემატება დანარჩენ აღმანდინებს – ესაა
სერდოლიკზე ამოკვეთილი მზა intaglio ქალის პროფილური ბიუსტი.
ცენტრში ფირუზებით შემკულ მედალიონებში ფირუზის თვლები სხვადასხვა
ფორმისაა – ხან შევიწროებული ერთი ბოლოსკენ, როგორც აღმანდინები
სარტყელის სწორკუთხა ფირფიტების კუთხეებში, ხან სრულიად თავისებური
ფორმისა, ცალ მხარეს სამი წამახვილებული ნაწილით, რომლებიც რკალითაა
გაერთიანებული. ამ უკანასკნელი ფორმის ფირუზით შემკული ოთხი
მედალიონიდან ორი უფრო მცირე ზომისაა, ორი კი უფრო მსხვილი, ქალის
ბიუსტიანი კამეოს მედალიონის ზომისა. მათ აქვთ დამატებით ორ-ორი
ოქროს ზოლი, რომლებიც გაყრილია მედალიონის კიდეების ნახევრეტებში.
ოვალური აღმანდინებით შემკული ეს ზოლები ამაგრებდნენ თასმას. ამ
თასმებით ხაზგასმული იყო ცენტრალური ფირუზის მიმართულება,
რომელსაც სამოსლის შემკულობაში თავისებური ფორმა ჰქონდა. ამ
მდებარეობით უთუოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამავე ფორმის ფირუზის
თვლებითა და ცენტრალური ოვალური აღმანდინით შემკული მცირე
მედალიონების განლაგების დროს, ანუ ისინი უნდა განლაგდეს მედალიონთა
განაწილების ხაზის გარდვიგარდმო. მხოლოდ ერთადერთი მედალიონი ცალ
მხარეს ნაწვეტებული ფირუზით, – ალბათ ათი მედალიონისაგან შედგენილი
სერიის დამასრულებელი – უნდა მიმართული იყოს თავისი დაგრძელებული

ფორმით მთელი სერიისაკენ ისევე, როგორც გემიანი მედალიონი მის სათავეში - თუ ჩათვლით, რომ ეს სერია ევრტიკალურად იყო განლაგებული. თუ კი მივიჩნევთ, რომ იგი, - რაც უფრო სავარაუდოა, - განლაგებული იყო პორიზონტალური რიგით (შესაძლოა, ტანსაცმლის საყელოს გაყოლებაზე, როგორც II სამარხის სასაწურ ლანგარზე), მაშინ გემით შემკული მედალიონი, სხვათა მსგავსად, ყველა შემთხვევაში სიმეტრიულად განლაგდებოდა გემიანი სერიის წინა „ცენტრიდან“ ზურგის მხარის ცენტრის ლანცეტისებური ფირუზის მიმართულებით. ჩვენს მედალიონებზე ცენტრალური ფერადოვანი ლაქის მდებარეობის ამგვარი განსაზღვრით ჩვენ ვიღებთ გასაღებს მათ გარემომცველ წერილ ზედნაღებ სამკაულთა განსახილველად პიტიახშ ასპავრუკის დროის შესაბამისად: ყველგან ხაზგასმულია შუა ევრტიკალი, ზოგან ორი, ზოგან კი ერთი ლაქით. ამ ჯაჭვის ორივე ცენტრალური რგოლი შემკულია ერთ ხაზზე განლაგებული ორ-ორი ალმანდინით ზემოთ და ქვემოთ, რომლებიც განსაზღვრავენ მათ შორის მარჯვენა და მარცხენა ნახევარწრეებზე დანარჩენების განთავსებას - დიდ მედალიონზე 4 და 3 (!), პატარაზე 4 და 4. ანუ ამ ალმანდინების განლაგება არ გულისხმობს დეტალურ სიზუსტეს, არამედ მიზნად ისახავს საერთო ნონასწორობას. ასევე ორ-ორი ალმანდინი ზემოთ და ქვემოთ განაპირობებს ალმანდინის ამ მომჩარჩოებელი სამკაულის განაწილებას ორ პატარა მედალიონზე რთული კონფიგურაციის ფირუზებით ცენტრში. ორივე გვერდით ნახევარწრეზე აქ სამ-სამი თითქმის მრგვალი ალმანდინია. სამ სხვა წყვილზე თითო ფერადოვანი აქცენტია ზემოთ და ქვემოთ. კაუჭებიანი დიდი მედალიონების წყვილი, ბუნებრივია, ფართოდ სვამს ალმანდინების წყვილს კაუჭების გვერდებზე, ამასთანავე ერთერთი მათგანის ფორმა თითქოს ფირუზის წვეტიან შვერილებს აგრძელებს. ყოველ მედალიონს ათ-ათი ალმანდინი შემოუყვება. მთლიანად ალმანდინიანი პატარა მედალიონების წყვილს ევრტიკალზე ორი კვადრატული ალმანდინის თვალი აქვს, გვერდითებს კი 5 და 4 ოვალური ფორმისა. და ბოლოს, უკანასკნელი წყვილია, რომელსაც აგრეთვე ცენტრში ოვალური ფორმის ალმანდინები აქვს, გარშემო კი ალმანდინის და ფირუზის თელების მონაცვლეობა. ევრტიკალზე - ზემოთ ალმანდინი, ქვემოთ კი ფირუზია (resp. პირიქით), ისე რომ პირველი შთაბეჭდილებით შესაძლოა გეფიქრა სიმეტრიულ განაწილებაზე მარცხნივ და მარჯვნივ. მაგრამ თუ შევადარებთ ამ ჯგუფის სხვა მედალიონებს, რომლებზეც ორივე მხარეს, მარცხნივ და მარჯვნივ ქვების სხვადასხვა რაოდენობაა და განვიხილავთ საკუთრივ ამ წყვილს, დავინახავთ, რომ თელების განაწილება ნაკარნახევი იყო არა ფერადოვანი ლაქების სიმეტრიული განაწილებით, არამედ მათი უბრალო მონაცვლეობით, ალტერნირებით. ე.ი. ის მიზანდასახულება, რომელიც ჩვენ დავადგინეთ სერაფიტას ყელსაბამის ანალიზის დროს, წამყვანად უნდა მივიჩნიოთ განსახილველ მედალიონებში. ამის ხაზგასმა აუცილებელია, რადგან ჯერ

კიდევ ადრეული შუა საუკუნეების მარტვილის ცნობილ ენკოლოპიონზე, ტიხრული მინაქრის ვედრებით ენკოლოპიონის შიგნით და ოთხი სევადიანი სცენით ზურგის მხარეზე (კარების გარეთა მხარეზე მინაქარი დაკარგულია),⁷ გარეთა ჩარჩოზე ლალისა და ზურმუხტის თვლების იგივე მონაცვლეობა გვაქვს, როგორც არმაზის ნივთებზე.⁸

ყველა ამ მრგვალ მედალიონზე აღმანდინები და ფირუხები მოთავსებულია მედალიონზე დარჩილულ შესაბამის სადა თვალბუდეებში. დიდი ცენტრალური ბუდეები დამატებით შემოფარგლულია ოქროს მავთულით, რომელიც დასერილია გავარსის მიბაძვით. მათ გარშემო დარჩილული წერილი ფერადოვანი აქცენტები მხოლოდ სადა თვალბუდეებით შემოიფარგლება. მედალიონების გარეთა კიდევ ასევე მირჩილული ოქროს მავთულითაა შემოსაზღვრული, რომელზეც ასევე გავარსის მიბაძვით ჩანაჭდეგებია გაკეთებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს კიდევ ოთხი დამოუკიდებელი ფირუხი, იმავე უცნაური სამკბილა მოხაზულობისა, როგორც მრგვალ მედალიონების ცენტრში; ყოველი მათგანი დამოუკიდებლად ჩასმულია ოქროს ბუდეში, რომელიც გლუვია ზურგის მხრიდან და რომლის კილოთი ისინი მაგრდებოდნენ სარტყელზე. ბუდის კონტური აქაც შემოსაზღვრულია გავარსის იმიტაციის ოქროს მავთულით.⁹

ერმიტაჟმა შეიძინა სოფ. უსახელოში, ლეჩხუმში აღმოჩენილი ასპაერუკის სარტყლის ფირფიტების ტიპის ბალთა. ფირფიტის შუაგულში დიდი რომაული გემაა, ზუსტად დათარიღებული ნერონის ეპოქით (54-68 წწ.), ე. ი. ან.წ. I საუკუნის მესამე მეოთხედით; მის გვერდებზე წერილი თვლებია და სამკუთხედებად დაჯგუფებული ცვარა, თვალბუდეების გარშემო კი გავარსისებურად დასერილი მავთულია.¹⁰ უსახელოს აღმოჩენებიდან შექენილი ნივთებიდან ამ ერთი ბალთის გამოცემისას ე. პრიდიკმა იგი თითქოს გემის მეშვეობით დაათარიღა, რაც ცოტა არ იყოს, დაუშვებელია.

ანალოგიურად დამუშავებული 9 ფირფიტა კლდეეთშიაც არის აღმოჩენილი, სავარაუდოდ, ისინი თავსამკაულის ნაწილებს წარმოადგენდნენ, რადგან მათ აქვთ ჭკირული ზედა ნაწილი და თავისუფლად ჩამოკიდებული საკიდები.¹¹ ისინი სხვადასხვა ზომისაა. მათი ნაწილი დაზიანებულია, როგორც ჩანს, აღმოჩენთა მიერ; ისე რომ მათი თავდაპირველი რაოდენობა გაურკვეველია. თუმცა საშუალოდ ყოველი მათგანის სიგანე 4 სანტიმეტრამდეა, ე.ი. მათი საერთო სიგრძე 30-35 სმ., ანუ შესაძლოა, ისინი ამკობდნენ თავსაბურავს (კეფამდე). ამ ფირფიტების ცენტრალური ქვა მოლურჯოდ ეღვარებს (აქატი?). კუთხეებში ოთხი მცირე ზომის აღმანდინია. სულ წერილი თვლები, ან მომწვანო პასტაა – ზედა სამკუთხედში და ჩიტების თვლების შსგავსად მათზე დამაგრებულნი. ყველაფერი შემკულია ცვარათი, როგორც ცალკეული პირამიდებით, რომლებიც შედგენილია სამი ან მეტი მარცვლიდან მოყოლებული. თხუთმეტამდე. გავარსითაა შემასაზ-

ღერული თვალბუდეები, ზედა სამკუთხედები, ჩიტების კონტურები და მათი „ნახატის“ ცალკეული ნაწილები. ფირფიტების ზედა ნაწილში დასმული ჩიტების წყვილებზე შეიძლება კარგად დაინახოთ, თუ რამდენად პირობითად აღიქვა ქართველმა ოსტატმა მისთვის უცხო ეს მოტივი: ყოველი წყვილი განსხვავდება ერთმანეთისაგან, სხეული ყოველ შემთხვევაში ახლებურადაა დამუშავებული ხაზებით, ზედდებული „თვალებით“, სამკუთხედებად განლაგებული მარცვლებით და სხვ.¹² საკიდები შედგება ოქროს მრგვალი სადა ფირფიტებისაგან, მირჩილული კილოთი, რომლითაც მიმაგრებული არიან უბრალო ძეწეზე. ამგვარი საკიდები იყო სამ-სამი, ნახვრეტების მიხედვით რომ ეიმსჯელოთ, შესაძლოა ზოგან იყო ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი. ყველა ფირფიტის თვალბუდე, გარდა ყველაზე მაღალისა, სადა კი არ იყო, არამედ შედგებოდა სამკუთხედების გაბმული მწკრივისაგან, რომელთა გადმოლუნული წვერები ამაგრებდა ქვას.

2. ახ. ნ. II საუკუნის მესამე მეოთხედისა და დასასრულის გვერდი-გვერდ მდებარე ქალის ორ ძალიან მდიდრულ სარკოფაგში (VI და VII), რომელთა ინვენტარის ნაწილი კომპოზიციის დეტალებითა და ტექნიკით ძალზე ახლოა ერთმანეთთან, გვაქვს თითო ყელსაბამი, რომელიც ძირითადად შედგება გულზე ჩამოკიდებული კოლოფისაგან. ამგვარი ყელსაბამი, სავარაუდოდ, მშვენიერი სარაფიტასი, პიტიახმ ზევანის ქალიშვილისა და „ეპიტროპის“ იოდმანგანის მეუღლისა (ტაბ. IV), აღმანდინებითა და ფირუზებით შემკული, ზემოთ უკვე დანერილებით განვიხილეთ. გამოვალინეთ მისი თავისებურებები, როგორცაა ყელის რგოლისა და გულზე ჩამოკიდებული კოლოფის კედლების ჭვირულობა, კოლოფის კიდესა და თვალბუდეების გარშემო გავარსისა და გავარსისებურად დაჭდებული მავთულის გამოყენება – ელემენტი, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული უკვე ასპავრუკის ცალკეულ ნივთებში.

საპარადო ყელსაბამი VII სამარხიდან (VII, 16), სერაფიტას ყელსაბამის მსგავსად, წარმოადგენს ყოველმხრივ განსაკუთრებულად გამორჩეულ მხატვრულ ნაწარმოებს (ტაბ. IX). ისიც შედგება 5,3 სმ-ის დიამეტრის ბრტყელი (1 სმ. სიმაღლის) კოლოფისაგან, რომელიც მტკიცედაა დამაგრებული ნატიფად დამუშავებულ, რბილად დრეკად ძეწეზე, რომელიც ოქროს ძაფებისაგან ნიწვისებურადაა დანული (46 სმ-ის სიგრძის). ეს არის ტიპური ნამუშევარი; იგი უკან დიდი დუგებით იკვრება. კოლოფი შედგება ერთმანეთთან კარგად მორგებული სახურავისა და ფსკერისაგან. სახურავის ცენტრალურ სამკაულად გამოყენებულია მუქი ამეთვისტო, რომლისაგან ოსტატურად გამოკვეთილია ვერძის თავი სრული მოცულობით. ეს ამკარად, შემოტანილი ძვირფასი ნივთია. იგი უპირატესად და ყველაზე ძლიერად ახდენს შთაბეჭდილებას ფერადოვნებით, მუდმივი ელვარებითა და გამოიყოფა თავისი გარემოცვიდან ქვის ზედაპირების ანარეკლებით. ამ

გამჭვირვალე და მოციმციმე, მუქი სოსანისფერი ამეთვისტოს გარშემო მჭიდრო მწკრივად მონაცვლეობით დარჩილულია მრგვალი ალმანდინის თვლები, მოგრძო ფორმის დანახნაგებული ლილაქები (მალაქიტი). დამახასიათებელია ამ ფერადოვანი კომპოზიციის აგება ცენტრიდან: ვერძის თავს, მჭიდროდ მიკრული რქებით, აქვს ოვალური, ქვემოთკენ დაგრძელებული ფორმა; თავად სახურავი მრგვალია და მის გარშემო ალმანდინისა და ლილაქის წრე თავისი განლაგებით ქმნის სრულ სიმშვიდეს სხვადასხვა ზომის ქვების შერჩევითა და მათი განსხვავებული დაშორებით ამეთვისტოსაგან. სახურავის დეკორის ორი ძორითადი ელემენტის ხაზგასასმელად – ცენტრალური მსხვილი, მაღალი ამეთვისტო და ალმანდინისა და ლილაქის წრე – ყოველი მათგანი შემოსაზღვრულია გავარსის მიბაძვით დამუშავებული მავთულით. დანარჩენი კი – ოქროს საკმაოდ თავისუფალი ზედაპირებია. კოლოფის კიდე სრულიად განსხვავებულადაა დამუშავებული, რაზეც ქვემოთ ცალკე იქნება ნათქვამი.¹³

3. VII სამარხის კოლოფიან ყელსაბამზე კოლოფის ქვემოთ მარტივ, გამჭვირვალე ოქროს ძენკვზე ჩამოკიდებულია მცირე ზომის ოქროს მრგვალი სანელსაცხებლე (დიამეტრი დაახლ. 3 სმ.) მაღალი (1 სმ. სიმაღლის), საკმაოდ ფართო (1,7 სმ) ყელით, ასეთივე სარქველით. ორი მოკლე ძენკვი ბოლოებში მოთავსებული რგოლებით მაგრდება მთავარ ძენკვზე. ჭურჭლის მრგვალი ზედაპირი მთლიანად მოოჭვილია ნანვეტებული ფორმის ალმანდინის თვლებით. ჭურჭელი თავდაყირა რომ დაიდგას, ე.ი. ყელზე, ფსკერის ცენტრში აღმოჩნდება ასევე ნანვეტებული ფორმის არა ნითელი ქვა, არამედ ართადერთი მოთეთრო – ფირუზი (?). შემდეგ ალმანდინის ქვები ჩასმულია მწკრივებად ისე, რომ ყოველი შემდეგი ქვა ხვდება მომიჯნავე რიგის ქვებს შორის არსებულ ცეზურებში. მწკრივი სულ ოთხია, ამასთან ქვემოდან მეორე შექმნილია ყველაზე მაღალი და წვეტიანი ალმანდინის თვლებით. ამგვარადვე, ალმანდინის წამახვილებული წვეტიანითაა შემკული სარქველიც – ზემოთ მოთავსებულია ერთი მსხვილი თვალი, მის ბუდეზე მირჩილული ორმაგი გრეხილი მავთულით, სარქველის კიდეზე კი 6 პატარა თვალია სადა ბუდეებში. სახურავის ამ მაღალი კედლის ორივე ნიბო, ცენტრალური თვალბუდის მსგავსად, შემოსაზღვრულია ორმაგი გრეხილი მავთულით. ჭურჭლის მხატვრული შთაბეჭდილების არსებით ელემენტს წარმოადგენს ოქროს მომრგვალებული მოციმციმე ზედაპირი, რომელიც მოჩანს პატარა, შედარებით ხშირი წვეტიან ალმანდინებს შორის. ჭურჭელში იყო რალაც (კოსმეტიკური?) მასა. ალმანდინის თვლებისა და ქვედა ფირუზის ფორმა ვგონებ, მიგვითითებს, რომ ამგვარი ფორმა მათ მინიჭებული აქვთ აპოტროპეული მიზნებით.

თითქმის ამგვარივე პატარა ჭურჭლებია აღმოჩნდ უსტ-ლაბინსკის სამარხებში, ნოვორკასკის განძში, ოლგიაში, და „ოქროს ნილბიანი დედოფლის“

სამარხში, რომელიც 1837 წელს აშკმა აღმოაჩინა გლინიცაში (ქერჩი).¹⁴

ამ ჭურჭლის ანალოგიურად პატარა საკმაოდ ამონეული აღმანდინის თვლების განლაგება სფეროსებრ ზედაპირზე გვაქვს ხუთ მრგვალ (ღრუ?) მძივზე (დაახლ. 2 სმ. დიამეტრისა) ასპაერუკ პიტიახშის სამარხიდან, რომელთა ნახერეტების (4 მმ. დიამეტრის) გარშემო მირჩილულია გავარსისებრად დამუშავებული მავთული. ყოველი მძივი შემკულია მასზე სამ რიგად დარჩილული 12 აღმანდინის თვალით სადა თვალბუდეებში. ზედა და ქვედა რიგები მძივების ნახერეტების გარშემო უფრო წვრილი თვლებითაა შედგენილი, რომლებიც საერთო ვერტიკალურ ხაზებზეა განლაგებული. პორიზონტალურად ოდნავ დაგრძელებული აღმანდინის თვლებისაგან შედგენილი შუა მწკრივი დარჩილულია ზედა და ქვედა მწკრივებს შორის დარჩენილ შუალედში. ამგვარად, ამ მძივებში შესაძლოა დავინახოთ ქრონოლოგიურად უფრო ადრეული გამოხატულება იმ მისწრაფებისა, რომელმაც თავისი სრული გამოხატულება ჰპოვა სანელსაცხებლებში, როგორც მხატვრული ფორმის, ასევე, უთუოდ, მაგიური აპოტროპეული შინაარსის თვალსაზრისით.

4. სამკაულების განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს დიდი ზომის აქატის, ონიქსისა და მსგავსი ფიბულები, საკინძები, მეტწილად დამატებითი საკიდებით, რომლებიც გვხვდება, რა თქმა უნდა, თითო ცალად და რომლის ერთი ნიმუში გვაქვს არმაზში (ტაბ. LXXX, 11), ერთი კი ურეკში. არმაზის აგრაფი ოქროს ბუდეში ჩასმულ მრგვალი, ოდნავ ამოზურცული ღვინისფერი აქატის დისკოს წარმოადგენს, წვრილი აღმანდინების აპლიკაციებით (საერთო დიამეტრი 9 სმ.). აქატის დისკო დამაგრებულია მთელი წრის გაყოლებაზე გადმოღუნული დაკბილული სამკუთხედებით. ამ თვალბუდეს გარშემო, ისევე, როგორც კლდეეთის თავსამკაულის ფირფიტებს, დაუყვება გავარსისებურად ჩანაჭდევეებით დამუშავებული ოქროს მავთული. ეს უთუოდ აქატის მირჩილული თვალბუდეა. საკუთრივ აქატის დისკოს მოჩარჩოება 5-ნ მმ-ის სიგანის ორი ზოლისაგან შედგება. შიდა ზოლი თანაბარზომიერადაა გოფირიებული, რითაც ეხმიანება ამავე სამარხის 112 კილიტს. გარეთა სადა ზოლი შედგენილია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, სადა ბუდეებში ჩასმული წვრილი აღმანდინების აპლიკაციით. ამ გარეთა ზოლსაც კიდზე დაუყვება გავარსის მიბაძვით დასერილი მავთული. ზურგის მხრიდან ამ სამკაულს აქვს ოქროს ერთიანი ფირფიტა – აქატის საპირისპირო ნაწილში გლუვი, მირჩილული 10 პატარა კილოთი; ფირფიტის მოჩარჩოებაზე შებრუნებულად აღბეჭდილია ყოველი მონახაზი. კილოები ისეთივეა, როგორც ამავე სამარხის 112 კილიტზე. ჭვირულ ბუდეში ჩასმული ოვალური ფორმის აქატისვე მუქი ფერის დიდი საკინძი (ზომით 10x6 სმ.) ურეკის გათხრებიდან სუფსის მახლობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, შემკულია საკიდების 6 მწკრივით (8 სმ-მდე სიგრძის); ასეთივე ადრევე ცნობილი იყო

აგრეთვე ჩმიდან (ერმიტაჟში) – ონიქსის, რომელიც ნ. კონდაკოვმა II-III საუკუნეებით დაათარიდა.¹⁵ იგი იქვე აღნიშნავს, რომ „უკვე რომის იმპერიის არსებობის ბოლოსთვის ეს ერთგვარ იშვიათობას წარმოადგენდა. გვიანდელ ხანაში კი აქ მომრავლდა ოქროს ნაქეთობები ინკრუსტაციით“. ოლონდაც, ანაპაში აღმოჩენილი საკმაოდ უხეშად დამუშავებული ამგვარივე ძეგლის შესახებ სამი ამოხრცული ონიქსით (იასპით), რომლებიც დიდად უყვარდათ კავკასიის, სამხრეთ რუსეთისა და უნგრეთის ბარბაროსულ ხელოვნებაში, იგი მოგვიანებით წერს, როგორც VI საუკუნის ნახელავეზე.¹⁶ აღ. რიგლთან ამგვარივე, ოლონდ უფრო მცირე ზომის ფიბულები მოყვანილია: ტაბ. II-ზე Ostropataka-დან, ვენის მუზეუმში, დაახლოებით III ს-ის შუა წლებით დათარიღებული ონიქსი ჭვირულ ბუდეში¹⁷, ტაბ. III-ზე Szilagy-Somlyo-ს მეორე განძის სარდონიქსი და ნანილობრივ ტაბ. IV-ზე ფიბულა Nagy-Mihaly-დან – ორივე დაახლოებით V საუკუნის II ნახევრისა.¹⁸

5. სერაფიტას მეორე ყელსაბამი (VI, 5) შედგება ოვალური ფორმის ალამდინის თვლებისაგან, რომლებიც ჩაძირულია ოქროს ბუდეებში ქვის ზედა სიბრტყეზე, რომლიდანაც იშლება 4 მმ-ის სიგანის ოქროს გაპრიალებული კიდეები. ალმანდინის თვლების ზომები კიდეებიდან ცენტრისკენ თითქმის ორჯერ იზრდება. ცალკეული რგოლები ერთმანეთთან დაკავშირებულია პატარა სამსჭვალებით, რომლებიც ყუნწებშია გაყრილი, ერთზე ორი ყუნწია, მეორეზე — ერთი. სულ ასეთი 18 რგოლია, ამასთანავე, ალმანდინის თვლების უმეტესი ნაწილი (13) კაბოშონებადაა გაპრიალებული და რელიეფურად ამონეული ოქროს კოლოფების ბრტყელი კიდეებიდან, ხუთ რგოლში კი ალმანდინის თვლები ოქროსთან ერთ სიბრტყეშია, ანუ კიდეების დონეზე. ეს ბრტყელზედაპირიანი რგოლები სამ გარკვეულ ადგილასაა განლაგებული – სამი მსხვილი მოთავსებულია ერთად ყელსაბამის ცენტრში, თითო-თითო კი ბოლოებიდან სამი რგოლის დამორებით. სამი ცენტრალური ქვიდან ერთ მხარეს ამგვარი თვალი დამორებულია ორი ნახევარმრგვალი ქვით, მეორე მხარეს კი – სამი რგოლით. ამგვარად, გაშლილკიდეიან ოქროს კოლოფში ქვის ჩაძირვის ამ ხერხს და არა მის დამაგრებას ოქროს ზედაპირზე, აქ აქვს ორი ნაორსახეობა. გლუვ ზედაპირად გაპრიალებულ ელემენტებში ჩვენ აქ ვაწყდებით იმ მიზანდასახულებას, რომელიც ასეთი ძალით, პრონონსირებულად და შთამბეჭდავდაა წარმოდგენილი პიტიახშ ბერსუმას სატყერის სახელურზე.

ამავე ტიპის მეორე ყელსაბამი წარმოდგება VII სამარხიდან (ტაბ. LXXX, 17, კატალ. N 198). იგი თითქმის სერაფიტას ყელსაბამის განმეორებაა, ოლონდ შედგება ალმანდინის 23 რგოლისაგან, ამასთან ყველა რგოლი ერთი ზომისაა (საშუალო ზომისაა სერაფიტას ყელსაბამთან შედარებით) და ისინი ყველა ბრტყელია, ერთიან ზედაპირს ქმნის ოქროს კიდეებთან. ნამუშევარი თითქოს ნაკლებ მოხდენილი და დახვეწილია, ვიდრე სერაფიტას ყელ-

საბამისა. ამგვარად, აქ ქვისა და ოქროს ერთიანი სიბრტყე ყველა რგოლზე ვრცელდება, სრულად ბატონობს.

კლდეეთის სამარხშიც აღმოჩნდა ოთხი რგოლისაგან შედგენილი ასეთივე ყელსაბამის ნაწილი, ოღონდ აქ ამობურცულ აღმანდინებს ნუშისებრი ფორმა აქვს, თვალბუდის ოქროს კიდეები კი 2 მილიმეტრამდეა.

სერაფიტას მეორე ყელსაბამში, პირველ ყელსაბამთან და ასპავრუკ პიტიახშის სამარხის ნივთებთან შედარებით, ახალი ტენდენციის ჩასახვა ვლინდება, სიბრტყის ახალი ღირებულების შეგნება, მისი თანდათანობითი გამოჩენა მომრგვალებული ზედაპირის გვერდით, რამაც თავი იჩინა ერთდროულად ორ მომენტში – პირველ ყოვლისა, აღმანდინის ყელსაბამის ყოველ რგოლში შედარებით ფართო, სრულიად გლუვი და გაპრიალებული ოქროს ნაპირების ჩართვა, როგორც შემადგენელი ელემენტისა; შემდეგ კი ამ ყელსაბამში აღმანდინის თვლების მომრგვალებული ფორმიდან ბრტყელ, ოქროს კიდეებთან ერთ სიბრტყედ გაპრიალებაზე გადასვლა.¹⁹

განვითარების ეს ხაზი, იგივე მიზანდასახულება ვლინდება სერაფიტას საყურეთა ჯგუფშიც, რაც, ამგვარად, აღნიშნავს ამ ახალ ნაკადს, ძველის გვერდი-გვერდ, რომელიც გამოვლინდა ნახევარი საუკუნით ადრე ასპავრუკის ნივთებში.²⁰

სერაფიტას საყურეების სამივე წყვილი (ტაბ. VI, 1, 2; LXVI, 24, 25, 26) თავის ორ ძირითად რგოლში ზუსტად ისევეა დამუშავებული, როგორც მისი მეორე ყელსაბამი, ანუ ერთი ფერადოვანი ბირთვი ჩაძირულია ბრტყელ ოქროს კოლოფში (ამასთან, იგი მკაფიოდაა შედგენილი ფსკერითა და მართი კუთხით ამოსული კედლებით — ისევე, როგორც ყელსაბამში) მის გარეთა ზედაპირამდე; აქ კიდეები ერთ სიბრტყედ ემიჯნება ფერადოვან ჩანართს, რომელიც იმავე სიგანისაა, რაც ყელსაბამზე, ანუ დაახლოებით 4 სმ. ერთ წყვილს ამობურცული და სხვადასხვა ფერის ფერადოვანი ჩანარები აქვს (ტაბ. LXVI, 26 და VI, 1).²¹ ზედა რგოლის ჩანართია ოვალური ფორმის წითელი აღმანდინი – კაბოშონი, ქვედასი – სავარაუდოდ, ფირუზი, ერთ საყურეზე გამოთეთრებული და დაშლილი, მეორეზე აგრეთვე გათეთრებული, ოღონდ შენარჩუნებული პირვანდელი ფორმით, სამი ბურცობით სამკუთხედში. საკიდი შედგება ოქროს მავთულისაგან, რომელზეც ნაწილობრივად მილისებურად მავთულივით შემოხვეული; საკიდის წვერზე მირჩილულია პირამიდისებურად ოთხი მსხვილი ოქროს ბურთული, წვერით ქვემოთკენ და ყოველ ასეთ ბურთულას (დიამეტრი 2 მმ.) ქვემოდან მირჩილული აქვს ცვარას ოთხი მარცვლისაგან შედგენილი ასეთივე პირამიდა.²² ამის აღნიშვნა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან აქ აშკარად ვლინდება ოსტატის ხაზგასმულად ორნამენტული მიდგომა: აღნიშნული ელემენტებისაგან ადვილად შეიძლება ყურძნის მტეენის იმიტაცია (ამის მსგავსია საკიდების ზოგიერთი დამაგვირგვინებელი დაზიანებული ნაწილი).²³ სერაფიტას მეორე წყვილ საყურეს კი (ტაბ. LXVI, 24) ორივე ძირითად

ნაწილში აქვს წითელი ალმანდნის თვალი, რომელიც გაპრიალებულია ოქროს ბუდის პირთან ერთ სიბრტყედ. მეორე რგოლს ორი საკიდი აქვს: ქვემოთკენ ვერტიკალურად მიმართული თითოეული ოქროს მავთული (დაახლ. 1,5სმ. სიგრძის) თავდება ცვარას მარცვლების ისეთივე ჯგუფით, როგორც საყურეების პირველი წყვილის საკიდზე.²⁴ მესამე წყვილი შედგება მწვანე ჩანართიანი ერთი ამობურცული რგოლისაგან (ტაბ. VI, 2 და LXVI, 28), ზემოთ და ქვემოთ სახსრებით, რომელსაც ერთი საკიდი ემიჯნება (მარგალიტითა? და მარცვლების კონით).

VII სამარხში აღმოჩნდა საყურეთა ორი წყვილი, ძირითადად იმავე ტიპისა, როგორიც სერაფიტას სამარხშია მოპოვებული - ერთ-ერთი წყვილის ზედა ნაწილი სწორკუთხაა; ალმანდნის ჩანართები - ბრტყელი. მათ ორმაგი მავთულების საკიდები აქვთ, ბოლოებზე ბურთულებით და ცვარას პირამიდებით (ტაბ. LXXX, 2,3). მეორე წყვილი ერთნაწილიანია (ტაბ. LXXX, 2), ძირითადი რგოლიდან ამოვარდნილი პასტით.

6. ოქროზე კოლორისტული დეკორის განვითარების მკაფიოდ გამოკვეთილ ეტაპია ალმანდნის, მალაქიტისა და სხვათა ბრტყელი ფირფიტებით ინკრუსტაცია, რომლის მრწყინვალე, საჩვენებელი ნიმუში განვიხილეთ III ს. შუა წლების ბერსუმა პიტიახშის სატევრის სახელურზე. ძონითა და მალაქიტით ინკრუსტაციის დიდ განცალკევებულ ჯგუფს წარმოადგენს ოქროს ნივთები, სადაც სწორკუთხა ბრტყელი ფირფიტები თანაბარ-ზომიერადაა გამოყენებული საკმაოდ სქელ ოქროს ტიხრებს შორის.

ამგვარადაა დამუშავებული კოლოფის კედელი ყელსაბამზე VII სამარხიდან, რომლის კოლოფის სახურავი შემკულია მუქი ამეთვისტოსგან გამოკვეთილი ვერძის თავით. იგი შედგება ღია მწვანე ფერის მალაქიტის სწორკუთხა ფირფიტების (ზომა 7x2,5 მმ.) მჭიდრო წყებისაგან, რომლებიც ჩანართებთან საერთო ზედაპირს ქმნის. ზუსტად ამგვარადვე დამუშავებული რეზანხანაგა დეტალები ქმნის ამ ძენკვის კოლოფთან შემართებელ რგოლს. მთლიანად ამ ყელსაბამის მხატვრულ შთაბეჭდილებაში კიდევებისა და ძენკვის დაბოლოებათა ასეთ გადაწყვეტას, ფორმითაც და ფერადოვნებითაც, თითქოს ერთგვარი სიმშვიდე შემოაქვს კოლოფის სახურავის მნიშვნელოვან დინამიკაში. ამგვარი გადაწყვეტის გარკვეულ მომზადებად შეიძლება განვიხილოთ მალაქიტის ფირფიტების ფორმა, რომლებიც თავად სახურავზე ბუდეებით ზემოდანაა დადებული. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ინკრუსტაციის ასეთი სისტემის გამოყენება კოლოფის კედლებზე და ძენკვის მძივისებურ ნაწილებში II საუკუნის II ნახევარში თითქოს მეტყველებს სწორედ ინკრუსტაციის თანდათანობით გამოყენებაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია მეტოქეობის განევა თვლებით აპლიკაციის გავრცელებული ხერხისათვის.

საგანგებოდ უნდა შეეჩერდეთ ყელსაბამზე, რომელიც 1942 წელს აღმოჩნდა ურეკში, ქ. სუფსასთან, გურიამი, შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ყელსაბამი ოქროს ცალკეული ექვსნახნაგა რგოლებისაგან შედგება, მათი საერთო რიცხვი 49-ს უდრის, ყელსაბამის საერთო სიგრძე 80 სმ-ია. ეს რგოლები ორი სახისაა. 33 ექვსნახნაგა ელემენტს ცენტრში ამკობს აღმანდინის ქვა, დანარჩენი ნაწილი - ჭვირულია (მათზე იხ. ქვემოთ \$9), დანარჩენი 16 კოლოფი სქელი ოქროს ტიხრებით დაყოფილია 6 სამკუთხა უჯრედად, რომლებიც დახერხილი აღმანდინის ქვებითაა შევსებული და მათი ზედაპირი გაპირალებულია კოლოფის ოქროს კედლებთან ერთ სიბრტყეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს შთმბეჭდავი ძეწკი (საერთო წონით თითქმის 315 გრ.), საერთო ძაფზე აცმული ორი მილაკის მეშვეობით, რომლებიც დარჩილულია ყოველი რგოლის ზურგის მხარეზე, ორგვარი გაფორმების რგოლებისაგან შედგება. ერთი იძლევა გამჭვირვალე, ჭვირულ ოქროს კოლოფებს, ამონეული, თითქოს ზემოდან დადებული ამობურცული აღმანდინის თვლებით, მეორე კი - მათი რაოდენობა ნახევარს უდრის - გვაძლევს აღმანდინით ინკრუსტირებულ კოლოფებს, სადაც აღმანდინის ქვების ზედაპირები ერთ სიბრტყეშია მათ გამყოფ სქელ ოქროს ტიხრებთან, ე. ი. იგი, არმაზის VII სამარხის ყელსაბამის მსგავსად, ერთ ნივთში აერთიანებს ორივე გადანყევტას.

ურეკის ყელსაბამის ამ ნაწილების ანალოგიურ შეკრულ, თითქოს ცენტრირებულ ორნამენტულ გადანყევტას მიეკუთვნება აგრეთვე სერაფიტას ბეჭედი (ტაბ. X,4), ტიხრებს შორის ჩასმული ძონის თვლებით, შემდეგ მისი მესამე - „ავგაროზული“ ყელსაბამის (ტაბ. VI, 4) ცენტრალური (?) რგოლი (დაახლ. 1,5 სმ. დიამეტრის), ტიხრებს შორის ჩასმული დახერხილი მალაქიტისა და ძონის ქვებით. ეს არის კოლოფი, რომლის ფსკერზე მირჩილულია ტიხრები. მათ შორის ჩასმულია საჭირო ფორმის მიხედვით გამოხერხილი და სრულიად ბრტყლად გათლილი 2-2,5 სმ-ის ფირფიტები - ოთხი ძონისა და ოთხი ბაცი ლილა ქვისა (მალაქიტისა). მალაქიტის ფირფიტები ზურგის მხრიდან ნაკლები გულმოდგინეობითაა გაპირალებული, როგორც ეს ჩანს ბუდიდან ამოვარდნილ ერთ ქვაზე. ამ მრგვალი კოლოფის ტიხრები და გარეთა კედელი ერთნაირი, საკმაოდ მნიშვნელოვანი სისქისაა. ზურგის მხრიდან მასზე ყელსაბამის თასმის გასაყრელად ორ რიგად ორ-ორი კაუჭია მირჩილული; ამას გარდა, მედალიონის ქვედა ნაწილში ერთი მოზრდილი კაუჭია ჩამოშვებული, რომელზეც, ჩემი ვარაუდით, ავგაროზის მნიშვნელობით ტახის მინიატურული გამოსახულება იყო ჩამოკიდებული (VI, 33).²⁵

ოქროს სქელ ტიხართა შორის სწორკუთხა ბრტყელი ფირფიტების ინკრუსტაციის ამგვარივე დამახასიათებელი ნიმუშები გვხვდება არმაზის კიდევ რამდენიმე სამარხში - სახელდობრ, ბავშვის ყელსაბამის პანდანტივზე III საუკუნის ბოლოთი დათარიღებული II სამარხიდან (ტაბ. II, 2), სადაც იგი

ძალის გამოსახულებიანი ორფენოვანი აქატის გემის მოჩარჩობას წარმოადგენს და ოქროს საყურეზე (?) ბაგინეთის ქვედა ბაქნის (გასასვლელი) სარკოფაგიდან, რომელიც დაახლოებით II საუკუნის მეორე ოცნლეულით თარიღდება (გაიხსნა 1946 წლის 22. IX). საყურის სწორკუთხა წახნაგოვან (6 თუ 8 (?) წახნაგი) დეტალზე ტიხარებს შორის ბუდეებში ნითელი და მწვანე ფირფიტების მონაცვლეობაა გამოყენებული. ოქროს სქელკედლიან კოლოფებში ინკრუსტაციის ზუსტად ასეთივე სისტემა გვაქვს პატარა კოლოფზე ნოვორჩეკასკის განძიდან, რომელსაც ნ. კონდაკოვი V საუკუნით ათარიღებს.²⁶ შემდეგ – საკიდზე აპახიდადან, ანუ დაახლოებით V საუკუნის I ნახევრის ან შუა წლების ნამუშევარზე და სილად-შომლიოს მეორე განძის სარდონიქსის ფიბულაზე.²⁷

ამგვარად, ვხედავთ, რომ ოქროს თანპირად, ოქროს შედარებით სქელ ტიხართა შორის ან ოქროს თვალბუდეებში აღმანდინით, მწვანე ან ცისფერი ქვებით ან პასტით ინკრუსტაციის სისტემა არმაზის პერიახსთა სამარხებში III საუკუნის შუა წლებში იკავებს დიდ, მხატვრულად მნიშვნელოვანსა და შეიძლება ითქვას, ნამყვან ადგილს, მაგრამ მისი გამოჩენა უკვე II საუკუნის II ნახევარში შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ როგორც დამატებითი ხერხისა, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე ივლისხმებოდა გვიან-რომაულ მხატვრულ სახელოსნოებში აღმოჩენების მიხედვით, რომ არაფერი ვთქვათ „ხალხთა დიდი გადასახლების“ ეპოქის ბარბაროსთა ტომების პროდუქციაზე.²⁸

7. 1941 წელს არმაზის სამარხთა შორის გაიხსნა შედარებით ნაკლებად მდიდრული სამარხი, რომელიც თავისი ხასიათით ახლოა პიტიახსთა სამარხების ინვენტართან და რომელიც სპეციფიკური ინკრუსტაციული დახვეწილობის ინვენტარს შეიცავდა. ეს XIX სამარხია. მასში იყო საყურეების წყვილი (ტაბ. XII, 4 და XCVI, 1. კატალ. N 323, 324), შემკული ზემოდან დამაგრებული წერილი მრგვალი ქვებით (ფირუზი?), გავარსით, ლურჯი პასტის პატარა შეკიდული ცილინდრებით, მრგვალი მარგალიტებით, და ბოლოს, აღმანდინის ნახევარცილინდრული გამოხერხილი ფირფიტების განსაკუთრებული ინკრუსტაციით, ასეთივე ნახევარცილინდრულ ოქროს ფსკერზე განლაგებულ ტიხრებში.

ამავე სამარხში იყო 40 პატარა ოქროს მძივისაგან შედგენილი ყელსაბამი (ტაბ. XCVI, 2). 19 ასეთი მარტივი ცილინდრული მძივი შემკულია ნითელი ნახევარცილინდრებით, რომლებიც აღმანდინიდანაა გამოხერხილი იმგვარად, როგორც საყურეებში. 21 ცილინდრული მძივი კი მათ ოქროს ფერით უპირისპირდება (მათ შესახებ იხ. \$ 10).

საინტერესოა, რომ ოქროს კოლოფის ნახევარცილინდრულ ფსკერზე ნახევარცილინდრული აღმანდინის გამოხერხილი თვლების ინკრუსტაცია გამოყენებულია აგრეთვე ამავე XIX სამარხის ერთ საბეჭდავში (ტაბ. XII, 2 და XCVI, 6, კატ. 329) და სხვა სამარხების საბეჭდავებში (მაგ. 1944 წელს

გათხრილ XLVIII და სხვა სამარხებიდან).

ინკრუსტაციის იგივე დახვეწილი ტექნიკაა გამოყენებული ორი (წყვილადი) სამაჯურის შემკულობაში XLIII სამარხიდან, რომელიც 1943 წ. გაიხსნა (ტაბ. XIII, 1,2 და C, 12,13). ყოველი სამაჯური შედგება 10 ცალკეული განსხვავებულად დამუშავებული კვადრატული ნაწილისაგან. მათ ზურგის მხარეზე წარწერაა ე. წ. „არმაზული“ დამწერლობით. ყოველი სამაჯურის ხუთ-ხუთი რგოლი შემკულია სამი ნახევარცილინდრით, რომელთაგან ორივე კიდურა ინკრუსტირებულია ალმანდინის ნახევარცილინდრებით, შუათანა კი გაყოფილია სამ მონაკვეთად ლურჯი-ცისფერი-ლურჯი (et vice versa) ნახევარცილინდრებით. ამ სამაჯურების დანარჩენი ნაწილების შესახებ იხ. ქვემოთ § 11-ში. უკანასკნელი სამარხი კონსტანცის მონეტით ზუსტად თარიღდება IV საუკუნის II მეოთხედით.

ინკრუსტაციის ზუსტად ამგვარი სისტემაა გამოყენებული ოქროს ფიბულაზე Nagy-Mahaly-დან ვენის მუზეუმში, რომელსაც ა. რიგლი ახასიათებს, როგორც „მასობრივი კომპოზიციის კიდევ უფრო დანიშნულ რებულ სტადიას“, ვიდრე Szylágy-Somlyo-ს მეორე განძის სარდონიქსის ფიბულა,²⁹ რომელსაც ბრენერი ათარიღებს დაახლოებით 480 წლით.³⁰ ამგვარად, ეს დახვეწილი ტექნიკაც, ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშების მიხედვით, უფრო ადრე გამოიყენებოდა არმაზში, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, ა. რიგლის მიერ გვიანრომაული ხელოვნების ნიმუშებად მიჩნეულ ნანარმოებებში.

8. გავარსი და გავარსისებურად დამუშავებული მათეული (ფილიგრანი) ფართოდაა გამოყენებული არმაზის ნივთებში. ჩვეულებრივ, ეს არის ოქროს გლუვ ზედაპირზე მცირე ზომის პირამიდების დამატებითი აქცენტები ან საყურეთა საკიდების დამატება და სხავ.

ორ ნივთზე კი ეს არის ზედაპირის მთლიანი დაფარვა. უპირველესად – სარტყლის აბზინდებზე ქალის VII სამარხიდან – II საუკუნისა $\frac{3}{4}$ (ტაბ. X,1 და LXXX,1). იგი შედგება საკმაოდ უჩვეულო ფორმის ორი ერთნაირი ნაწილისაგან, რომელიც, ნაწილობრივ, მოგვაგონებს ასპაერუქის შემკულობის ბალთების სამკბილა ფირუზებს. პირის მხარე მთლიანად მოფენილია მჭიდრო გავარსით, რომლის შიგნით გარკვეული მონაცვლეობით ჩართულია ნითელი (ალმანდინი) და მოთეთრო-მწვანე (ფირუზი) ცალკეული აქცენტები. აბზინდების ფორმების შესაბამისად, თელები მრგვალ და ნუშის ფორმის სადა ბუდეებშია.³¹ მთლიანად გავარსით მოფენილი მათი ზედაპირი ქმნის შუქისა და ჩრდილის მიციმიციმე, მოლივლივე მოძრაობას, რომელიც გარკვეულწილად წააგავს სერაფიტას ყელსაბამის ჭვირულობას. აბზინდებს კონტურზე შემოუყვება ოქროს უფრო მსხვილი მარცვლები.³²

მეორე ნივთი, სადაც გავარსი მთლიანად ფარავს ოქროს ზედაპირს, 40

ცილინდრისებრი მძივისაგან შედგენილი ყელსაბამია XIX სამარხიდან, რომელიც 1941 წელს გაიხსნა (ტაბ. XCVI,2). ამ ყელსაბამის 21 მძივი მთლიანად მჭიდროდ დაფარულია გავარსით, რომელიც ზემოდან ოდნავ დაბრტყელებულია. ამგვარად, აქ ჩვენ გვაქვს ისეთივე ხერხი, როგორიც, მ. როზენბერგის სპეციალური გამოკვლევის თანახმად, როგორიც ელინისტური ალექსანდრიის გავარსში.³³ საინტერესოა, რომ ა. რიგლიც აღნიშნავს გავარსის (ფილიგრანის) გამოყენებაში აღმავლობასა და დაქვეითებას, ოღონდაც, ჩვენი მასალა აქაც არ ადასტურებს მის დასკვნებს.

9. ჭვირულობის გამოყენება ნივთებში ძალზე შეზღუდული რაოდენობით გვხვდება. მაგრამ როგორც ბექედი და კოლოფის კიდეები სერაფიტას ყელსაბამზე წარმოადგენს განსაკუთრებულად გამორჩეულ, მნიშვნელოვან სამკაულს, ზუსტად ასევეა ჭვირული ოქროს სამაჯური III საუკუნის II სამარხიდან (ტაბ. II, 3). ეს სამაჯური შედგება ოთხ რიგად დარჩილული მჭიდრო რგოლებისაგან, ანუ ოქროს უპირისპირდება ქალის ხელის კანი. ამ სამაჯურის ცენტრში დამაგრებულია მუქი მწვანე ნეფრიტის (?) ოვალური მედალიონი (2,2x1,7) გვერდულად მჯდომარე ათენას გამოსახულებით. თვალუდის მოწარჩობა დამატებით ასტრაგალისებური ორნამენტითაა დამუშავებული.

ურთიერთმიმართებათა გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, საკიდების ცალკეული ძეწკებიც და ა.შ. უპირისპირდება კანის ფერს, ისევე, როგორც ძეწკების საკიდები და ავეგაროზებიანი გამჭვირვალე ქვედა ნაწილები აქატის აგრაფზე კლდეეთის სამარხიდან – სამოსლის ქსოვილის ფერს.

ჭვირულობა ქმნის ურეკის მთელი ყელსაბამის განსაკუთრებულობას. მისი 16 რგოლი ზემოთ იყო განხილული (\$ 6), სადაც მოვნიშნეთ 33 ჭვირული ნაწილი და მათი მნიშვნელობა მთლიანობაში. ამ 33 რგოლს აქვს მხოლოდ ცენტრში მრგვალი ამობურცული აღმანდინი, რომელიც რგოლის ოქროს ფსკერამდე და მთლიანად ოქროს ბუდითაა შემოკრული. ამ აღმანდინის გარშემო და კოლოფის თითოეული ექვსი ნახნაგის პირდაპირ დარჩილულია კოლოფის ზედა კიდესათან ერთ სიბრტყეში ოქროს ხვეულები: ამგვარად, ამ დარჩილული რგოლებით ქვის გარშემო კოლოფის სიღრმეში იქმნება შუქისა და ჩრდილის ციმციმი.³⁴

10. კანისა თუ ქსოვილის ფერთან ოქროს იმავე კონტრასტზე აგებულია მთლიანად ოქროსაგან დამზადებული სამკაულების მხატვრული ეფექტი. ასეთებს მიეკუთვნება ტანსაცმელზე დასამაგრებელი სხვადასხვა ტიპის დიდი და მცირე ზომის კლიტები (ტაბ. LII, LXVI, 2XXX). თუმცა ისინი თავისთავად ერთი ფერისაა, მაგრამ, უთუოდ, სამოსლისა და მოსასხამის ფერად ქსოვილებზე დაკერებულები, ისინი ისეთივე კოლორისტულ ეფექტს ახდენდნენ, როგორსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ცალკეული

ნაკეთობები. ამგვარი მომენტი განსაკუთრებით იმის ნყალობით მიიღწევა, რომ ეს კილიტები სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ფორმისაა (წერილი, საშუალო, მსხვილი დისკოები: დიდი და მცირე ბრტყელი ზარაკები: გოფირებულ მარყუჟებიან მილაკებში მოთავსებული ავგაროზები და სხვ.); მთავარი კი ისაა, რომ მათი ნაწილი უბრალოდ დაკერებული კი არ იყო, არამედ მათ აქვთ დაკერებულ ნაწილებზე თავისუფლად შეიკედული ნაწილები, რომლებიც მუდმივ მოძრაობაშია და ამგვარად აძლიერებს ოქროს ათინათსა და მის ელვარებას. ამგვარივე და სხვა ფორმის კილიტები არის კლდეთში.

საინტერესო ყელსაბამებია აღმოჩენილი ურეკსა და ბორში.³⁵ ისინი შედგენილია ნაკვეთილ კუთხეებიანი მასიური ოქროს კუბებით (ნახნაგი 7-8 მმ.), ე. ი. შედგება ექვსი ბრტყელი კვადრატული გვერდისაგან და რვა პატარა სამკუთხედისაგან.

შესაძლოა, უფრო რთული აგებულების *ad hoc* სხვადასხვაგვარი ნაწილებისაგან შედგენილ ყელსაბამებში, როგორცაა, მაგალითად, სერაფიტას (VI) სამარხიდან, ცენტრალური რგოლი შეიძლებოდა ყოფილიყო მრგვალი კოლოფი, ინკრუსტირებული ალმანდინისა და მალაქიტის ფირფიტებით ოქროს ტიხრებს შორის (იხ. ზემოთ § 6), ოქროს ტახის საკიდი, რომელსაც ჩადგმული თვალები ჰქონდა და ქვემოთ პატარა ოქროს დისკოების საკიდები (ტაბ. VI, 4 და 3).³⁶ სხვა შემადგენელი ნაწილები შეიძლება ყოფილიყო ავგაროზები, ნაწილობრივ გახსნილები და მხოლოდ ბოლოებში შეკრული სარქველებით (ტაბ. LXVI, 30), რომლებზეც გოფირებული ყუნწია მიჩნეული, ნაწილობრივ კი მთლიანი მილაკები (1,5-2 სმ. სიგრძის და 2,3 სმ. დიამეტრის) დახშული ბოლოებით (ტაბ. LXVI, 31-32) და ორი მიჩნეული ფართო 2-3 ნახნაგოვანი გოფირებული ყურით ყელსაბამის ძაფის გასაყრელად. ასეთებია ამ სამარხში რამდენიმეა, სხვადასხვა ნომრით (VI, 35, 37, 38, 39). ალბათ ყელსაბამის ნაწილებია პატარა ბრტყელი (ნახნაგებიანი) ოქროს ზარაკები (სიმაღლე 1,5 სმ.) (ტაბ. XVI, 42) ისინი 5-9 ცალია აღმოჩენილი (VI, 15, 16). ამგვარივე ზარაკები გვხვდება ასპაერუკის, ბერსუმას, ბორის სამარხებში.

ასეთივე დანახნაგებული სამყუნწიანი მილაკია ურეკიდან (სიგრძე 7,2 სმ., დიამ. 1,5 სმ.; ავგაროზიანი საკიდი ბავშვის IX სამარხიდან (ტაბ. LXXXVII, 1).

დეკორის კოლორისტული ამოცანის ასეთივე გადანყეცტას, ოქროს მოელვარე ზედაპირების შეხამებით სხულისა თუ ქსოვილის ფერადონებასთან, მიეკუთვნება ოქროსაგან დამზადებული სამაჯურები, რომელთაგან ზოგიერთს ამკობს მხოლოდ ერთი ალმანდინის თვალი. სამაჯურები მხოლოდ ერთი ტიპისაა, მათი ნაწილი განკუთვნილია არა მხოლოდ მაჯაზე, არამედ იდაყვს ზემოთაც, შესაძლოა, სამოსლის ზემოდან, ქსოვილზე სატარებლად და აგრეთვე ფეხზე, კოჭთან სატარებელი სამაჯურები. ასეთებია

სამაჯურები ასპაერუკის (ტაბ. I, 3, XXXIX, 6 და XXXVII, 15), სერაფიტას (ტაბ. V და LXVI, 10, 12, 33, 43) და სხვა სამარხებიდან (ტაბ. X, 5, 6; LXXX, 15 და LXXXVII, 3). ასპაერუკის სამაჯურები, თუ ვიმსჯელებთ მათი მდებარეობით სამარხში, სავარაუდოდ მაჯასთან იყო განლაგებული და შესაძლოა, ამგვარადნენ სახელოების ბოლოებს. ეს არის სადა მრგვალი სალტეები, რომლებსაც სახსართან და შესაკრავთან აქვთ ბურთისებრი შესქელება. ამგვარად, დეკორატიული ეფექტი გათვლილი იყო ოქროს შეხამებაზე სამოსლის ფერადოვან ქსოვილთან.

სერაფიტას პატარა სამაჯურების ერთი წყვილი (ტაბ. LXVI, 12, 33) იმავე ფორმისაა, რაც ასპაერუკის სამაჯურები: ეს არის გლუვი, კვეთაში მრგვალი ოქროს სალტეები, რომლებიც სახსრით იკვრებოდა. ამგვარივე სამაჯურებია კლდეთში. სერაფიტას პატარა სამაჯურების მეორე წყვილზე (ტაბ. X, 5, 6) სამაჯურის ფირფიტის გარეთა ზედაპირი ნახნაგებით დანანევრებულია ბრტყელ ზედაპირებად, ამასთან, ზედა და ქვედა სიბრტყეებზე დამაგრებულია ალმანდინის თვლების მომრგვალებული ოვალები, ოდნავ ამოზიდულ გლუვ თვალბუდეებში. ეს სამაჯურებიც (ტაბ. LXVI, 10), პირველი წყვილის მსგავსად, იკვრება სახსრითა და ბურთულეებიანი ღეროთი. ერთი წყვილი შედგება გლუვი სადა რკალებისაგან (დიამეტრიც 8-9 სმ.), ზემოდან დადებული გაფერმკრთალებული პასტის (?) ჩანართით ბუდეში. მეორე წყვილი კი (ტაბ. LXVI, 43) წარმოადგენს ორ ნახევარწრიულ ღრუ მილაკს, სხვადასხვა სიგანის 6 ნახნაგით და ბოლოებში, სახსრების დამაგრების ადგილას, ოთხი განივი ნიბოთი. ოდნავ განსხვავებული ტიპის სამაჯურებია აღმოჩენილი ურეკში – მასიური, მთლიანად ოქროსაგან დამზადებული და წყვილი ქვების ისეთივე ჩანართებით ბოლოებში.

მხოლოდ ოქროსაგან დამზადებული საყურეები საკმაოდ მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, ისინი მცირე ზომისაა, ოღონდ მასიური. ოქროს ასეთი მასიური დანახნაგებული საყურეების წყვილი, ქვემოთკენ მიმართული წვეტით, აღმოჩენილია ბერსუმა პიტიახშის სამარხში (ტაბ. LIII, 2), წყვილიც ბავშვის IX სამარხში (ტაბ. LXXXVII, 2) და ბრინჯაოს საყურეთა წყვილი – N 3 კრამიტსამარხში (ტაბ. CVIII).³⁷ საყურეების ძირითადი ფონდი პიტიახშთა სამარხებიდან და მათი მომიჯნავე სამარხებიდან არმაზისხევში და სხვ. შუიკაცს აგრეთვე, როგორც უკვე იყო განხილული განსაკუთრებით მდიდრულ ზოგიერთ ნიმუშზე, ალმანდინითა და სხვ. ინკრუსტაციას. მათი ფორმები ძალზე მრავალფეროვანია და იმსახურებს გაღრმავებულ და ფართო შესწავლას, საქართველოს გარეთ აღმოჩენილი ნიმუშებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ისევე, როგორც საბეჭდადების დიდი ჯგუფი. საყურეები იმყოფებოდა თმისა და სხეულის ფერთა, აგრეთვე მთლიანად თავისა და ყელის სამკაულთა გარემოცვაში.

და ბოლოს, აქვე უნდა ვახსენოთ I და III სამარხების, ანუ თვის

პიტიახშთა - ასპავრუკისა და ბერსუმას - სარდიონის, ფერადი მინისა და პასტის მძივები. ფერადოვნებასა და ორნამენტულობაში გამოვლენილი მათი დეკორატიულობა, აქაც, ისევე როგორც სხვა ნივთების შემთხვევაში სავსებით თვალსაჩინოა. რაც თავის მხრივ სრულიად არ ამცირებს მათ აშკარად დაცვით, მაგიურ მნიშვნელობას. მფლობელისათვის მათ, უჭკველად, ზარაკებს და სხვა ხმაურის გამომცემ ნივთებს, კილიტებსა და სხვ. მსგავსად, აპოტროპეს მნიშვნელობა ჰქონდა.

11. არმაზის ნივთებს შორის ტიხრული მინანქრის რამდენიმე მცირე ზომის მედალიონია. პირველი და ყველაზე ადრეული მაგალითი - ასპავრუკ პიტიახშის სატევრის ქარქამის ნეერზე მოთავსებული, უკვე დანვრილებით განვიხილეთ, ამ მედალიონთან დაკავშირებით ტიხრული მინანქრის წარმოშობის საკითხის სრული გაშლით.

მეორე ასეთი ნივთია პატარა ბეჭედი 1941 წელს გახსნილი XIII სამარ-ხიდან, რომელიც ზუსტად ვერ თარიღდება. მარყუჟად შეკრული წერილი მათულის გაღუნვით შექმნილ ბაჭედზე ზემოდან დამაგრებულია ოქროს პატარა ბუდეში (სიმაღლე 2 მმ., დიამ. 1,5 სმ.) ჩასმული ლურჯი მინანქრის მედალიონი (დიამ. 0,8 სმ.). მისი ორნამენტული ნახატის შემქმნელი ოქროს წერილი ტიხარები არ აღწევს კოლოფის კიდეებს. ისინი, შესაძლოა, ფსკერზეა დარჩილული. მინანქარი კარგადაა შემონახული ირიზაციის გარეშე და კარგადაა გაპრიალებული.

მინანქრის მესამე ნივთია - სამაჯურების წყვილი (XLIII სამარხიდან, 1944 წ.), რომელთაგან თითოეული 10 კეადრატული ელემენტისაგან შედგება (2x1,5სმ.). მათი ნაწილი ალმანდინის გამოხერხილი ნახევარცილინდრების ინკრუსტაციით უკვე განვიხილეთ \$ 7-ში. ყოველ სამაჯურზე ალმანდინის თვლების მონაცვლე ხუთი რგოლი შედგება ორი ერთნაირი ოქროს მოგრძო სწორკუთხა ჩარჩოსაგან, მასში ჩამაგრებული ოთხი პატარა კოლოფით თხელი გაღუნული კედლებით, რომლებიც ერთმანეთთანაა მირჩილული მოკლე მხარეებით და საპირისპირო წერტილებითაა დამაგრებული ძირითად ჩარჩოებზე. ყოველი ჩარჩოს ორ-ორი ბუდე ლურჯი მინანქრითაა შევსებული, დანარჩენი ორი კი მოცისფრო-მწვანეთი (ბაცი) და ცისფრით. სამაჯურების მინანქრებისთვის დამახასიათებელია, რომ ტიხრები თავისი თავისუფალი ბოლოების მცირე ნაწილით შეჭრილია მინანქრის ერთიან მასაში. ოღონდაც ეს აქ თავისებური გადმონაშთია - ბეჭედთან და სატევრის მედალიონთან შედარებით. სამარხი კონსტანციუსის მონეტით IV საუკუნით თარიღდება. ვინაიდან მინანქარი მთლიანად არ ავსებს ჩარჩოს და რჩება ღიობები, აქაც, ოქროსთან, ლურჯთან და მომწვანო-ცისფერთან ერთად, კიდევ ერთ ფერადოვან ელემენტს წარმოადგენდა ხელის კანის ფერი.

12. არა მხოლოდ ასპავრუკ პიტიახშის, არამედ არმაზის ნეკროპოლის

საერთოდ ყველა სამარხში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბრინჯაოს ლილს ამოღარული მინანქრით (XI, 2). მისი დიამეტრი 3,6 სმ-ია. მისი შეფერილობა შედგება სამი ფერისაგან - მუქი ლურჯი, ცისფერი და აგურისფერი-ნითელი (კატალოგში: ღია ნითელი, მწვანე, ცისფერი, მორუხი). ასეთივე ფერების მინანქარი გვაქვს ბრინჯაოს ნივთებზე კლდეეთის გათხრებიდანაც.

მინანქრის ეს ლილი შედის მთელს ევროპაში ფართოდ გავრცელებული მინანქრების საერთო რიგში - გალიის, რეინისპირა ოლქის, ინგლისის, იტალიის, ავსტრიის, უნგრეთის, სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიისა.³⁸ მათ სხვადასხვაგვარად უწოდებენ: ხან გალიურ-კელტურს, ხან გალიურ-რომაულს, ხან ანგლო-საქსურს, ან რეინისპირულს და სხვ. ვგონებ, ნ. კონდაკოვი უსაფუძვლოდ როდი მიუთითებდა მათ არსებობაზე კავკასიაში (ყოზანი-კამუნტა)³⁹ და ფილოსტრატესთან მის ხსენებაზე (I, 28) ერთ-ერთი სურათის აღწერაში: „ოკეანესთან მცხოვრები ბარბაროსები“ ამზადებენ ასეთ მინანქრებს ბრინჯაოზე, რაც მიმანიშნებელია მათ სწორედ აზიურ და არა ბერძნულ-რომაულ წარმომავლობაზე; თუმცა ა. რიგლი უარყოფს ამას, თითქოს და რომში ამგვარი წარმოების ფაქტობრივ არსებობაზე დაყრდნობით.⁴⁰ მაგრამ ეს მხოლოდ მტკიცებაა. მართალია, ნ. კონდაკოვმა თავადვე გამოთქვა ვარაუდი - ხომ არ შეიძლება, რომ კამუნტის მინანქრიანი ბრინჯაო, ისევე, როგორც რეინისპირული, წარმოსდგებოდეს სირიიდან.⁴¹ მაგრამ ეს ხომ ერთი მის ჰიპოთეზათაგანია, რომელიც ასე ბუნებრივად ჩანს სამეცნიერო შესწავლის მაშინდელი მდგომარეობისა და პრობლემატიკის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, იგი გამოთქვამს მოსაზრებას დამოუკიდებელი სლავური პროდუქციის შესახებ. ამგვარი მინანქრების ქრონოლოგია, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ, განისაზღვრება ახ. წ. II საუკუნით და VIII-IX საუკუნეებით.⁴² ალ. რიგლი შენიშნავს, რომ ამ რომაული მინანქრის გამოყენება სუსტდება IV საუკუნიდან, V საუკუნეში კი შეგნებულად იგნორირებულია, თუმცა საეცებით არასდროს არ კვდება;⁴³ ბარბაროსულ ნაკეთობებს - კელტასურს და სხვ. აღმოსავლეთ ალპებიდან, რეინისპირა ქალაქებიდან (მაინცი, ტრირი, ბონი, ვისბადენი), ინგლისიდან (ლონდონი), აღმოსავლეთ გერმანიიდან (რეგენსბურგი) - ალ. რიგლი მიიჩნევს წარმოშობით östlich (ანუ ბიზანტიიდან?) gemeinsame Entstehung და განსაზღვრავს VIII საუკუნის მეორე ნახევრით, უფრო IX საუკუნით.⁴⁴ ამდენად, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ამგვარი ბრინჯაოს ნივთების წარმოშობის საკითხი ღიად რჩება; ალ. რიგლის მტკიცებულებებს ნიადაგი ეცლებათ ფეხქვეშ, რადგანაც ამ დებულების განსამტკიცებლად გამოყენებული სხვა მტკიცებულებანი თავისთავად იხსნება, საფუძველს მოკლებულია.

როგორც ჩანს, ახ. წ. II საუკუნის მეორე ოცნლეულისათვის ამგვარი ნივთები სიახლეს წარმოადგენდა - რაკი ოქროს დანარჩენი სამკაულის

გვერდით ასპავრუკი იყენებს ამგვარ - ერთადერთ - ღილს.⁴⁵

პირადი სამკაულის ამგვარი ნივთების გვერდით, არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლის სამარხებში, რომლებიც ქრონოლოგიურად განისაზღვრა არქეოლოგიური მონაცემებით, მათ შორის მათში არსებული რომაული ოქროს მონეტების მიხედვით, II-III საუკუნეებით, მეორე უკუფს შეადგენს საკუთრივ დაკრძალვის რიტუალის ინვენტარი. ესაა ძირითადად ვერცხლეული და მინისა და თიხის ცალკეული ჭურჭელი. ვერცხლითვეა მოჭედილი მუხის ხისაგან გამოწარხული დასაკრძალავი სარეცლის ფეხები, რომლებიც იმყოფებოდა ასპავრუკის (I), სერაფიტას (VI) - ორი კომპლექტი და ბერსუმას (III) სამარხებში, უფრო ადრე კი ცნობილი იყო ბორიდან, და ბოლოს, გრიფონის პროტომების ფორმის ფეხები აღმოჩნდა 1946 წლის სექტემბერში ბაგინეთის სარკოფაგში. ვერცხლეულის ძირითადი ნაწილია - ლანგრები, ფიალები და სურები, ე. ი. ჭურჭელი (სურების საერთო რაოდენობა - 14, 4 ტიპისა), რომელთა შემადგენლობაში მარტივად და ბუნებრივად შედის ორი მინის სურა (VI სამარხში) და ერთი თიხისა (IX სამარხი), რომელთაც იგივე დანიშნულება ჰქონდათ, რაც ვერცხლისას, და ორი ბალზამაროში (IX სამარხი). ვერცხლის ჭურჭელს შორის გამოიყოფა რამდენიმე აშკარად შემოტანილი ნივთი, როგორიცაა ლანგარი სასანიანის პორტრეტით (II სამარხიდან)⁴⁶ ან ფლავიოს დადესის მიერ პიტიახშ ბერსუმასთვის ნაჩუქარი ლანგარი, რომლის გარკვეული პარალელები ცნობილია დასავლეთ ევროპის აღმოჩენებიდან, რომლებიც ალექსანდრიულ ნაწარმად ან მის მინაბაძებადაა მიჩნეული. ბერსუმას ლანგარზე მბოძებლის გრაფირებული წარწერაა, რაც, შესაძლოა, ადასტურებს მისი ალექსანდრიული წარმომავლობის უტყუარობას.⁴⁷ კიდევ ერთი ამგვარადვე შემკული ლანგარია აღმოჩენილი საქართველოში, ურეკში და 1948 წელს შევიდა ქ. მახარაძის (ოზურგეთის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. რომაული მხატვრული პროდუქციის მწკრივში დგება ორი ლანგარი (VI სამარხიდან) ცენტრში სკულპტურული ბიუსტებით (მამაკაცისა და ქალის), რომელთა მსგავსი ცნობილია ბოსკორეალესა და ჰილდესპეიმში. მამაკაცის თავის დამუშავება, განსაკუთრებით კი მისი წვერი შეესაბამება სწორედ II-III საუკუნეების რომაულ სკულპტურულ პორტრეტს.⁴⁸ ამის გვერდით, ვერცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად ადგილობრივი პროდუქციაა, ანტიკურ ხელოვნებასთან მისი მსგავსებისა და სიახლოვის მიუხედავად. ამასთანავე, გამოსახულებების სიუჟეტებიც კი პირდაპირ მზამზარეულადაა აღებული. ასე მაგალითად, ლანგარს ასპავრუკის სამარხიდან, რომლის ცენტრალური მედალიონი შემკულია ანტინოეს გამოსახულებით, ლ. მაცულევიჩი მიიჩნევს არა ჩამოტანილად, არამედ ადგილობრივად დამზადებულად.⁴⁹ ზუსტად ასევე, ვერცხლის ფიალა VII სამარხიდან ან მეორე ტარიანი ჭურჭელი VI სამარხიდან, შემკული ვაზის რტოსა და მტევნების გრაფირებული სახეებით და სხვ. ან ფარშევანგების გამოსახულებები და ა. შ., ანტიკური დეკორის

ელემენტებისა და მისი შესრულების ხერხებთან აშკარა სიახლოვის მოხედვად, არ ინვევენ ეჭვს მათ ადგილობრივ წარმოშობაში.⁵⁰ რაც შეეხება ორ ფიალას, ასევე ბერსუმას სამარხიდან, ტალღისებური პარალელური ღარებით დამუშავებული კალთებითა და ცენტრში ცხენის გამოსახულებით და მესამე თასს სოფ. ბორიდან, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა ცნობილი (ინახება ერმიტაჟში), მათი „აღმოსავლური“, ანუ ადგილობრივი წარმოშობა უკვე დიდი ხანია, რაც დადგენილია ლიტერატურაში და განმტკიცებულია არმაზული წარწერით ერთ-ერთ მათგანზე.⁵¹ როგორც ჩანს, ვერცხლის ჭურჭელი ასპარეჟის, ბერსუმას და სხვათა სამარხებიდან დამზადებულია ადგილზე, საქართველოში, ძირითადად ანტიკური ნიმუშების ფორმების გამოყენებით.⁵²

ახალი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა საქართველო, როგორც დიდი და განვითარებული კულტურის, და კერძოდ, დიდი და განვითარებული მხატვრული კულტურის ქვეყანა, ისევე, როგორც ათასწლეულის წინარე ხანის საქართველო, ურთიერთობაში და კონტაქტში იმყოფებოდა სხვა მონინავე კულტურულ ქვეყნებთან. თუ ძვ. წ. II ათასწლეულში ეს პირველ რიგში იყო კლასიკური ახლო აღმოსავლეთის მონინავე ქვეყნები, აქ განსახილველ ეპოქაში მათ ადგილი დაუთმეს რომის სახელმწიფოს ხელოვნებას, სიუჟეტური გამოსახულებებისადმი მისი გაძლიერებული ინტერესით და ადამიანისა და ცხოველების სხეულების პლასტიკის გადმოცემის განვითარებული ტექნიკით, მათი რეალისტური დამუშავებით, აგრეთვე მცენარეული და სხვა საგნების რეალისტური ასახვით. ამგვარად, ბუნებრივია, რომ მაშინდელი საქართველოს მხატვრული ნაკეთობების გარკვეულ ნაწილზე, როგორც ეს აისახა ახლახან განხილულ მაგალითებში, ამ ჭურჭლის, ფიალებისა და ლანგრების ფორმებთან და განსაკუთრებით კიმპოზიციების სიუჟეტებთან მიმართებაში და მათი შესრულების ხასიათში, ასევე პორტრეტულ ხელოვნებაშიც მკაფიოდ შეინიშნება მათი თანადროული რომაული ხელოვნების შემუშავებული ხერხების ათვისება. ამასთანავე, ეს ხერხები გარკვეულწილად ეხმიანება საკუთარს, ადგილობრივ ხალხურს, ან ყოველ შემთხვევაში უახლოვდება მათ. მაგალითად, ვერცხლის თასზე სწორი სახელურით VI სამარხიდან, იმ ფორმისა, რომელიც გვიანფეოდალურ ქართულ კულტურაში „აზარფეშად“ იწოდებოდა, თასის კორპუსზე გრავირებულ გამოსახულებებში (ფარშევანგები, ფოთოლი და სხვ.), სახელურის ჭედურ დამუშავებასა და მის დამაგვირგვინებელ ვერძის თავში გამოყენებულია უცხოური მოტივები და ელემენტები, მაგრამ ყველაფერი ეს გაერთიანებულია და დამორჩილებულია ერთ საერთო დეკორატიულ მიდგომას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ უცხოურს არ შესწევდა ძალა მოეკლა, ჩამოეშორებინა, შეეცვალა საკუთარი ხალხური მიზანდასახულებანი, ორნამენტულ-დეკორატიული შემოქმედებისადმი მათი ინტერესით, არამედ გამოიყენებოდა იმდენად, რამდენადაც მიესადაგა მათ

მოთხოვნილებებს. ამგვარად, რომაული ხელოვნებიდან მოხდა გარკვეული გადარჩევა და არა მისი მიღება მთლიანად და მისით საკუთარს შეცვლა.⁵³

არმაზის ნივთების ეს მეორე ჯგუფი მკაფიოდ ნარმოაჩენს სოციალური უთანასწორობის ხაზგასმის მოთხოვნილებას, პიტიახშთა ოჯახის ნევრების გამოყოფას მოსახლეობის დანარჩენი მასისაგან და, შესაძლოა, პრივილიგირებული კლასებისგანაც, რადგან სამარხებში, რომლებიც ღარიბი სამარხებისაგან თავისი ინვენტარით გამოირჩევა, არსებობს მხოლოდ პირადი სამკაულის ნივთები, რომლებიც ეხმიანება პიტიახშთა სამარხების არმაზული ინვენტარის პირველი ჯგუფის ნივთებს. ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ სოციალურ დიფერენციაციას. სწორედ ამ თვალსაზრისითაა განსაკუთრებით საინტერესო არისტოკრატიული ფენების გემოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობის ამსახველი ამ ჯგუფის ნივთები, იმ მიმართულებისა, რომელიც გულისხმობდა რომის მსოფლიო იმპერიის უცხო გემოვნებათა მორგებასა და მათ ათვისებას. ამ შეგუებაში, როგორც იყო აღნიშნული, არ მოსპო რომაულისაგან განსხვავებული საკუთარი, ეროვნული სახე ხელოვნებაში, მისი დეკორატიული ფერადოვნება და ორნამენტულობა. მაგრამ ვინაიდან მაშინდელი საქართველოს საერთო კულტურული დონისათვის აუცილებელი იყო ხილულ სახეებში გარკვეული რელიგიური მითების აღბეჭდვა, მათში მოქმედი ადამიანური და ცხოველური პერსონაჟებით, ამიტომაც თავისთავად, ნახატის, მონახაზებისა და რელიეფის ან თუნდაც მრგვალი ქანდაკების პრაქტიკა არ იყო სრულიად უცნობი, უცხო იმ ეპოქის ქართული მხატვრული შემოქმედებისათვის, როგორც საუკუნეებისა და ათასწლეულების წინათ. მაგრამ, როგორც ამ უძველეს პერიოდებში, ასევე იმდროინდელ საქართველოში ამგვარი გამოსახულებების პრაქტიკამ ვერ კიდევ არ შიილო ფართო დემოკრატიული განვითარება, როგორც ეს იყო ანტიკურ საბარძნეთში, ამიტომაც მათ მხატვრულ განხორციელებაში ვერ გაედევნება თვალი შინაგან განვითარებას ფორმების რეალისტური ათვისების საფუძველზე და მათ მხატვრულ განხორციელებას უპირველესად ყოვლისა პლასტიკურს – სკულპტურასა და რელიეფში, შემდეგ კი ფერწერასა და ნახატში. ამის ნყალობით, კავშირებმა რომაულ ხელოვნებასთან, რომელიც განაგრძობდა ბერძნული და ელინისტური ხელოვნების ათვისებას და რომელიც ანვითარებდა რეალისტური გამოსახულებების ახალ დარგს – პორტრეტს, ბუნებრივად გამოიწვიეს მიმბაძველობა, როგორც სხვადასხვა ფიგურულ კომპოზიციებში, ასევე პორტრეტულ გამოსახულებებში. მაგრამ ერთნიც და მეორენიც იქცნენ არა სინამდვილის რეალისტური ასახვის თანმიმდევრული ძიებების ლოგიკურ შედეგად, არამედ მხოლოდ სხვა კულტურული წრეების ანალოგიური დავალებების მზანიშუმების მიმბაძველობით მორგებად. ამიტომაც მათ არა აქვთ ტყმშარიტად შემოქმედებითი რიგის მხატვრული ღირებულება და ისინი ძალზე განსხვავ-

დებიან თავისი ხელოსნურ-ტექნიკური ხასიათითაც. ისინი რიცხვობრივადაც უმნიშვნელონი არიან, ისევე, როგორც შემოტანილი (ან ნაჩუქარი) ხელოვნების ნაწარმოებები.

ამგვარად, ამ მხრივაც მტიციდება ძირითადი გამოთქმული დებულება, რომ არმაზის აღმოჩენებით წარმოდგენილი მთელი მხატვრული შემოქმედება გვირვენებს ხელოვნების განვითარების, ასე ვთქვათ, წინასკულპტურული სტადიის სურათს, ორნამენტული დეკორატიულობის კულტურას, ანუ მოიცავს სახმარი ნივთების ხალხური წარმოების მთელს დიაპაზონს, რომელიც დიფერენცირებულია მხოლოდ მასალის ღირებულების თვალსაზრისით, რომლიდანაც ეს ნივთებია დამზადებული და არა ფორმის, ორნამენტის, ტექნიკისა და შესრულების ხარისხით. როგორც ვხედავთ, ასპაერუკ პიტიახშის ძვირფას სატევარზეც კი გამოყენებული იყო უბრალო ფერადი (მწვანე) მინები, ანუ არც შემკვეთი, არც შემსრულებელი არ იყვნენ შოკირებულნი მასალის ასეთი მდარე ხარისხით, მისი ჩვეულებრივობით, როდესაც მხატვრულმა ჩანაფიქრმა მოითხოვა სწორედ ეს ფერადოვანი დეკორი, რომელიც არ იყო ძვირფას მასალაში. ამ დიდ, მთლიან ორნამენტულ მხატვრულ კულტურას, ანუ ერთიანს, გარკვეულს ეროვნულ თვალსაზრისით, ემორჩილებოდა და ესადაგებოდა მთლიანად - მართალია, მოცულობით უმნიშვნელო - ფიგურული, სიუჟეტური ხელოვნება. თუ არმაზის პიტიახშთა სამარხების ცალკეულ ვერცხლის ნივთებში ეს ხერხებისა და ფორმების შერჩევამი აისახება, ნაირგვარი ძვირფასი თვლების გამოყენება - შემოტანილი ან ადგილობრივი პროდუქციისა, მათ შორის წარწერიანი პორტრეტული intaglio-ების - ცოტა რამით თუ განსხვავდება გლუვი პატიოსანი თვლებით ამა თუ იმ ყელსაბამის, სამაჯურისა თუ ბეჭდის შემკულობაში მათი გამოყენებისაგან.

ამგვარი ჭრილა ქეები ასპაერუკ პიტიახშის სამარხში მისი ქამრის ზედნადები ნაწილებისა და ყელსაბამის შემადგენლობაში თითო-თითოა გამოყენებული და მათ, სავარაუდოდ, ცენტრალური ადგილი ეკავათ, მაგრამ ამ ნაწილების დამუშავება საეხებით ანალოგიურია დანარჩენებისა, ანუ მათ აქვთ დამატებითი შემკულობა წვრილი ფერადი თვლებით და ჭედური სამკაულით. დამახასიათებელია, რომ ქამრის ენაზეც, მისი ფირფიტის ცენტრში თვლებისა და სხვათა გარემოცვაში მცირე ზომის გემა დამაგრებული, ხმარებისაგან იგი გაბზარულია.⁵⁴

შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ჭრილა ქეები II სამარხიდან, რომელიც უკვე III საუკუნეს მიეკუთვნება. საბავშვო ყელსაბამის პანდანტივის აქატის გემა ძალის გამოსახლებით, ოქროს უჯრედებში ჩასმული ბრტყელი აღმანდინების გარემოცვაში, როგორც ზომით, მდებარეობით, ასევე აქატის ქვის ფერის ორი ტონალობის შეხამებით, წარმოგვიდგება, უეჭველად, ხაზგასმულად აქცენტირებულად, თავი რომ დავანებოთ თვით გემის წარმომავლობის საკითხს.

საქართველოში ჭრილა ქვების ოსტატობის საკმაოდ ფართო გავრცელებას ხაზს უსვამენ მცხეთა-არმაზისა და სხვა ადგილების გათხრებიდან მოპოვებული გემების მკვლევარები, ეს ეხება როგორც გემების აღმოჩენების რაოდენობას, ასევე სიუჟეტების მრავალგვარობასა და შესრულების ხარისხს.⁵⁵ პორტრეტულ ინტალიოებზე ბერძნულად შესრულებული ნარნერების მიუხედავად, ისინი, ეჭვს გარეშეა, საქართველოშია ნაკვეთი.⁵⁶ ასპავრუკის საბეჭდავზე მისი პორტრეტის გამოყენება ნარნერთა და ნოდებით იმაზე მეტყველებს, რომ ეს იყო მისი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, საბეჭდავი. ანუ აღნიშნული ფიგურული გამოსახულება, პორტრეტი გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა, ჰქონდა ზუსტად განსაზღვრული დანიშნულება. შესრულების მხატვრულ მხარეს მუორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იგი იმავდროულად ასახავდა კულტურის მაღალ დონეს, რომელიც მოითხოვდა მხატვრული წარმოების ამ დახვეწილი დარგის გამოყენებას, რომელიც, როგორც ცნობილია, მაღალ დონეზე იდგა ანტიკურ სამყაროში, სპარსეთის სახელმწიფოში; უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში იგი სწორედ მათი მიზაძვით განვითარდა. მაგრამ სავარაუდოა, რომ ნივთების ნაწილი შემოტანილი მასალაა, ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ამა თუ იმ სიუჟეტით, – ან კარგი ასლები. ამ საკითხს არ ვეხები, რადგანაც იგი საჭიროებს სპეციალურ კომპეტენციას.⁵⁷ სამაგიეროდ, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე იმ გემების შესრულების ხასიათზე, რომლებიც უდავოდ საქართველოში ადგილობრივი ოსტატების მიერაა შესრულებული.

განსაკუთრებით მკაფიო და საჩვენებელია ამ თვალსაზრისით ორივე პორტრეტული *intaglio* ასპავრუკის სამარხიდან – ზევახისა და კარპაკის ბიუსტები ბერძნული ნარნერებით (*ΖΕΥΑΞΗΣ – ΚΑΡΠΑΚ*) და ასპავრუკის საბეჭდავის პორტრეტისანი *intaglio* (*ΑΣΠΑΥΡΟΥΚΙΣ ΠΠΤΙΑΞΗΣ*). პლასტიკური ფორმების დამუშავებაში გამოირჩევა თითქოს ცალკეული ფორმების დაშლა შემადგენელ ნახევარლივებად – ასეა დამუშავებული ასპავრუკის თმა, წერი, თვალეები, შუბლის, ცხვირის, კისრის ნაწილები და თვით ტორსი და იგივეა კარპაკისა და ზევახის თავებისა და მათი სამოსლის დამუშავებასთან დაკავშირებით. ამავე ხერხითაა შესრულებული ნარნერები ორივე გემაზე. იგივე ხერხი ჩანს II სამარხში აღმოჩენილი სამაჯურის გემაზე, რომელზე მჯდომარე ათინა პალადაა გამოსახული ატრიბუტებით, ანუ აშკარად ნახესხებ უცხო სიუჟეტის მიზაძვისას გამოყენებულია საკუთარი დამუშავებული ხერხები, რომლებიც ცდომილებით გადმოსცემენ გამოსახულების პლასტიკურ მოცულობებს. ეს ხერხი ჩანს სხვა ნაწარმოებებზე (მაგალითად, ორ ფიგურულ გემაზე კლდეითიდან, შეად. აგრეთვე კამეო ქალის თავით VII სამარხის სამაჯურზე და სხვ.), მაგრამ განსაკუთრებული მკაფიოებით და მკვეთრად ეს ჩანს ალექსანდრე მაკედონელის მონეტების მიწაბაძებზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა.

ასეთი მინაბადები გვხვდება განსახილველი ხასიათისა და დროის სამარხებში, როგორც ამას ვხედავთ მათ გარკვეულ რაოდენობაზე ბორში,⁵⁸ კლდეების სამარხში, ან 1951 წლის ზაფხულში აღმოჩენილ მცხეთის I საუკუნის აკლდამაში.

ამგვარად, თუ ადამიანის თავისა და ფიგურის გამოსახვისათვის ეს პირობითი, თავისი არსით მიმბაძველობითი პროდუქცია იყენებს ერთიანი პლასტიკური ფორმის მრავალ შემადგენელ ლილვებად დაშლის თავისებურ მეთოდს, ცხოველების გადმოცემაში არ შეიძლება არ აღინიშნოს მნიშვნელოვნად უფრო პროგრესული, რეალისტური გადაწყვეტა. ამ ორივე მოვლენას აქვს პარალელები ხელოვნების განვითარებაში როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. კლასიკური ნაწარმოებების მიბაძვისას პლასტიკური ფორმის დაშლის მაგალითები პართიასა და სასანურ ირანში, ასევე ფრანკებთან, გუთებთან და სხვ. უკვე მოვიყვანეთ. ზუსტად ასევე, შემოქმედი მხატვრების ცხოველებზე დაკვირვება, რომელიც უზრუნველყოფდა მათი გადმოცემის გარკვეულ რეალისტურობასაც, ევოლუციური თვალსაზრისით წინ უსწრებს ხელოვნებაში ადამიანის ფიგურისა და სახის გადმოცემის ათვისებას, მათი მოძრაობების დიფერენცირებული მექანიზმით და რთული ფსიქიკური ნყობით (ტყუილად ხომ არ გამოირჩევა რომაულ ქანდაკებაში ცხოველები სიცოცხლით, ექსპრესიულობით და გადმოცემის დამაჯერებლობით).

არმაზის ნივთების შემადგენლობაში არის ოქროსგან გამოჭედილი მინიატურული ტახი, რომელიც საკიდად იყო გამოყენებული მალაქიტითა და ალმანდინით ინკრუსტირებულ მედალიონზე მშვენიერი სერაფიტას ყვლსაბამზე (VI სამარხი). პანანინა, ორი სანტიმეტრის სიგრძის ღრუ ფიგურა, რა თქმა უნდა, დამჯდარი, თავანული ცხოველის მხოლოდ ზოგად მოცულობას გადმოსცემს. სხეულზე მოკლე ნაკანრებით ჯაგარია აღნიშნული; თვალები ნითელი ჩანართითაა ხაზგასმული. ეს ფიგურა უთუოდ აპოტროპედ გამოიყენებოდა, რასაც აძლიერებდა ტახის დრუნჩსა და ფიგურის პოსტამენტზე რგოლებით მიმაგრებული იმ ტიპის ოქროს თხელი ბრტყელი დისკოები, როგორც იყო ასპაერუქის სამოსელზე. ტახის ფორმის ამ საკიდის პარალელს წარმოადგენს ასეთივე მინიატურული და ასეთივე ღრუ ოქროს სკულპტურული საკიდი ვერძის გამოსახულებით, ჩადგმული თვალებით (თეთრი, ოდნავ მომწვანო პასტა), რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ნაწილობრივ გაძარცულ ქვევრსამარხში ე. წ. „დედოფლის გორის“ მახლობლად, სოფ. არადეთთან, ქართლში.⁵⁹

ალბათ ასევე ადგილობრივადაა დამზადებული პატარა ბრინჯაოს ფიგურები, აღმოჩენილი კლდეების სამარხში და ალ. კალანდაძის შემთხვევითი აღმოჩენები მცხეთაში 1948 წ. (ავაზა 15-20 სმ. სიგრძის.). ისინიც გადმოსცემენ ცხოველს (ან მის თავს) მხოლოდ ძალზე ზოგადი მოცულობით და დამახასიათებელი მოძრაობით. ნამდვილად პლასტიკურ დამუშავებაზე ლაპა-

რაიცი არ შეიძლება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სხვაგვარი ხასიათი გამოარჩევს ბრინჯაოსვე მცირე ზომის მუსიკოსის ნახევარფიგურას, რომელიც აღმოჩნდა 1951 წლის ზაფხულში გახსნილ მცხეთის აკლდამაში. იგი მკაფიოა და დამუშავებული, როგორც შეფერება მცირე ზომის ბრინჯაოს რიგით რომაულ ნამუშევარს. ზუსტად ასევე, სპილოს ძელისაგან გამოკვეთილი მოციქევავე ქალის ფიგურა, აღმოჩენილი ბაგინეთში ე.წ. „სვეტიბიანი დარბაზის“ გათხრის დროს, წარმოადგენს შემოტანილ პართულ პროდუქციას.⁶⁰

აქ აუცილებელი იყო ამ ფაქტების გახსენება, რათა მკაფიოდ გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, საუკუნიდან საუკუნეში თანდათანობით განვითარებადი, და რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში რთული გზა გამოვლილი ქართველი ხალხის ეროვნული ხელოვნება, მაღალი ოსტატობით და მხატვრული სრულყოფით აღბეჭდილი თავისი მიღწევებით, მეორე მხრივ კი – რელიგიური კულტებისა და მითების საჭიროებით გამოწვეული გამოშახველობითი რიგის პირობითი სახევითი პროდუქცია, ფართო რეალისტური დამუშავებისა და დეკორატიულ საფუძველზე განვითარების გარეშე. ამ ფაქტებს უნდა შევხებოდით, რათა მეორე ყგუფში, ე.ი. სიუჟეტურ-გამომსახველობითში, გამოვყოთ საკუთრივ ქართული ადგილობრივი ნაწარმი, რომელიც უთუოდ იქმნებოდა იმპორტირებული უცხოური ხელოვნების ნაწარმოებების აღნიშნული თავისებურებებისა და ხერხების გათვალისწინებითა და შესაბამის ქართულ ნაწარმოებებზე მათი ზეგავლენით.

ამგვარად, ვერცხლის ნაკეთობათა, გემებისა და სხვათა განხილვის შემდეგ, რომლებზეც უცხოური ნიმუშების ათვისებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი ნიმუშებია ასახული, კიდევ ერთხელ სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთება ახ. წ. II-III საუკუნეების საქართველოს მხატვრული კულტურის ერთიანობა და მთლიანობა. მთელს საქართველოში მის ფართო განვითარებას უკვე დღეს გვიჩვენებს ის აღმოჩენები – უმეტესად შემთხვევითი ხასიათისა, რომლებიც ასე თუ ისე დაფიქსირებულია. არმაზის გარდა აქ შედის კლდეეთისა და ურეკის სამარხების მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, სამთავროს ველისა და ბაგინეთის ცალკეული სამარხები, ასევე IV საუკუნის სამარხები არმაზში, აგრეთვე უფრო ადრე სხვადასხვა და არც თუ საიმედოდ (სამეცნიერო თვალსაზრისით) გაკეთებული აღმოჩენები ბორში, სამთავროში, აგრეთვე ცალკეული აღმოჩენები, ისეთები, როგორიცაა უსახელოში (ლენხუმი) მოპოვებული ბალთა აღმანდინით, ნერონის ეპოქის გემით ცენტრში, რომელიც სხვა შეძენილ მასალებთან (არ არის აღნიშნული გამოცემლის მიერ) ერთად მოხვდა ერმიტაჟში,⁶¹ 1948 წლის აღმოჩენები ანდრიანწმინდაში, ახალციხის რაიონში, 1948 წლის გაზაფხულზე ახმეტის რაიონში, ძველ ალბანეთში (პროფ. ე. პახომოვის ცნობა), შესაძლოა, ძველ ანაგაში სიღნაღის რაიონში (საქ. ისტ. და ეთნ. საზოგადოების კოლექციიდან 20-იანი წლების დასაწყისში), არადეთში ხაშურის რაიონში, რომელთაც

აგრეთვე უნდა დავუმატოთ სარგვეშის განძი, სასანური თასით ვარაპრან II და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტებით, ცხინვალისა (საქართველოს მუზეუმი) და სხვა ნივთები (ოქრო, ბრინჯაო) კამულტადან, ჩმიდან, ზედა რუთხიდან, მთებსა და კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ხეობებში.

ამგვარად, ამ სამარხთა შემადგენლობაში და აღმოჩენებში ქართველი ხალხით დასახლებული ტერიტორიის ყველა ნაწილში, არმაზის პიტიახშთა ოჯახის წევრთა მსგავსად, დიდი რაოდენობით შედის მუდმივი მოხმარების პირადი სამკაულის ნივთები, ანუ ისინი, რომლებიც ასახავენ ადამიანის მხატვრულ მოთხოვნილებათა ინტიმურ გრძნობას. ამ ნივთებში განმსაზღვრელია, როგორც ითქვას, დეკორატიულ-ორნამენტული გადაწყვეტა, რომელიც გამოსახვის ფორმების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ გვერდით მუდმივად ადგილი აქვს მცირერიცხოვან ნივთებს ფიგურული და სიუჟეტური გამოსახულებებით, რომლებიც ნაწილობრივ გამოიყენებოდა პირადი სამკაულის ორნამენტულ კომპოზიციებში, ანუ იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც მკაფიოდაა გამოვლენილი ხელოვნების ავტონომიური განვითარება, ასევე იმ დამატებით მიმდინარეობის ნაწარმოებებში, რომლებმაც ჯერ კიდევ არ მიაღწია თავისი განსაკუთრებული მხატვრული მეტყველების დასრულებულობასა და გამომსახველობას, და რომელიც ამ არასრულყოფილებისა და ამ მხატვრული მიმდინარეობისადმი არსებული მოთხოვნილების გამო, ქვეყნის მაღალი სულიერი კულტურის შესაბამისად, გარდუვალად აღმოჩნდა ბერძნული და ელინისტური მაღალი სკულპტურულ-პლასტიკური მიღწევების გამგრძელებელი რომაული კულტურის გაველენის ქვეშ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა დიდი და ერთიანი მხატვრული კულტურა, განვითარების თანმიმდევრულობითა და კანონზომიერებით, და არა ცალკეული მიმბაძველობისა ან შემთხვევითი ნასესხობის პროდუქტი. ეს მხატვრული კულტურა, როგორც ერთიანი მოვლენა, თუმცა შენარჩუნებულია მმართველი კლასის ნივთებში, ნამდვილად გამოირჩევა თავისი ხალხურობითა, და – როგორც ერთხელ აღნიშნა განსვენებულმა აკად. ს. ჯანაშიამ, დემოკრატიულობით.

შენიშვნები

ერმიტაჟი, დარბაზი 223, კარადა 3, NN 16, 22, 23, 24, 25: Каталог Международной Выставки Памятников Иранского Искусства и Археологии, I, Ленинград, 1935, стр. 149-152 (ср. Путеводитель по залам отделения Востока Государственного Эрмитажа, Ленинград, 1939, стр 85-87); статья Е. Придика: МАР, 34, табл. IV, 5, 6, 2, 3 и V внизу.

ნერილი ადგილობრივ ქართულ გაზეთში „ლენინელი“ (1941 წ. 5 XII); ახლა გ. ლომთათიძის დიდი პუბლიკაცია „კლდეეთის სამაროვანიახალი ნალთარციხვის II საუკუნისა“, თბილისი, 1957.

ა. აფაქიძე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 89-111 და გვ. 111-126 — რუსული რეზიუმე; ნ. ხოშტარია, ურეკის არქეოლოგიური გამოკვლევა: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბილისი, 1955.

Е. Придик, დასახ. ნაშრ.; Каталог Международной Выставки Памятников Иранского Искусства и Археологии, I, Ленинград, 1935, стр. 149-152 (Эрмитаж, зал 223). Путеводитель по залам отделения Востока Государственного Эрмитажа, Ленинград, 1939, стр 85-87. ბორის გათხრების ნივთები გამოფენაზე ზოგადად დათარიღებულია „ახ. წ. I-III საუკუნეები“. ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B, 1944, გვ. 441-448. ერმაკოვის ძველი ფოტოების მიხედვით.

Н. П. Кондаков, Византийские Эмали, С-Петербург, 1892. Н. П. Кондаков – И. И. Толстой, Русские Древности в памятниках искусства, вып. III, СПб, 1890. П. С. Уварова, МАК, VIII, Москва, 1904.

შენიშვნა ორიგინალში: Сверить – ОАК, 1903, стр.46, рис.70.

იხ. ჩემი ნერილი: `Ein Goldschmiedetriptychon des VIII-IX. Jahrhunderts aus Martvili`: `Zeitschrift für bildende Kunst`, 1930, Bd. 64, Heft 5/6, Leipzig, S. 81-87; ახლა კი: Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959.

ავტორის შენიშვნა ტექსტში: „Может быть развить эту мысль?“

მცხეთა I, ტაბ. I, 9.

Е. Придик, ук. соч. МАР, 34, стр. 109-110, табл. I, 1,2.

გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.

სარტყელის ოქროს ბალთა ურეკიდან (გაზ. „კომუნისტი“, 02.II.1949, N 23).

კოლოფის ძირი გარედან ნარმოადგენს ოქროს გლუვ ზედაპირს, ქვემოთ კაუჭებით, რომლებიც ერთმანეთთან დაწნული შავთულითაა მტკიცედ დაკავშირებული; ზემოდან კოლოფს ჩამკეტი კაუჭი აქვს.

14. ქერჩი: Древности Босфора Киммерийского, 1854, Атлас, табл. XXIV, 25 ჩამოსაკიდებელი სანელსაცხებლე, ზემოდან დამაგრებული 84 სირიული ალმანდინით (წონა 18 გრ.); იგივე M. Rostovtzev, *Iranians and Grecs in South Russia*, 1922, fig. 19,3, p. 177.
15. Н. П. Кондаков-ИИ Толстой, *Русские Древности*, вып. III, СПб. 1890, рис. 139; МАК, VIII, Москва, 1900, табл. СХХIV, I, в красках
16. Н. П. Кондаков, *Русские Клады. Исследование великокняжеского периода*, I, СПб, 1896, стр. 194-195, рис. 105..
- 17 A. Riegl, *ibid.* S. 344
18. სილიად-შომლიოს ფიბულის მოჩარჩოების სარდონიქსისა და ფიბულის ზემოთ და ქვემოთ დამაგრებულ ბუდეებში ჩასმული ალმანდინების კონტრასტზე ალ. რიგლი შეეცადა ეჩვენებინა შუა რომაული სტილიდან გვიანრომაულ სტილზე გადასვლა (A. Riegl, *ibid.* S. 344-345); სარდონიქსის მოჩარჩოება შესრულებულია იმავე პრინციპით, რაც არმაზის VII სამარხის ყელსაბამის კოლოფის კედლები, ანუ ყველაფერი, რაც გამოავლინა ალ. რიგლმა, არმაზის ნივთებზე არსებობს უკვე ახ. წ. II საუკუნეში.
19. ამ ყელსაბამების ზუსტ პარალელს წარმოადგენს ყელსაბამი 630 სამარხიდან, რომელიც 1896 წელს გახსნა კ. კოსციუშკო-ვალიუჟინიჩმა (OAK, 1896, стр. 178-180. *Альбом, 1882-1898*, NN 519, 520). სამწუხაროდ, არ არის გამოთქმული არავითარი მოსაზრება ქალის ამ (ხელუხლებელი) სამარხის თარიღის შესახებ.
20. სერაფიტას ორი წყვილი საყურე (ტაბ. LXVI, 24, 25) წარმოადგენს კონსტრუქციას, რომელმაც თავისი პრინციპით ათასწლეულებს გაუძლო და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოიყენებოდა საყურეებში: ეს არის ორი მეტნაკლებად ბრტყელი რგოლი, რომელთაგან ზედა მყარადაა დამაგრებული კაუჭთან, რომელიც გაყრილია ბიბილოში, ქვედა კი თავისუფალია, სახსრით დაკავშირებულია ზედასთან და შემკულია წვრილი, სულ მცირე მოძრაობისას მთრთოლავი საკიდებით.
21. ამ წვილის ერთი საყურე, როგორც ჩანს, გატეხილი და შეკეთებულია, რაც ჩანს არა მხოლოდ ზურგიდან, არამედ პირით მხრიდან.
22. საკიდი დამაგრებულია პატარა კილოთი, რომელიც დარჩილულია ზურგიდან გამოწეულ კიდეზე. ქვედა ნაწილის წვერზე.
23. ამ დაკერვების განსამტკიცებლად არ შემოიძლია არ მიეუთითო მთლიანად ოქროსგან დამზადებულ საყურეებზე (ან სასაფეთქლებზე) კლდეეთიდან. ამასთანავე, რგოლს აქვს ზემოდან დარჩილული ბურთულები ცვარას პირამიდებით, თითქმის იმავე ზომისა, რაც არმაზის განხილულ საყურეებზე, რგოლზე კი ჩამოკიდებულია ორი ერთმანეთში ჩამჯდარი პირამიდა, შედეგნილი ოთხი დიდი, ალბათ, ღრუ, ერთმანეთთან ნახევარსფეროებით მიჩრილული ბურთულით და მათზე მიჩრილული ცვარას პირამიდებით (გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. XVI, 1).

24. არმაზის სამარხების სხვა ანალოგიურ ნივთებთან შეჯერების შედეგად აუცილებლად დავასკენი, რომ „შიშველი“, სპირალურ მილაკში ჩაურთველი ამ საკიდების ნაწილები თავდაპირველად მარგალიტებით იყო შემოსილი, რომელთა დიამეტრიც გამიშვლებული მავთულის სისქის ტოლი იყო. საყურეების მეორე წყვილზე, ამგვარად, თითო მარგალიტი იყო ყოველი საყურის ორივე საკიდზე; პირველ წყვილზე კი ყოველ საყურეზე სამ-სამი მარგალიტი. ისინი გაქრნენ დროთა ზემოქმედებით, როგორც სხვათა უმეტესობა, მხოლოდ ზოგან შერჩა მათი ნაწილი. საყურეთა ეს მეორე წყვილი კარგადაა შენახული და მათი განხილვა ნათელს ფენს შესრულების სისტემას და ნაწილთა მოძრაობისა და დაკავშირების სისტემას.
25. VI და LXV ტაბულებზე ყელსაბამის ეს ნაწილი უსწოროდაა წარმოდგენილი: მისი ზედა ნაწილის მარყუჟი უთუოდ ემსახურებოდა მასზე საკიდის დამაგრებას, რადგან ყელსაბამზე მისი დამაგრება ხდებოდა ზურგის მხარეზე დარჩილული ორი პორიზონტალური მილაკით.
26. Русские Древности, III, рис. 152-165, стр. 132-140.
27. A. Riegl, *ibid.* Taf. I, 4; III, X.
28. შენიშვნა ტექსტში: «соотношение красных, зеленых, золотых»
29. A. Riegl, *ibid.* Taf. III.
30. როგორც აღნიშნავს მ. როზენბერგი (Zellensvhemelz, III, 2-4), ასევე Adama van Schellema (დასახ. ნაშრ.).
31. შენიშვნა ტექსტში: „не приплюснута ли?“
32. ერთ-ერთ ბალთაზე ზურგის მხრიდან მიჩილულია დიდი კაუჭი, მეორეზე კი შესაბამისად ასეთივე ყური, ყოველი ბალთის სამ განშტოებაზე კიდევ სამ-სამი (ან ორი) პატარა მარყუჟი ქსოვილზე დასაკერებლად.
33. M. Rosenberg, *Geschichte, Abteiluhg: Granulation*, 1918, S. 81-82: *Abflachung der Korner als technischer Trick: alexandrinisch.*
34. შდრ. საყურეები 1902 წლის გათხრებიდან ხერსონესში: OAK, 1902, გვ. 43, ნახ. 72. შენიშვნა ტექსტში: „багинეთи – ორი ყელსაბამი.“
35. E. Придик, *ук. соч. ტაბ. II, 2.*
36. ვერძის ფორმის ანალოგიური ოქროს საკიდი, ასევე პასტის (ციხფერი) თვალებით, დაახლოებით არმაზის თანადროული არადეთის ნახევრადგაძარცული ქვეერსამარხიდან (ვგონებ, „დედოფლის გორის“ ძირას) საჩუქრად მიართვის ჩვენს უნივერსიტეტს 20-იანი წლების შუა ხანებში, იგი მაშინვე შევიდა უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.
37. გამოცემაში „მცხეთა“ I (1958, გვ. 57) მოყვანილია სხვა მაგალითებიც სამთავროს სამარხებიდან და თრიალეთიდან – ყველა თაილდება „უფრო ახ. წ. II-III საუკუნეებით“.

38. Н. П. Кондаков, *Византийские Эмали, С-Петербург, 1892, стр. 25-26 по 47; Fr. Matz, in H. Bossert, Geschichte des Kunstgewerbes, IV, Berlin, 1930, S.320; F. Déchelette, Manuel d'archéologie préhistorique, celtique et gallo-romain, Paris, 1908-1914; A. Riegl, ibid. Bd. II, Wien, 1923; J. Baum in Handbuch der Wissenschaft; Н. П. Кондаков, Очерки и заметки по истории средневекового искусства и культуры, Прага, 1929.*
39. Н. П. Кондаков, *ук. соч. стр. 25-26 сл.*
40. A. Riegl, *ibid. S.375*
41. Н. П. Кондаков, *ук. соч. стр. 47.*
42. Fr. Matz, *ibid.: 'kommen gegen Ende der Regierungszeit Hadrians (117-138) in gebrauch-, S. 320; A. Riegl, ibid. S. 351-354; Русские Древности, Ш, СПб, 1890, стр. 147- 148. рис. 175.*
43. A. Riegl, *ibid. S. 376.*
44. იქვე, გვ. 68-78.
45. შენიშვნა ტექსტში: "Пряжка из Клдети – орнаментальная выемчатость, б.м. развить"
46. სპარსული წარწერა ამ ლანგარზე განისაზღვრება არდამირ I-ის ეპოქით, ანუ ახ. წ. III საუკუნის 20-იანი წლებით, როგორც აღნიშნა პროფ. გ. წერეთელმა თავის მოხსენებაში საქ. მეცნ. აკადემიის 28 სესიაზე 1948 წლის 11 დეკემბერს.
47. შეად. W. Holmquist, *Kunstprobleme der Merowingerzeit, Stockholm, 1939, Taf. LVII, მასზე აღბეჭდილია ლანგარი ჰასლბენიდან, რომელსაც ეხება (გვ. 237-239) მისდამი მიძღვნილი რ. ცანის გამოკვლევის ძირითადი დებულებები (R. Zahn, Die Silberteller von Hassleben und Augst, Berlin-Leipzig, 1933). ეს გამოკვლევა, ჩემთვის სამწუხაროდ მიუწვდომელია. ამ ნაშრომში ეს ლანგარი ჩართულია გალიის ვერცხლის აღმოჩენების დიდ ჯგუფში და განისაზღვრება, როგორც ალექსანდრიული ნიმუშების მინაბაძი ან განმეორება. დამზადების დრო ივარაუდება II საუკუნის შუა წლებიდან IV საუკუნის შუა ხანამდე. ბერსუმას ლანგარის წარწერების შესახებ იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1941, N 1-2; პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, ენიქის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941, გვ.411; Г В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета – древней столице Грузии: ВДИ, 1948, N 2, стр. 50.*
48. წერის შესახებ რომში იხ.: A. Riegle, *ibid. 2, 1927, S. 132, 135, 143, 172 და ნახ. 32.*
49. მან ეს აზრი გამოთქვა თავის მოხსენებაში 1948 წლის 29 მაისს ერევანში საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ განყოფილებათა გაერთიანებულ სესიაზე (ამგვარივე მედალიონი – იხ. ს. მაკალათა: 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 28, ი. 49).

50. შეად. W. Holmquist-თან გამოქვეყნებული ვერცხლის ლანგარი აუგსტიდან გერმანიაში, რომელიც საეარაუდოდ IV საუკუნით თარიღდება (Kunstprobleme der Merowingerzeit, Stockholm, 1939, Taf. LVI, S. 237-238).
51. იხ. Я. И. Смирнов, Восточное Серебро, СПб., 1909, N 305, табл. СХХ!, 12; Е Придик, МАР, 34, стр. 10-12; Ш. Я. Амиранашвили, История грузинского искусства, 1, Москва, 1950.
52. შეად. აგრეთვე ვერცხლის სურები ნიჩბისიდან, ცხინვალიდან, ბაგინეთიდან.
53. აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევეხები საკითხს, რომლის სხვადასხვა ასპექტი განხილულია მრავალ ნაშრომში - რამდენად შეითვისა ამ დროისათვის თავად რომაულმა ხელოვნებამ აღმოსავლეთიდან მომდინარე ორნამენტულ-დეკორატიული რიგის მიდგომები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გამოკვეთა, თუ რამდენადაა გამოყენებული საკუთრივ ანტიკური რიგის ელემენტები.
54. კლდეეთში მოპოვებულია საკინძი უნარნერო პორტრეტული გემით, რომელიც გამოყენებულია ისევე, როგორც სადა ფერადი ქეები სხვა დაკერებულ სამკაულზე. მათ მსგავსად, მასაც აჩარჩოებს წითელი ალმანდინის თელები.
55. М.И. Максимова, Геммы из некрополя Мцхета-Самтавро: საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950.
56. ზეეახისა და კარაპაის პორტრეტებიან გემაზე მოთავსებულია კიდევ ერთი ნარნერა, რომელიც არ არის გამიზნული ანაბეჭდში ნასაკითხად, ანუ მოგვიანო მინაწერი (ბერძნ.: „სიცოცხლე ჩემი“), რაც უდავოდ მონაშობს ბერძნული ენის ცონდას, როგორც შემკვეთის, ასევე ოსტატის მხრიდან (გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. I, 3)
57. გემა უსახელოდან ან გემა ახალგორის განძის ბექედზე N32 (?) შემოტანილება.
58. МАР, 34, таб. III, 12, 14.
59. ეს ნიეთები შემოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კაბინეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში დაახლოვებით 1926-27 წწ., ამჟამად ინახება ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.
60. A. U. Pope, A Survey of Persian Art, London, New York, 1938.
61. Е. Придик, МАР, 34, стр. 109-110 и таб. I, 1-2.

არმაზის ნივთების მხატვრული ხასიათის განხილვამ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მათი თანადროული პარალელური მასალის მოზიდვით, შავი ზღვის სანაპიროდან და კავკასიონის ჩრდილოეთის ხეობებიდან მოყოლებული, გვიჩვენა ამ მხატვრული კულტურის მთლიანობა და ერთიანობა; ამასთანავე, შესაძლებელი გახდა განვითარების გარკვეული ხაზის დასახვა იმ საუკუნენახევრისა თუ ორი საუკუნის განმავლობაში, რომელსაც მიეკუთვნება არმაზის პიტიახშთა სამაროვნის ინვენტარი. IV საუკუნის ზოგიერთი სამარხი (შესაძლოა, V საუკუნისაც) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ არა მხოლოდ მხატვრული კულტურის ამავე საერთო ნიშნების სიცოცხლისუნარიანობა, არამედ ისიც, რომ ისინი გარკვეულწილად განაგრძობდნენ განვითარებას, მიდიოდნენ უფრო შორს და იძლეოდნენ უფრო დახვეწილ ტექნიკას, რაც გამოვლინდა, მაგალითად, არმაზისხევის 43 და 40 სამარხებში (გახსნილია 1943 და 1944 წლებში) აღმოჩენილ სამაჯურებში, ბეჭდების ან საყურეთა რთულ ფორმებში (ტაბ. XIII, 1, 2; XII, 2; XIII, 6, 7) და სხვ.

ოქროს ნივთების ანალოგიური, ხან კი, შეიძლება ითქვას, იგივე ფორმები აღმანდინის ან მწვანე და ცისფერი მასალის ინკრუსტაციით ან მათი აპლიკაციით, აგრეთვე ჭვირულობის, გავარსისა და ფილიგრანის, ასევე ტიხრული და ამოღრმავებული მინანქრის გამოყენება მეცნიერებისათვის უკვე საუკუნის განმავლობაშია ცნობილი ყუბანისპირა და სამხრეთ რუსეთის სამარხებიდან, რომლებიც სარმატულებად და გუთურებად იყო მიჩნეული. იგივე შეიძლება ითქვას გუთების, პუნების და სხვა უკვე გამქრალი ხალხების, ოსტგოთებისა და ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის გერმანული ტომების მოძრაობის მთელი გზის გაყოლებაზე გაკეთებული აღმოჩენებიდან მოპოვებული ნივთების შესახებ. IV-VIII საუკუნეების მთელმა ასეთმა პროდუქციამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში მიიღო სახელწოდება *verroterie cloisonnée* ან *orfèvrerie cloisonnée*, ხოლო უფრო გვიანდელ გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნებოდა ტერმინებით: *Zellenverglasung*, *Einlage von Granaten in Gold* და სხვ.

ბუნებრივია, ნაკეთობათა ასეთი თავისებური, მდიდარი მასალის გამოვლენამ, რომელიც, ამასთანავე, თანდათან აღმოჩნდა – მას მერე, რაც სამეცნიერო საზოგადოებამ მიაპყრო მას ყურადღება ასი წლის წინათ – ზემოაღნიშნულ ვრცელ ტერიტორიაზე, კავკასიიდან ევროპის დასავლეთ საზღვრამდე, წარმოშვა მისწრაფება დადგენილიყო მთელი ამ მხატვრული მიმდინარეობის საწყისები და გარკვეულიყო მისი წამომწყები ხალხის ვინაობა. ყველა ცდა ამ მიმართულებით კულმინირებულია ა. რიგლის ზემომოყვანილ ნაშრომში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ისტორიის მეცნიერებისათვის. ნაშრომს ნახევარი საუკუნის

ისტორია აქვს, ახალი გამოცემიდან – ოცდაათლიანი. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია, რადგანაც არქეოლოგიური მასალის მთელი ძირითადი და არსებითი ბლოკი იმ დროისათვის, გათხრებისა და აღმოჩენების წყალობით, უკვე გამოვლენილი იყო. ის, რაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში კიდევ დამატებით ჩაერთო სამეცნიერო პრაქტიკაში, მხოლოდ ავსებს ძველი აღმოჩენებიდან ცნობილ ფაქტობრივ მასალას, რომელიც ხანდახან მნიშვნელოვნად უფრო ძველია, ვიდრე de Linas, J. Labarte და შემდგომი მკვლევრების ნაშრომების პირველი განმარტავადებული მასალები. ადრევე ცნობილი ან ამგვარი უახლესი „განძებისადმი“ მიძღვნილი უკანასკნელი ათწლეულების ცალკეული სპეციალური გამოკვლევები ისტორიული კავშირების დადგენის ჩარჩოებში რჩებოდა.

მ. როსტოვეცი, არქეოლოგიური კვლევების ჩვეული ხერხების შესაბამისად, ნამოჭრის დებულებას უძველესი დროიდან აღმოსავლეთის ხელოვნებაში პოლიქრომიული მიზანსწრაფვის უნივერსალობის შესახებ, ბერძნულ-რომაული სამყაროს ორიენტალიზაციის შედეგად მისი შეღწევის შესახებ გვიანელინისტურ ხანაში რომის იმპერიაში, რომლის ფსიქოლოგის შეცვლა დაახასიათა ა. რიგლმა. მ. როსტოვეცი არ ამტკიცებს „თითქოს საიუველირო საქმეში პოლიქრომიული სტილი წარმოიქმნა და განვითარდა სამხრეთ რუსეთში და იქიდან გავრცელდა რომის იმპერიის მთელს სივრცეში“. „მაგრამ მე ვამტკიცებ, – წერს იგი, – რომ რუსეთის სამხრეთი იყო პოლიქრომიის ერთ-ერთი ცენტრი, რომელშიც პოლიქრომია განვითარდა ადრევე და ამასთანავე, საიუველირო საქმის სხვა ანტიკური ცენტრებისაგან დამოუკიდებლად“. „სარმატებს შორის, რომლებიც კონტაქტში იყვნენ სამხრეთ რუსეთის ბერძნებთან, სტილი ისეთი უბადლო ძალითა და ორიგინალობით ყვაოდა, როგორც ელინისტური სამყაროს არცერთ სხვა ნაწილში“. „გარკვეული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოდ, რომ ამ პოლიქრომიული საიუველირო ნივთების მეტი ნაწილი დამზადებულია საექსპორტოდ, ბოსფორის სამეფოს სხვადასხვა ქალაქების სახელოსნოებში“. პოლიქრომიამ „საგანგებო ფორმები მიიღო... ახალი სტილი, რომელსაც ჩვეულებრივ გუთურს უწოდებენ“. ამ აზრის განვითარებისას იგი არსებითად ცვლის მას, როდესაც ამბობს, რომ ქერჩის ზოგიერთი აღმოჩენა ა. რიგლის თეორიის „მოდიფიკაციას უდებს სათავეს“: „Ernst von Stern, M. Ebert, S. Reinecke და Kosima ფიქრობენ, რომ ახალი შეგრძნება ნაწილობრივ ძლიერი იყო პანტიკაპეაში; ისინი ამტკიცებენ, რომ გუთები მას შეეჯახნენ პანტიკაპეაში, ათვისეს იგი და შექმნეს შუა საუკუნეების პოლიქრომიული სტილი, რომელიც მათ გადაიტანეს ცენტრალურ ევროპაში, განავითარეს და სრულპყვეს იგი“. ⁴

„როგორც ცნობილია, მთელი III საუკუნის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ გუთების გამოჩენას, გვაქვს ამგვარი აღმოჩენების

უნყვეტი სერია". „მათში ნივთების შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ III საუკუნის დასასრულისა და IV საუკუნის დასაწყისის ბოსფორის კულტურა წმინდა სარმატული ხასიათისა იყო“. და ბოლოს, ჩნდება ახალი ტალღა, ახალი იარაღებითა და ფიბულების ახალი ფორმებით: „ეს იყო უთუოდ გერმანული, გუთური ტალღა“. „გუთებმა აითვისეს ყველა ის პროცესი (ტექნიკის), რომლებიც გამოიყენებოდა ბოსფორში მათ მოსვლამდე“. „მათი მიდრეკილება აღმანდინისადმი სრულებითაც არ არის ახალი“. გუთურ-სარმატული კულტურა გადადის დუნაიზე, რომის დასავლეთ პროვინციებში, იტალიაში; მისი პროდუქცია იყო რეინზე, მეროვინგულ საფრანგეთში, ინგლისის კენტის პროვინციაში, ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. მაგრამ ხელოვნების მატარებლები იყვნენ არა მხოლოდ გუთები ან ჰუნები, არამედ ელინიზებული სარმატები ან სარმატიზებული ბერძნები, გუთების ექსპედიციების აქტიური მონაწილეები.⁵ „მაგრამ როდესაც გუთები სარმატებთან და მათს ამაღლაში მყოფ ბერძენ-სარმატებთან ერთად შეიჭრნენ ცენტრალურ ევროპაში და იქიდან გაერცვლდნენ სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, მათ თან წაიღეს სარმატული ხელოვნება, რომელიც ემსახურებოდა მათი იარაღის, მათი ფიბულების, მათი სამოსელის, მათი ლარნაკების შემკობას“. „რა თქმა უნდა, ევროპისა და აფრიკის ყოველ ახალ სახელმწიფოში სტილი საკმაოდ მოდიფიცირებული (?) და ადგილობრივ ხელოვნებასთან გაერთიანებული იყო: ამგვარად შეიქმნა პოლიქრომიული სტილის ნაირსახეობები - ლომბარდიული, ვანდალური, ესპანური, ფრანკული ანუ მეროვინგული, ანგლო-საქსონური.“⁶

ამგვარად, ა. რიგლის სხვადასხვა ფორმულირებები ამ „სტილის“ წარმოშობისა და მისი მატარებელი ხალხის შესახებ მკვლევრის აზრის არაერთგვაროვან და არც თუ ისე მკაფიო განსაზღვრას იძლევა. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს მ. როსტოვეცევის მტკიცებას კულტურის, უფრო ზუსტად, მხატვრული კულტურის მემკვიდრეობითობის შესახებ, კონკრეტულად, წინასკვითური ძირითადი ბინადარი მოსახლეობიდან დამპყრობელ მომთაბარე მხედარ-სკვითებამდე და ბოლოს, მათ შემცვლელ სარმატებამდე. ამასთან, დამახასიათებელია, რომ იგი არსებითად განასხვავებს სკვითეთის სამი ძირითადი ნაწილისა და შემდეგ სარმატების ორი ნაწილის კულტურას: ერთს ყოველთვის უკავია კავკასიის წინა ნაწილი, ყუბანის მხარე და მჭიდროდაა დაკავშირებული აღმოსავლეთთან, და თავის ორბიტაში რთავს ბოსფორის სამეფოს.⁷

ალიარეს რა სახმარი ნივთების შემკულობაში პოლიქრომიული გადაწყვეტის არსებობა კლასიკური ძველი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე, ეგვიპტესა და ევროპაში, კაცობრიობის განვითარების უძველესი პროტოისტორიული ეპოქებიდან მოყოლებული, თეორიების რიგმა ამას დაუკავშირა ოქროზე აღმანდინის ინკრუსტაციის განვითარება, როგორც გამოვლინდა IV-VIII საუკუნეების ე.წ. გუთურ, სარმატულ, მეროვინგულ და

მსგავს ნივთებზე, და როგორც ახლა გამოჩნდა საქართველოში II და III საუკუნეების არმაზული და მსგავსი აღმოჩენების წყალობით.

ბუნებრივია, რომ ამ საკითხში გადამწყვეტი მობრუნება მოახდინა ალიოზ რიგლის გამოკვლევამ, რომელმაც ყურადღების კონცენტრაცია მოახდინა აღმანდინის თვლებით ამგვარი ინკრუსტაციის მკაცრად ისტორიულ გაშუქებაზე, ანუ ზუსტად შემოიფარგლა სანყისი ნიმუშებით და მხატვრულ აღქმასა და მიზანდასახულებაში ძვრების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრით.

მხოლოდ საკითხის ასეთი მკაფიო ისტორიული ჩამოყალიბება შეიძლება დღეს იქცეს ბაზად, კვლევის სანყის პუნქტად და არა ტენდენციების მიახლოებითი შეჯერება ათასწლოვან სივრცეებში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო არქეოლოგიური ნაშრომებისათვის.

Cloisonnée ტექნიკით შესრულებულ ნაკეთობათა გავრცელების ასეთი ფართო და ხანგრძლივი ტალღა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში - IV საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე VIII საუკუნის ჩათვლით, ბუნებრივად სვამს საკითს - რითი უნდა აიხსნას, რომ II-III საუკუნეებში საქართველოში ამ მხატვრული ხერხის ბრწყინვალე განვითარების შემდეგ, მისი მომზადებით წინარე ხანაში და გაგრძელებით IV საუკუნეში, რომელიც მთელ რიგ ნიმუშებში გვიჩვენებს უდიდეს დახვეწილობას, ეს მხატვრული ხერხი საქართველოში, როგორც გვიჩვენებს აღმოჩენები, თანდათან ქრება; V-VI საუკუნეებში იგი შენარჩუნდება მხოლოდ შორეულ მაღალმთიან რაიონებში (ჩმი, რუთხა და სხვ.). ამ მოვლენაში, ვგონებ, ჩვენ გვაქვს მკაფიო მითითება დიდ პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ძვრაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ახ. წ. IV-VI საუკუნეებში - ეს იყო ქვეყნის ყველა საფუძვლის ახალ ფეოდალურ წესრიგზე გადაწყობის პერიოდი, ქრისტიანული რელიგიის ფორმებში ახალი მსოფლგაგების ფართო დამკვიდრებით, სახვით ხელოვნებაში ლეგენდის სიუჟეტური ეპიზოდების გაფორმების მისი მოთხოვნებით, უკვე IV საუკუნის შუა წლებისათვის ელინისტურ-რომაული კულტურის რაიონებიდან მიღებული ნიმუშების მნიშვნელოვანწილად გადამუშავებით. თუ კი შორეული მთის ხეობები ამ საუკუნეებში ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ მონათმფლობელურ ურთიერთობათა პირობებში და განაგრძობდნენ მხატვრული პროდუქციის შექმნას verroterie cloisonnée-ს ნაცადი ჩვევებით, ძირითად საქართველოში ეს კულტურის უკვე განვლილი ეტაპი იყო და ამავე დროს უცხო, ასე ვთქვათ, საპირისპირო ახალი ფეოდალური წყობისათვის, მისი მიზანდასახულებებითა და მახასიათებლით - ქრისტიანობით, რომელიც მოითხოვდა და ხელოვნურად ავითარებდა სრულიად სხვა ხასიათის ხელოვნებას, რომელიც შორდებოდა ძველ ნორმებსა და, შესაბამისად, ფორმებს. სულ სხვა იყო ევროპის ახალგაზრდა ბარბაროსულ ხალხებთან დაკავშირებით, რომლებმაც IV-VI საუკუნეების საქართველოს დონეს მიაღწიეს მხოლოდ დროის

მნიშვნელოვანი მონაკვეთის შემდეგ, როდესაც მათაც დაკარგეს ინტერესი ამგვარი წარმოებისადმი. საქართველოს მსგავსად, დასავლეთის ამ ხალხებთანაც ფეოდალური წყობის დამკვიდრების პერიოდში მიმდინარეობს ახალი რელიგიური გაგების თანდათანობითი ათვისების პროცესი გარედან შემოსული ქრისტიანობის ფორმებში; მათთანაც ეს ხდება საკუთარი, „გეომეტრიულ“ ფორმებში არსებული დიდი ორნამენტულ-დეკორატიული კულტურისაგან განრიდებით და ასევე, ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნით, მზა ნორმებისა და ნიმუშების გამოყენებით სიუჟეტური სახვითი ხელოვნების საგანგებო განვითარებით.

არმაზისხევის აღმოჩენების ეპოქის – II-III საუკუნეების – მცირე ხელოვნების სფეროში საქართველოს მთელი პროდუქციის განხილვისას მოვიხმეთ უშუალოდ წინარე საუკუნის მცირერიცხოვანი ცნობილი მაგალითები, რომლებიც შემდგომი განვითარების მომზადებას წარმოადგენდა. საუკუნეთა სიღრმეში რომ მივბრუნდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ I ათასწლეულის ბოლო სამი მეოთხედი სამუზეუმო კოლექციებში ოქროს ნაკეთობათა საკმაოდ მდიდარი მასალითაა წარმოდგენილი, რომელიც ამ თვალსაზრისით ამტკიცებს ძვირფასი ლითონის გამოყენების შესაძლებლობას, რომლის მოპოვება ძველთაგანვე სწარმოებდა ისევე, როგორც სხვადასხვა სახის მეტალურგია და სხვადასხვა ლითონთა მხატვრული დამუშავების ოსტატობა.

პროფ. ბ. კუფტინმა 1936-1940 წლებში თრიალეთის ყორღანებში სხვა კომპლექსი აღმოაჩინა. ამ ყორღანების ერთი ჯუფი შეიცავდა მდიდარ სამარხებს, რომლებშიც ოქროსა და ვერცხლის ნივთებს გამორჩეული ადგილი ეკავა. ბ. კუფტინს ცალკეული ოქროს ნივთების, კერამიკისა და სხვათა განხილვისას უახლოესი პარალელები მოჰყავს ურუკის გათხრებიდან, ურის სამეფო სამარხებიდან, ხეთური და ეგვიპტური ნივთებიდან, რომლებიც III ათასწლეულს, უფრო მის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. მაგრამ შემდეგ იგი დათარიღებას II ათასწლეულის შუა ხანებით შემოფარგლავს იმის საფუძველზე, რომ ერთ-ერთ ამ კომპლექსში აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრიანი შუბი ვერცხლის გარსაკრავით; ამგვარი ფორმის უძველესი ცნობილი ნიმუშები, რომლებიც, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთში საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს, II ათასწლეულის პირველ ნახევარზე ადრე არ შეინიშნება.⁸ თუმცა მთელი თხრობა წარიმართება მაშინ გავრცელებული ერთი მოსაზრების ზემოქმედებით, თითქოს კავკასიის ხალხთა მთელი გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურა გაპირობებულია გარედან – წინა აზიისა და ეგვიპტის ქვეყნებიდან, კაცობრიობის კულტურის აღიარებული მატარებლებიდან შემოსული გავლენებით, თითქოს ამ ყორღანების ხელოვნება „იკვებებოდა რომელიღაც კულტურული ნაკადით“;

ეს უნდა აღინიშნოს, რადგან თრიალეთის ყორღანების ინვენტარში არის ისეთი მალალმბტერული და ტექნიკურად ღირსშესანიშნავი ნივთები, რომელთა მიკუთვნება II ათასწლეულის შუა ხანებისათვის წინააღმდეგობაში შედის თვით ბ. კუფტინის მიერ მოყვანილ პარალელებთან მცირე აზიის სხვა ქვეყნებიდან. სწორედ თრიალეთის ყორღანების ოქროს ნივთებშია ოქროს კათხა შემკული ზედდებული ფერადოვანი აქცენტებით – ფირუზითა და ბაცი სერდოლიკით წერილი გავარსის მოჩარჩობებში. ამ კათხის შემკულობის განხილვაზე, ბუნებრივია, ქვემოთ საგანგებოდ უნდა შევიყრდეთ.

თუ კი ბრინჯაოს ხანის სამარხეულ ინვენტარში ოქროს (და ვერცხლის) ნივთების სიჭარბე იშვიათ გამოჩენის ნარმოადგენდა, ეს მდგომარეობა არსებითად იცვლება, როდესაც რკინა იქცევა დომინირებულ და ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელ ლითონად. ამ დროს იცვლება სოციალური საფუძვლები, მყარდება მნიშვნელოვანი დიფერენციაცია და იქმნება კლასობრივი საზოგადოება; უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, ხდება ოქრომჭედელთა გამოყოფა მჭედლების, ნალბანდებისა და ლითონის ჩამომსხმალთა ერთიანი წრიდან, როგორც იყო ბრინჯაოს ეპოქაში.

თვით რკინის იარაღისა და ხელსაწყოების პროდუქციას უკონდა მხოლოდ ძალზე ზოგადად შემუშავებული ფორმა; თუკი რომელიმე რკინის ნივთი განსაკუთრებულად უნდა შემკულიყო, ამის მიღწევა ხდებოდა ან ვერცხლის ზარნიშით, ან სრულიად სხვა მასალების მცირე ნაწილაკების დამატებით. რაც შეეხება ბრინჯაოს ნივთებს, ისინი ფერთა და ელვარებით, შთაბეჭდილებით ოქროს ნივთებს უახლოვდებოდნენ; მათი ფორმა დეტალურად, გულმოდგინედ მუშავდებოდა – ხშირად ნივთებს უკონდა ჭვირული ნაწილები, ისინი იფარებოდა გრავირებული გამოსახულებებით, ორნამენტაციით და ა.შ.

ამგვარად, ბუნებრივია, რომ სახმარი ნივთების წარმოებას გამოეყო – საზოგადოების საერთო დიფერენციაციის პირობებში – პირადი შესამოსლის სამკაულებისა და სხვათა დამზადება, რაც მოითხოვდა საგანგებო ჩვევებს, მონყობილობასა და მასალებს. სინამდვილეში, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის განმავლობაში, VII-VI საუკუნეებიდან მოყოლებული, რეგისტრირებულია ძვირფასი ლითონების ნაკეთობების საკმაოდ ბევრი კომპლექსი, რომლებიც დაკრძალული პირების სოციალური მდგომარეობის მაჩვენებლად გამოიყენებოდა. გათხრები და დიდი აღმოჩენები დაბლა-გომში, ვანში, მდ. ალგეთზე, ჭუბურხინჯში, ფარცხანაყანებში, ნოსირში, სამთავროში და განსაკუთრებით კი ე.წ. ყაზბეგისა და ახალგორის განძები, ძვ. წ. I ათასწლეულის II და III მეოთხედების ოქროსა და ვერცხლის ნივთების მცირე რაოდენობით შემცველ სამარხების ინვენტართან შედარებით, მკაფიო და გამორჩეულ მოვლენას აღნიშნავენ.⁹

მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის ქართველი ტომების ცხოვრებასა და ეკონომიკაში ეკავა ოქროსა და ვერცხლის მოპოვებასა და დამუშავებას, კარგად დასტურდება აგრეთვე ომების დროს უცხოელ დამპყრობთა წარწერების ცნობებით. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ძვ. წ. I ათასწლეულში არსებული ერთ-ერთი ძლიერი სამეფოს – დიაუხების – სიმდიდრის შესახებ მოვითხრობს ურარტუს მბრძანებლების მენუასა და არგიშტის წარწერები, რომლებმაც ომების დროს დიაუხების მეფეს დააკისრეს ხარკი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სახით: ზუსტადაა დასახელებული 41 მინა ოქრო, 37 მინა ვერცხლი და 10 000 მინა სპილენძი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი მინა (ურარტული, ასურულის ტოლი) უდრის 505 გრამს, აღმოჩნდება სოლიდური რაოდენობა: 20 3/4 კგ ოქრო, 18 3/4 კგ. ვერცხლი და 5000 კილოგრამზე მეტი სპილენძი.¹⁰

მეორე მხრივ, ასურულ ანალების ცნობები ურარტუს გაძარცვის შედეგად მოპოვებული ნადავლის შესახებ განსხვავდება ომების პერიოდისაგან: ასე, სარგონმა ძვ. წ. 714 წელს მთლიანად გაითაცა მუსასირის სასახლის მთელი საგანძური, მითითებულია მხოლოდ ოქრო 1040 კგ. ვერცხლი 5060 კგ, დიდი რაოდენობით სუფთა სპილენძი, ტყვია და სხვადასხვა ძვირფასი და ნახევარძვირფასი ქვები.¹¹

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბერძნული თქმულება არგონავტებასა და ოქროს სანმისზე, რომლის ხელში ჩაგდება მათ უნდოდათ კოლხეთში. როგორც არ უნდა იყოს დამოკიდებულება თვით გადმოცემისა და მის განმარტებებისადმი, კერძოდ, გვიანდელ ბერძენ ავტორებთან, მაგალითად, სტრაბონთან, მაინც არ შეიძლება არ ვალიაოთ, რომ თქმულებაც მეტყველებს ქართველ ტომთა სიმდიდრეზე, მათ მიერ ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე, როგორც ეს მტკიცდება იმავე გვიანი ანტიკურობის მწერალთა მონაცემებით.¹²

ამრიგად, არმაზში პიტიახშთა ოჯახის წევრების სამარხების მდიდარი ინვენტარი არ წარმოადგენს რაიმე განკერძოებულ, შემთხვევით მოვლენას საქართველოს ისტორიაში, არამედ, პირიქით, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიის მთელ წინარე მსვლელობასთან და წარმოადგენს თავისი ისტორიით მდიდარ საქართველოს მხატვრული, საიუველირო, საოქრომჭედლო ოსტატობის სრულიად კანონზომიერ განვითარებას. თუ ამ კუთხით განვიხილავთ მასალას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ – რა თქმა უნდა სხვადასხვა ეპოქების შესაბამისი ცვლილებებით – რომ უფრო ადრეული ეპოქებიდან მომდინარე ტექნიკური ხერხები და თავისებურებები არსებობას განაგრძობს არმაზის ინვენტარის ხელოვნებაში და ამით ხაზს უსვამს ტრადიციებისა და მხატვრული განვითარების უწყვეტობას

რა თქმა უნდა, მხოლოდ ზემოდასახელებული ოქროს ნივთების დიდი აღმოჩენები როდი მიანიშნებენ ქრონოლოგიურად ერთმანეთთან დაკავში-

რებულ მოვლენებს, არამედ უკლებლივ ყველა, თუნდაც მცირერიცხოვანი ან ცალკეული ოქროს ნივთების მოხმობა, რომლებიც ძვ. წ. სამ ათასწლეულს განეკუთვნება და აღმოჩენილია ქართველთა და მათთან კულტურულად გაერთიანებულ ტომთა განსახლების ტერიტორიაზე, არ იძლევა ასეთ უწყვეტ ქრონოლოგიურ ვაჭვს. მაგრამ ოქროს სამკაულების მუდმივად დამზადების ფაქტი, მხატვრული და მწარმოებლური ტრადიციის არსებობა დასტურდება თავად ამ ნივთების ხასიათით, რომელთა უმეტესობას მხოლოდ ორნამენტული, არასიუჟეტური ხასიათი აქვს, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ნივთს მიცემული აქვს ფორმა ან მასში ჩართულია რომელიმე ცხოველის რელიეფური გამოსახულება, ამ ფიგურების საერთო გადანყვება ნმიდა დეკორატიულია და ჩვეულებრივ, დამატებითაა ორნამენტულად დამუშავებული, როგორც მაგალითად, დიდი საკიდები ახალგორის განძიდან, ან ფრინველები ცხენის ალკაზმულობის ერთ-ერთ ბალთაზე იმავე განძიდან, ან ლომების რელიეფი თრიალეთის ყორღანის შტანდარტზე, ან სხვა რელიეფები სარწყულზე ან კათხაზე იქიდანვე და სხვ.

ძირითად მასას კი დეკორის მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ქსოვილზე დასაკერებელი ერთნაირი დაშტამპული ლომებისა და ხარების გრძელი რიგიც მაიკოპის ყორღანიდან ორნამენტაციად აღიქმება. ეს ნივთები უძველესი დროიდან აღბეჭდილია შესრულების მაღალგანვითარებული ტექნიკით, ისეთი დახვეწილი ხერხებით, როგორიცაა გავარსი, ოქროს ნვრილი ბურთულებით სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების შექმნა (პირამიდები და სხვ.), ფილიგრანი, გრეხილი მავთულების, ან დანაჭდევიბიანი მავთულების ნახატი, გამჭვირვალე ჭვირული ან დაშტამპული ოქროს ფირფიტები, უმეტესწილად ვარდულებით, წრეებით და სხვ. იშვიათად კი ფიგურული, მაგრამ ყოველთვის ორნამენტულად გაგებული რიტმული სერიებით. რა თქმა უნდა, ეს განსხვავებული ტექნიკური ხერხებიც გარკვეულ დროისმიერ ცვლილებებს ექვემდებარება, როგორც საკუთრივ ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, ასევე მხატვრული მიდგომისა და ორნამენტის შერჩევის მხრივ.

არმაზის ინვენტარის ოსტატთა მიდგომების გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თრიალეთის XVII ყორღანული სამარხის ოქროს თასს, რადგან იგი შემკულია ფილიგრანით შემოვლებულ ზემოდან დამაგრებულ ბუდეებში ჩასმული ფირუხისა და ბაცი ვარდისფერი სარდიონის თვლებით.¹³ ამ თასში გამოყენებული ხერხების – ფილიგრანისა და გავარსის მოძრავ ორნამენტში ცისფერი და წითელი ლაქების აქცენტები – შედარება არმაზის ნივთებთან, კერძოდ, ასპაერუკის სატევრის ქარქაშის შემკულობასთან ამოცანისადმი მიდგომით, მხატვრული მიზანმიმართულებით პრინციპულ განსხვავებას ავლენს. თრიალეთის თასის ფერადოვანი სამკაული ნივთის ფორმიდან კი არ მომდინარეობს, არამედ შექმნილია მისგან დამოუკიდებლად და დადებულია საკუთრივ ნივთზე: ორ პორიზონტალურ ზოლს შორის

დადებულია ხვები ცალკეულ, თანაბრად განმეორებულ ელემენტებად. ეს ხვები, ისევე როგორც ფილიგრანით (დასერილი მავთულით) მოჩარჩოებული ზემოდან დადებული ოქროს პორიზონტალური ზოლები თასის პირსა და მის ქვედა ნაწილზე, გარკვეულ ფიგურას წარმოქმნის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას საკითხი – წარმოადგენენ თუ არა ისინი მხოლოდ ორნამენტაციას, თუ გულისხმობენ რაიმე შინაარსსაც. ოქროს თასის ძირითად სხეულზე დადებულ ამ გამოჭრილ ოქროს ფიგურებზე დასმულია ფილიგრანის მავთულით შემონერილ სადა ბუდეებში ჩასმული მრგვალი ფორმის სარდიონები და ფირუზები. თუ ვივარაუდებთ თასის თავშექცევით განთავსებას მაგიდებზე, ანუ ფსკერით ზემოთ, ამ ფერადოვანი ლაქების განაწილებაში მკაცრ სიმეტრიას შევამჩნევთ: თასის „ფეხის“ შემკული ზედაპირი გვაფიქრებინებს, რომ ღვინით სავსე თასი ეკავათ ხელში, მისი დაცლის შემდეგ კი მას გადმოპირქეავებულად დებდნენ მაგიდაზე, ანუ ფეხით ზემოთ. ამგვარად, კათხის ამ მდგომარეობის დროს ქვედა ზოლს წარმოადგენდა სამი წითელი და სამი ცისფერი ლაქის მონაცვლეობა წითელი თვლები იყო ხვეულების პირდაპირ, ცისფრები – მათ შორის პაუზებში. შემდეგი ზოლი თასის მთელ სიმაღლეს იკავებს – ოთხი ხვეული, რომელთაგან თითოეულზე დარჩილულია რვა-რვა წითელი ლაქა, ხვეულის ძირიდან მოყოლებული და ოთხი ცისფერი – ხვეულის ბოლოს. ამას აგვირგვინებს ზოლი, ერთმანეთის მონაცვლე სამი წითელი და ორი ცისფერი ლაქით, რომლებიც ქვედა პორიზონტალურ ზოლს ეპასუხება. ამ ზოლისადმი კუთხით არის განლაგებული მეორე, მთლიანად შევსებული მხოლოდ სარდიონის წითელი ლაქებით (სულ 20 ცალი). ამ შეზნექილი ზედაპირის საპასუხოდ, ამონეულ ზოლს მხოლოდ ოთხი ზემოდან დადებული ენა აქვს მსუბუქი ფერადოვანი აქცენტებით. მთელი შემკულობა დასრულებულია „ფეხის“ „ქვედა“ ზედაპირის ცენტრული ფიგურით.¹⁴

ამისგან განსხვავებით, ასპაერუკის სატყერის ქარქაშის სამკაული სრულადაა დამორჩილებული საგნის ფორმას: მწვანე კვადრატებით შედგენილი მთავარი ღერძი, სათანადო ადგილებში გაფართოებებით. ამასთანავე, ქვედა ნაწილის მომრგვალებულ შვერილებზე წითელი ალმანდინის მრგვალი თვლებია დასმული, თითქმის სწორკუთხა ზედა კიდეზე კი დიდი ოვალური ქვებია; ქარქაშის ეს გაფართოებული ზედა ნაწილი ხაზგასმული, გაძლიერებულია თვლების სამი რიგით: მოგრძო ალმანდინების ოთხი თვალბუდით მწვანე მინის კვადრატული თვლების ორ მწკრივს შორის. ქარქაშის ქვედა შევიწროვებული ბოლო შემკულია დამასრულებელი რგოლით – მინაქრით – წვერის მთელს სიგანეზე.

ეს გარემოება ბუნებრივად წამოჭრის საკითხს საქართველოს ხელოვნების განვითარების ამ მონაკვეთის კავშირის შესახებ მის წინარე და შემდგომ ეტაპებთან, მითუმეტესად, რომ წინასწარულად უკვე გამოთქმული

იყო მოსაზრება საქართველოს მხატვრული კულტურის აღნიშნული ეტაპის კანონზომიერების შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია განვიხილოთ – მხატვრული ამოცანების თვალსაზრისით – ნინარე ორი-სამი ათასწლეულის ნივთების ძირითადი ჯგუფები, რამდენადაც ისინი უკვე გამოვლენილი და განსაზღვრულია არქეოლოგიური გამოკვლევებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დასაბუთდეს დებულება იმის შესახებ, რომ ახ. წ. II-IV საუკუნეთა საქართველოს მთელი მხატვრული კულტურა, როგორც ეს ზემოთ იყო დახასიათებული, შეიქმნა, გაფორმდა, გაიზარდა მშობლიურ ნიადაგზე, თვით საქართველოში, კანონზომიერად და უცილობლად. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ის შეიძლება დამტკიცდეს, რომ ის არ არის გარედან შემოსული უცხო გავლენის პროდუქტი, არ წარმოადგენს ამა თუ იმ ახლობელი თუ შორეული ხალხებისაგან ნასესხებას თუ გადმოღებულს. განვითარების თავისთავადობისა და ორგანულობის შემდგომ მტკიცებულებად შუა საუკუნეების საქართველოში პლასტიკურ ხელოვნებათა განვითარების მოკლე მიმოხილვა გამოგვადგება.

კავკასიისა და კერძო, საქართველოს არქეოლოგიურმა შესწავლამ მხოლოდ ბოლო წლებში მიიღო სათანადო ჩაღრმავებული და მიზანმიმართული ხასიათი. გარკვეული გეგმით წარმოებული გათხრებით მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალა გამოვლინდა. მეცნიერულად დოკუმენტირებული განათხარი მასალის თანმიმდევრული შესწავლა და ამის შედეგად წამოჭრილი ცალკეული სპეციალური საკითხების კვლევა მასალისადმი სახელოვნებათმცოდნეო მიდგომის საშუალებებს იძლევა.

არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა მჭიდრო კულტურული კავშირები დაადგინა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მთელს ტერიტორიაზე და ჩრდილოეთიდან მიმდებარე სტეპებისა და მცირე აზიის, შუამდინარეთისა და მთიანი ირანის სიღრმეში მიმავალ რაიონებში. ეს მონაცემები დასტურდება როგორც ენობრივი მონაცემებით, ასევე ისტორიული ცნობებითაც. განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილის უახლესი გამოკვლევებით, რომლებიც შემდგომში გააგრძელეს სხვადასხვა სპეციალობების წარმომადგენლებმა, დადგინდა, რომ სხვადასხვა ტომები და ხალხები, რომლებითაც დასახლებული იყო აღნიშნული ტერიტორია და რომლებიც მნიშვნელოვანილად დღესაც ცხოვრობენ კავკასიაში, ხალხთა მონათესავე ჯგუფს შეადგენენ. ენობრივი, ეთნოგრაფიული, კულტურული და აგრეთვე ნაწილობრივ, ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველ ტომთა სიახლოვეს ავლენს ნინა აზიის უძველესი მოსახლეობის მნიშვნელოვან და წამყვან ნაწილთან. ამ მონათესავე ტომებსა და ეროვნებებს, რომლებიც კავკასიის სამხრეთით ცხოვრობდნენ (ძვ. წ. IV-I ათასწლეულებში), წარმოადგენენ შუმერები, ხეთები, ელამელები და მთიანი ზაგრის სხვა ტომები, დურიტები (სუბარები) და ურარტელები.¹⁵ ამა თუ იმ ხალხის ისტორიული ცხოვრებისა და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ

დაქუცმაცებულობამ და დაშორებებმა, არამედ მონათესავე ტომების შერევამ და შეჯვარებებმა, ასიმილაციამ. ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიაში ზუსტად ასევე შეინიშნება მისი დაქუცმაცება რიგ ძირითად ნაწილებად, რომლებიც დღეს ენობრივი ნიშნით განისაზღვრება, როგორც ქართლური, ლაზური და სვანური ჯგუფები. დაქუცმაცება მოხდა ამ ტომთა უძველესი განსახლების ტერიტორიაზე, ე. ი. კავკასიაში, იმავე უძველეს ხანაში.

შემდგომში ხდება შეჯვარება და შერევა. პირველყოფილ-თემური ნყობილებიდან კლასობრივად დიფერენცირებულ ნყობაზე გადასვლის დროისათვის (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი) დასავლურ-ქართული კულტურული რეგიონი, რომელიც დღევანდელი დასავლეთ საქართველოს გარდა მოიცავდა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს მდ. თერგამდე, მდ. ჭოროხის აუზს და შავიზღვისპირეთის სამხრეთ სანაპიროს ნაწილს, მჭიდრო შეხებაში იყო მცირე აზიისა და ევფრატის ხეთურ და პურიტულ ტომებთან; ასევე აღმოსავლურ-ქართული რეგიონი, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანის მომიჯნავე ნაწილით, სამხრეთით – მდინარე არაქსამდე, ესაზღვრებოდა პური-ურარტულ ტომებს. ურარტუს სამეფოს განადგურებას მოჰყვა ძლიერ ქართულ სამეფოთა წარმოქმნა, რომლებმაც მნიშვნელოვნად წაიწიეს სამხრეთისაკენ და შეინოვესა ამ რაიონების მონათესავე მოსახლეობა. ამგვარად, ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილებში მიმდინარეობდა მთელი რიგი ტომების შერწყმის, შეჯვარების ასიმილაციის პროცესი მთელი კავკასიის ძირითადი მოსახლეობის ამ ეთნიკურ ქართულ ფუძესთან. სავარაუდოდ, ანალოგიური მოვლენებია დადგენილი კავკასიის ჩრდილოეთით, მიმდებარე სტეპების ზოლში. ქართველურ ტომებთან ახლო მონათესავე ადიღურ-ჩეჩნურ-ლექური ე.ი. ჩრდილოკავკასიური ტომები ძვ. წ. I ათასწლეულში ანტიკურ მწერლებთან იწოდებიან „სკვითების“, „კიმერიელების“, „სარმატების“ კრებითი სახელებით, ამასთანავე, სტრაბონი აღნიშნავს სკვითებისა და სარმატების ნათესაობას იბერიელებთან. ყველა მონაცემით, საკუთრივ ადიღურ-ჩეჩნურ-ლექურ ტომებს შორის იმყოფებოდნენ სლავური ხალხების წინაპრები, ასევე ირანული წარმოშობის ტომები. დამახასიათებელია, რომ ისინი სისტემატურად აწყობდნენ თავდასხმებს და შემოსევებს მთის გასასვლელებით ამიერ-კავკასიის მაღალკულტურულ რეგიონებში, ხანდახან კი მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთითაც (მცირე აზია, მესოპოტამია, სირია); ამიტომაც ამ გასასვლელთა გამაგრება და მათზე კონტროლი მუდმივად წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავს. ამ „სკვითების, კიმერიელების, სარმატების“ წარმოადგენლები სახლდებოდნენ ამა თუ იმ ადგილას და მათ მონათესავე ძირითად ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირდებოდნენ.¹⁶

ამგვარად, ქართველურ ტომთა კულტურის სახე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა „სპილენძის საუკუნის“ ეპოქიდან, განვითარებულ ბრინჯაოს ეპოქაში კი, როდესაც მისი ორი დიდი არეალი (კლასიკურ მწერლებთან

ცნობილი, როგორც „სასპერები-იბერები“ და „კოლხები“) საქართველოს მოსახლეობას აქვს მტიკიე კავშირები და მონენსრიგებული გაცვლა-გამოცვლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცალკეულ კულტურულ ქვეყნებთან – მესოპოტამიასთან, მცირე აზიასთან, ეგვიპტესთან და ევროპასთანაც კი (დღევანდელი პოლონეთი).

ნივთების ფერადოვანი აქცენტებით შემკობისადმი არმაზის ნივთების ოსტატების მიდგომის გასარკვევად სხვა ძვირფას მასალას ის ნივთები წარმოადგენს, რომლებიც მართალია, არ შედის ქართულ კულტურულ ნრეში, მაგრამ მასთან შეხებაშია. ესაა რამდენიმე ძვირფასი ყელსაბამი და ა.შ., რომლებიც აქემენიანთა ხელოვნებას განეკუთვნება¹⁷ და ე. წ. ციმბირული ოქროს ფირფიტები, რომლებიც ახლა სკვითური ხელოვნების ნაწარმოებებადაა მიჩნეული. თუ შესადარებლად მოვიხმობთ ერმიტაჟში დაცულ ძვ.წ. V საუკუნის აქემენიდურ ყელის სამკაულს, უპირველასად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერადი ჩანართებით იმკობა ცხოველის ფიგურა, ფანტასტიკური ფრთოსანი და რქებიანი ლომი და არა მთლიანად რომელიმე განსაკუთრებული ორნამენტული კომპოზიცია. ერმიტაჟის ყელის რგოლი შემოვიდა კუნსტაკამერიდან, სადაც იგი ინახებოდა 1726 წლიდან ციმბირული ნივთების შემოსვლის დროიდან, ანუ არ არსებობს არავითარი მითითება მისი წარმოშობის შესახებ.¹⁸ როგორც ე. პრიდიკი აღნიშნავს, „ნეკები, ფეხის კუნთები, ფრთების კიდევები და თავების დეტალები პირობითად, გადმოცემულია ბუდეების მეშვეობით“, რომლებშიც ისევე, როგორც ამ ურჩხულების (გროფონების) რქებსა და ფაფარზე მოთავსებულ თხელი ტიხრებით დაყოფილ ბუდეებში, ფირუზის ნაწილებია ჩადგმული. ამგვარად, ფერადოვანი ჩანართებს აქვს აზრობრივი მნიშვნელობა – ამ ფანტასტიკური ცხოველის სხეულის გარკვეული ნაწილების გამოვლენა. ამიტომაცაა, რომ ცალკეულ ჩანართთა მოხაზულობა ამ ამოცანასაა დაქვემდებარებული.

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ციმბირულ ოქროს ფირფიტებთან დაკავშირებით, რომლებიც უდიდეს ალტაცებას იწვევს ექსპრესიისა და დაძაბულობის არაჩვეულებრივი ძალით; ითვლება, რომ ფირფიტები 1726 წელს ციმბირიდან შემოვიდნენ პეტერბურგის კუნსტაკამერაში, ამჟამად კი ისინი ერმიტაჟის განსაკუთრებულ კოლექციას შეადგენენ.¹⁹ ჩვეულებრივ, ესაა ფანტასტიკური ცხოველების შერეკინება ერთმანეთთან, ამასთან, მათ სხეულებში კუნთების, ყურების, თვალების და სხვათა აღსანიშნავად გაკეთებულია თუმცა პირობითი, მაგრამ დანიშნულების მეტ-ნაკლებად შესატყვისი, – ანუ შესაბამისი ორგანოს ფორმის გამოსავლენად, მის ხაზგასამელად – ბუდეები ფერადი ჩანართებით შესავსებად – ალუბლისფერი წითელი მინებით, ცისფერი მინისებრი პასტიტ.²⁰

მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა სხვადასხვაგვარადაა მოცემული სხვადასხვა ავტორთან. აკად. ნ. კონდაკოვი მათ ჩვ. წ. პირველ საუკუნეებს

მიაკუთვნებს. ასეთივე თარიღს ემხრობა მ. როსტოვეცივი. თავის ბოლო ლექციებში ნ. კონდაკოვი ხაზს უსვამს, რომ „ციმბირის სიძველეები შეიძლება მიეკუთვნებოდეს ქრისტეშობამდე ეპოქას, ოღონდაც არა ძვ. წ. VII-VI საუკუნეებს, არამედ ძვ. წ. I ს. ან ახ. წ. I-II საუკუნეებს და არა ძველი აღმოსავლეთის სამყაროს“.²¹ გრიგოლ ბოროვეკამ, პირიქით, ადრეული ფირფიტები ძვ. წ. IV ს. მიაკუთვნა, უკანასკნელი კი ნელთალრიცხვათა მიჯნას.

ჩვენ როდი ვუგულებელვყოფთ ციმბირის ამ ფირფიტების დათარიღების საკითხს, მაგრამ იძულებულნი ვართ შევეხოთ სხვა საკითხსაც — ეერძოდ, ამ ციმბირულ ფირფიტებთან დაკავშირებულ „ცხოველური სტილის“ სკვითურ ან სკვითურ-სარმატულ სვადასხვა ნაწარმოებებს. ეს კი, გარკვეული თვალსაზრისით უპირატესად ქართველური და მათი მონათესავე ჩრდილო-კავკასიური ტომების განსახლების მომიჯნავე, ან მათ საზღვრებში შემავალი რაიონების — ეერძოდ, ყუბანისპირეთის აღმოჩენებია. ჩვეულებრივ, ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან, ვიდრე I საუკუნემდე პერიოდით დათარიღებულ მრავალრიცხოვან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებს შორის არის რამდენიმე, რომლებშიც გამოყენებულია ცხოველთა ფიგურების გაცოცხლება ფერადი ჩანარებით — ქარვით. ორი ასეთი ნაწარმოები ეელერმესიდან²² გამოირჩევა ტიხართა ხასიათით, რომლებიც გამოყენებულია ავაზის დიდი ყურისა და სხვა ცხოველების თავების გამაერთიანებელი რგოლის შემკულობაში. ეს მსხვილი ტიხრები ძვ. წ. VI ან VII საუკუნისთვისაც კი ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენს და ქრონოლოგიურად მონყვეტილია ჩვ. წ. პირველი საუკუნეების მათი დიდი მასისაგან. ისე რომ უნებურად ისმის კითხვა, წარმოდგება კი ეს ორი ნივთი იმავე ყორღანული სამარხიდან ეელერმესში, რომლიდანაც მოიპოვა შულცმა ოქროს ნივთები, რომლებიც ახლო დგას სამკაულის ანტიკურ დამუშავებასთან; მან ხომ იქ რამდენიმე ყორღანი გათხარა.²³ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაიკოპის სხვადასხვა ყორღანებში პროფ ნ. ვესელოვსკიმ აღმოაჩინა როგორც ძვ. წ. III ათასწლეულით განსაზღვრული ნივთების კომპლექსები, ასევე ძვ.წ. II-I საუკუნეებით, ან ახ. წ. I საუკუნით დათარიღებული ნივთები. ამასთანავე, სწორედ უკანასკნელ კომპლექსში არის ვერცხლის სარტყლის ბალთა ამავე ხასიათის ნაწილებით და ტიხრებს შორის მოთავსებული ფერადოვანი ჩანარებით. ტყუილად როდი წერდა გრ. ბოროვეკა ამ ბალთის შესახებ, რომ „იგი უნდა დათარიღდეს არა უადრეს ნელთალრიცხვათა მიჯნისა, ქვევით ინკრუსტაციისათვის კუთხოვანი ფორმებისა და სხვათა გამო“.²⁴

ამგვარად, არმაზის ინკრუსტაციის აქემენიანთა, „ციმბირული“ და სკვითური ოქროს ბალთებისაგან განსახვაებას სრულიად პრინციპული ხასიათი აქვს. თუ არმაზის ნივთებში ეს არის ორნამენტი, მეორე შემთხვევაში ინკრუსტაცია ემსახურება ცხოველთა ფიგურების შეფერადებასა და მათი გარკვეული ნაწილების გამოკვეთას, რომლებიც ორნამენტულად მხოლოდ ალაგ-ალაგაა დამუშავებული.

